



ციბიხანი

№ 133 / 22 - 28 აპრილი / 2013

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი

საქართველო ბათონი
სოფლის მეურნეობა



83.30

ნინო ზაბზანიძე
ფუნიკური
ნოტიანი
ქაბიტი

6.16.19

რაც დარჩა სათქმელი

ყოვანი შაბათს 22:00

შენს დასრულებულ
დასრულებულს
დასრულებულს,
დასრულებულს
დასრულებულს.

დასრულებულს, დასრულებულს,
დასრულებულს დასრულებულს
დასრულებულს.



მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

ადმინისტრაციული რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტიკა:
ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი,
ანი ქანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრაქტორი:
მანანა ვარდიაშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი

კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
ლიბერალი
შორენა შავერდაშვილი

პრინციპალის ბანკითარების მენეჯერი:
რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მაჭუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დავკავშირდით: 247 10 05.



ფერმერი ნინო ზამბახიძე სტამბულში, ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ქალი-ლიდერების რეგიონულ ფორუმზე გაცვიანი. ეს პროექტი ჰილარი კლინტონის პატრონაჟით ხორციელდება და ჩვენც ერთმანეთთან ვინონებდით თავს.

ნინოსთან მყისიერად დავმეგობრდით და დავპირდი, რომ თბილისში დაბრუნებისთანავე ვესტუმრებოდი ახალციხეში, თავის ყველის ქარხანაში. ეს სტუმრობა ორი წლით გადაგვედო, თუმცა ესეც კანონზომიერი იყო – ვიდრე მე ყველას ვუყვებოდი, როგორ გახდა ვერელი გოგო წარმატებული ფერმერი ახალციხეში, ამასობაში ნინომ ყველის ქარხანას ვაშლის ბაღები, სიმინდისა და ხორბლის ყანები მიუმატა და ხელოვნური ტბაც მოაშენა. რაც მთავარია, პარტნიორებთან ერთად დააფუძნა „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“. ფერმერმა კაცებმა, ასოციაციის თავმჯდომარედაც ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიული ნინო აირჩიეს. ასე გახდა ნინო ფერმერების მთავარი ადვოკატი იმ ხელისუფლებასთან, რომელმაც სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა.

ასოციაცია უკვე 700-მდე წევრს ითვლის. რამდენიმე მათგანს ამ ნომრის სპეცპროექტშიც შეხვდებით – მეცხვარეებს, მესაქონლეებს, მეღვინეებს, კენკრის, ბრონეულისა და ვაშლის მეზაღეებს. ბევრი მათგანი თბილისელია, რომელმაც სხვადასხვა დროს მიაშურა მინადმოქმედებას და უკვე გამართული მეურნეობები თუ ქარხნები აქვთ.

უდიდესი სიამოვნება იყო ამ ხალხის გაცნობა „ლიბერალის“ ჟურნალისტებთან ანი ქანკოტაძესთან, ზურაბ ვარდიაშვილთან, გიორგი გოგუასთან და სოფო აფციაურთან ერთად.

„ფერმერთა ასოციაციასთან“ კი მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ და ამიერიდან „ლიბერალი“ კვირიდან კვირამდე მიყვება ფერმერების საქმიანობას თუ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებს.

ძალიან დიდი მადლობა ყველა პარტნიორ კომპანიასა თუ ორგანიზაციას, რომელმაც ამ ნომრიდან დაიწყო ჩვენთან თანამშრომლობა. განსაკუთრებული მადლობა ნინო ზამბახიძეს ჩვენი მასპინძლობისა და მხარდაჭერისთვის და „გაეროს განვითარების ფონდს“.

შორენა შავერდაშვილი, მთავარი რედაქტორი



ანი ქანკოტაძე დედოფლისწყაროში, ბესიკ თოფჩაშვილის ფერმაში



ანი ქანკოტაძე სიღნაღში, გელა ფათალიშვილის ვენახებში



გიორგი გოგუა ახალციხეში, ნინო ზამბახიძის ველზე;



ზურაბ ვარდიაშვილი, მუშაობს ნინო ზამბახიძის პროფაილზე;



ფეხმეხი ნითილი ქამხით

მას შემდეგ, რაც ყავის ბიზნესში ჩართული ნინო ფერმერულ მეურნეობას მოეკიდა, ბოტები ჩაიცივა და ჯიბის საჭეს მიუჯდა, პრობლემების მთელი კასკადი წამოვიდა. ჩავიდა რეგიონში, სადაც არავის იცნობდა, თავისიანად არავინ აღიქვამდა, მის საქმიანობას სერიოზულად ბევრი არ უყურებდა. რეგიონში გადასვლის გამო ბავშვების თბილისში, დედასთან დატოვება მოუწია. ამასობაში ოჯახი დაენგრა.

პრაქტიკოსი ფერმერის მწარე გამოცდილებამ ნინო აიძულა, თანამოაზრეებთან ერთად ფერმერთა ასოციაცია



დაეარსებინა. ის ახლა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ამ დროისთვის ასოციაცია 700-ზე მეტ წევრს ითვლის და ოთხი მიმართულება აქვს: ფერმერთა ადვოკატირება, იაფი რესურსების ხელმისაწვდომობა, განათლების გაცეცელება და სანარმოო ჯაჭვების ხელის შეწყობა. ასოციაციის მიზანი ფერმერთა პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიებაა. ზამბახიძეს ფერმერთა პრობლემების ხელისუფლებამდე მიტანა სურს.

ზურა ვარდიშვილი 83.30

იაფი ხედიხები სოფლის მეურნეობაში

სამი კვირაა შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტი დაიწყო. ბანკებში ამბობენ, რომ პროექტი წარმატებით მიმდინარეობს, მწარმეების აქტივობა მაღალია და სესხი უკვე ასზე მეტ ფერმერს დაუმტკიცდა. თუმცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების თქმით, ბანკები კრედიტებს მკაცრად გასცემენ და აგროკრედიტი მათთვის არც ისე ხელმისაწვდომია.

წლების განმავლობაში ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად აგროსფეროს განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსების ნაკლებობა იყო. გასულ წლებში სოფლის მეურნეობაში გაცემული სესხის რაოდენობა საბანკო პორტფელში მხოლოდ 1% შეადგენდა და საპროცენტო განაკვეთი 36%-მდე აღწევდა.

თათია ხალიანი 83.70

ხეფოხა ბაძიქა ქაქიანისთვის ხელის განოღება

„დღეს, სოფლის მეურნეობა რეალურად პრიორიტეტია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული იყო პერიოდები, როდესაც სოფლის მეურნეობა არსად იყო ნახსენები. დეკლარირებულ პრიორიტეტად არსებობდა, მაგრამ ეს ქალაქებში რჩებოდა და არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ახლა ეს თანხვედრა თვალსაჩინო და რეალურია. პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენ ქართულ სოფელს ვიბრუნებთ უკან.“

სოფლის მეურნეობა მარტო ეკონომიკა არაა, ის ეკონომიკაზე ბევრად მეტია, აქ არის სოციალური ფაქტორი, ცხოვრების წესი. რასაც ჩვენ ვაკეთებთ ეს ჯერ დასაწყისია, ასეთი მასშტაბის საქმიანობა დიდი ხანია არ ყოფილა. ეს რეფორმა გამრჯე ადამიანისთვის ხელის განოღებაა, რათა მან იზრომოს“ – ამბობს დავით კირვალიძე

თინა ყიფშიძე, თათია ხალიანი 83.08


ფაქტები

სულ რაღაც ერთი წლის წინ სოფლის მეურნეობა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებში ვერ ხვდებოდა, დღეს კი ეს სფერო საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად სახელდება. ამ დროისთვის ქვეყანაში არსებული სასოფლო მეურნეობათა უმეტესობა დამწყებია. „ლიბერალიზა“ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მომუშავე ფერმერთა მეურნეობები მოინახულა.

ჩვენი სპეცპროექტის გმირები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროს მისდევენ: ზოგი მეცხვარეობას, ზოგი – მეღორეობას, ზოგი – ნაკელს ამუშავენს, ზოგიც – ბრონეულის ბალებს აშენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი წარმატებულია, სხვადასხვა ტიპის სირთულეების და პრობლემების წინაშე მანაც დგანან.


„ლიბერალი“ მეურნეობებიდან მცირე რეპორტაჟებს გთავაზობთ.

 ანი ჭანკოტაძე
03:38

პოლიტიკა

სოფლის მეურნეობა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე



 თინა ყიფშიძე
03:12

გამოცემალი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემალი:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.


ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



ფოტო: შიორაგი ბოლუა

ორი აზრი

04 უნდა იყოს თუ არა აგროსესხები უფრო გრძელვადიანი – 7 წლის ნაცვლად 15 წლიანი?

ინტერვიუ

08 რეფორმა გამრჯე ადამიანისთვის ხელის განოდებაა

პოლიტიკა

12 სოფლის მეურნეობა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე

ეკონომიკა

16 წყვეტილი უწყვეტი წარმოების ციკლი

22 „სტრატეგიული ხედვა და მასთან სწორება გვაკლია“

მთავარი თემა

30 ფერმერი წითელი ქამრით

სპეცპროექტი

38 ფერმერები

ფინანსები

70 იაფი კრედიტები სოფლის მეურნეობაში

ღიას

ზურაბ ცქიტიშვილი

აკადემიკოსი, ყოფილი პარლამენტარი

მთავრობის მხრიდან ფონდების შექმნა ძალიან კარგი წამოწყებაა. მაგრამ ეს პროექტი ეფექტური რომ იყოს, საჭიროა კარგად დავიანგარიშოთ რა დრო სჭირდება ფერმების და სანარმოების ჩამოყალიბებას. როცა დავსხედით და დავინყეთ ანგარიში, დავინახეთ, რომ პირველი სამი წელიწადი მაგალითად, ფერმა წამგებიანია. ადამიანი კრედიტს იმ მიზნით იღებს, რომ მან მაღალპროდუქტიული ჯანმრთელი პროდუქცია და მეცხოველეობის სექტორი შექმნას. სხვათა შორის, ევროპამ ეს გზა გაიარა. იქ დაინახეს, რომ დაავადებული და დაბალპროდუქტიული პირუტყვის გრძელვადიანი მკურნალობა უშედეგოა. ამ პროცესს ინტენსიური დეპოპულაცია დაარქვეს და ასეთი პირუტყვის ლიკვიდაცია მოხდა. სამაგიეროდ, შემოიყვანეს მაღალპროდუქტიული ჯიშები, რომლებიც იმ პირობებში ჩააყენეს და ზუსტად ის რეჟიმები შეუქმნეს (ზოოტექნიკური გარემო და თავად ფერმა), რა პირობებშიც ეს პირუტყვი მაღალპროდუქტიულ შედეგს იძლევა.

საქართველოში დღეს კარგი შესაძლებლობა შეიქმნა – არსებობს პოლიტიკური ნება, რომ ფინანსური რესურსების გამოყენება სოფლის მეურნეობაში მოხდეს. მსხვილფეხა რქოსანი, ჯანმრთელი, პროდუქტიული პირუტყვის შემოყვანასა და ახალი ფერმების აშენებას ვგულისხმობ. გრძელვადიან პროცესში საბოლოოდ ფერმა მომგებიანი იქნება, ოღონდ პირველი სამი წელი, სანამ უშუალო შედეგს მივიღებთ, მანამდე პირუტყვს კვება სჭირდება, რაც იმდენად ძვირია, რომ ამ პერიოდში ხარჯი უფრო მეტია. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, 15-წლიანი და უფრო გრძელვადიანი სესხი ძალიან კარგი იქნებოდა. ამ ბიზნესის განვითარება შესაძლებელია, თუ სესხი გადავა ათწლიან რეჟიმზე და მეწარმე პირველი სამი წელი განთავისუფლებული იქნება საბანკო გადასახადისაგან. მესამე წლის მეორე ნახევრიდან კი დაიწყება საბანკო ვალდებულებების შესრულება. ანუ ფერმერებს შვიდი წელიწადი მიეცემათ ამ სესხის დასაფარად. სამი წლის განმავლობაში მეწარმემ ფერმა სტაბილური და შემოსავლიანი უნდა გახადოს. ■



უნდა იყოს თუ ახან ახოსანს 7 წლის ნასვცდა

■ ამ ბიზნესის განვითარება შესაძლებელია, თუ სესხი გადავა ათწლიან რეჟიმზე და მეწარმე პირველი სამი წელი განთავისუფლებული იქნება საბანკო გადასახადისაგან.



არა

გიორგი ჩხეიძე

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი

სესხის ვადა იმ აქტივის სასიცოცხლო ციკლზეა დამოკიდებული, რომელიც ამ სესხით ფინანსდება. მაგალითად, თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ერთწლიანი კულტურის მოყვანას ვაფინანსებთ, თანხამ ერთი წლის ვადაში უნდა იტრიალოს. სესხის ვადა ყოველთვის დამოკიდებულია მიზანზე, რა საქმიანობას ან აქტივს ვაფინანსებთ. შესაბამისად, იმ აქტივების და ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი, რომელსაც ამ სესხით ვაფინანსებთ, შვიდ წელს არ აღემატება. ეს იქნება მეცხოველეობის ფერმა თუ გადამამუშავებელი საწარმო. ვფიქრობ, შვიდი წლის განმავლობაში ეს სესხი იმ ძირითადი საშუალებების მიერ გენერირებულმა ფულადმა სახსრებმა უნდა დაფაროს და ეს ნორმალური ვადაა.

რა თქმა უნდა, ჩვენი გადანყვეტილება ზოგად ეკონომიკურ პრინციპებს ეყრდნობა. თუ სესხები უფრო გრძელვადიანი უნდა იყოს, მაშინ რატომ უნდა იყოს 15 და არა 30 წლიანი? ერთი აქტივისთვის ვადა შეიძლება ხუთი წელი იყოს, მეორე სესხისთვის – 10 წელი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და გადამამუშავებელი ბიზნესი ამ სესხს თავისუფლად გაისტუმრებს, რა თქმა უნდა, თუ წარმატებული იქნება. მაგრამ თუ წარუმატებელი იქნება, შეიძლება, სესხი 30 წლის განმავლობაშიც ვერ გადაიხადოს. თუმცა სესხის დაგეგმვისას ამაზე არასდროს კეთდება გათვლა. რასაკვირველია, აქ საბანკო გამოცდილება-ცაგათვალისწინებულია.

ზოგადად, შვიდწლიანი ბიზნესსესხები საქართველოში თითქმის არ გაციემოდა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში და გადამამუშავებელ მრეწველობაში, ყოველთვის უფრო ნაკლებვადიანი გაციემოდა. ამიტომ ეს არის მაქსიმალური ვადა, რა დროითაც შეიძლება სესხი აქამდე გაციემულიყო სოფლის მეურნეობაში ან შეიძლება გაციეს. ეს ვადა სავსებით ნორმალურია. **■**

**სესხები უფრო ბიძიანები -
ან 15 წლიანი?**

■ სესხის ვადა ყოველთვის დამოკიდებულია მიზანზე, რა საქმიანობას ან აქტივს ვაფინანსებთ. შესაბამისად, იმ აქტივების და ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი, რომელსაც ამ სესხით ვაფინანსებთ, შვიდ წელს არ აღემატება.



აგროსესხების თორმეტწლიანი გამოცდილება

„პროკრედიტ ბანკმა“ ოპერირება ქართულ ბაზარზე 1999 წელს დაიწყო. დაახლოებით ორ წელიწადში, მაშინ როდესაც სხვა ქართული ბანკები აგროსფეროში სესხების გაცემას ეჭვის თვალით უყურებდნენ, ბანკმა პირველი საპილოტე პროგრამა დაიწყო აჭარაში. მოგვიანებით არეალი გაფართოვდა და 2003 - 2004 წლებში პროგრამამ მთელი საქართველო მოიცვა.

„ამ პერიოდში სხვა ბანკების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის სფეროს დაფინანსებაში ნულის ტოლფასი იყო,“ - იხსენებს „პროკრედიტ ბანკის“ ბიზნეს-კლიენტების განყოფილების უფროსი ალექსი მატუა, - „იყო ერთი-ორი შემთხვევა, თუმცა ბანკები სარისკოდ მიიჩნევდნენ აგროსესხების გაცემას, ამიტომაც თავს იკავებდნენ. ჩვენი უპირატესობა კი იმ ტექნოლოგიასა და რისკების შეფასების მექანიზმში მდგომარეობდა, რომელსაც ვიყენებდით. ვატყობდით, რომ ჩვენი ტექნოლოგია წლიდან წლამდე ამართლებდა. ავიყვანეთ კიდევ უფრო მეტი აგრო-სპეციალისტი და დავიწყეთ უფრო ინტენსიური მუშაობა.“

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეწყობა როგორც სადაზღვევო, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურული კუთხით მინიმალური იყო, ფილიალების ქსელის გაფართოებასთან ერთად ბანკის მონაწილეობა აგროსექტორში უფრო და უფრო იზრდებოდა. 2006 წლისთვის საკრედიტო პროფილი სოფლის მეურნეობაში 12-15 მლნ ლარამდე გაიზარდა, 2007 წლიდან კი პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა და დღეისთვის „პროკრედიტ ბანკი“ აღნიშნულ

სფეროში 50 მილიონი ლარის საკრედიტო პორტფელს ფლობს.

სწორედ ეს მდიდარი გამოცდილება, კარგად აპრობირებული ტექნოლოგია და ლიდერობის შენარჩუნების სურვილი გახდა მთავარი მიზეზი, რის გამოც „პროკრედიტ ბანკმა“ „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ ჩართვა გადაწყვიტა.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის პროექტში, რომელიც სამ კომპონენტს მოიცავს, „პროკრედიტ ბანკი“ მეორე და მესამე კომპონენტებში ჩართვება.

„შელავათიანი აგროკრედიტის“ მეორე კომპონენტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის 5 000-დან 100 000 ლარამდე 8%-იანი აგროკრედიტის გაცემას ითვალისწინებს არაუმეტეს 2 წელის ვადით. აღნიშნული კომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსებას მოიცავს, მათ შორის სათესი და სარგავი მასალის, პესტიციდების, სანაშენ და პროდუქტიული პირუტყვის შეძენას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებას, სარწყავი სისტემების მოწყობას და ა.შ.

რაც შეეხება „შელავათიანი აგროკრედიტის“ მესამე კომპონენტს, ის 7 წლის ვადით მაქსიმუმ 3%-იან აგროკრედიტის დაფინანსებას გულისხმობს. კრედიტის მოცულობა 30 000-დან 600 000-მდე აშშ დოლარით განისაზღვრება და გადამამუშავებელი და ინფრასტრუქტურული საწარმოების, ინტენსი-



ური ტიპის პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნასა და გადაიარაღებას მოხმარდება.

„მოცემული შემოთავაზება, თუნდაც პროცენტის სუბსიდირების კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის განვითარება კი ქვეყანაში ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ბანკის მისია და დამოკიდებულება ამ ყველაფერთან თანხმობაში მოდის, „პროკრედიტ ბანკი“ დიდი სიამოვნებით ჩაერთო აღნიშნულ პროექტში,“ - აღნიშნავს ბანკის ბიზნეს-კლიენტების განყოფილების უფროსი.

„უშუალოდ ამ პროექტს არ ეხება, თუმცა მიგვაჩნია რომ 0-პროცენტიანი განვადებები ეს არის კლიენტის შეცდომაში შეყვანა და ზოგადად ძალიან ძვირი პროდუქტი. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენს პოლიტიკაში არ ჯდება 5000 ლარამდე განვადებები, ჩვენ განვაცხადეთ უარი პირველ კომპონენტში მონაწილეობაზე,“ - აცხადებენ ბანკში.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი სულ ახლახან დაიწყო, ბანკში დაახლოებით 2 – 2,5 მლნ ლარის განაცხადია შესული. პროექტის ფარგლებში კი 35-40 სესხი (500 000 ლარამდე) უკვე გაიცა. კლიენტების ასეთი აქტიურობა არ უკვირთ „პროკრედიტ ბანკში.“

„იქედან გამომდინარე, რომ ათი წელია ამ სფეროში აქტიურად ვმუშაობთ, ჩვენ გვყავს ძალიან გამოცდილი სპეციალისტები, რაც უმნიშვნელოვანესია თუნდაც რიკსების შეფასების ან მომსახურების თვალსაზრისით. ზოგადად, ნებისმიერ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. კლიენტებთან გამჭვირვალე და უშუალო ურთიერთობებით გამოვირჩევით, ვეხმარებით რისკების სწორად შეფასებაში,

ვთავაზობთ სწორედ იმ მომსახურებას, რაც მათ სჭირდებათ და, რაც მთავარია, არავითარი ფარული გადასახადები არ გვაქვს!

ამიტომაც ვართ ყველაზე სტაბილურები ბაზარზე,“ - აღნიშნავს „პროკრედიტ ბანკის“ მარკეტინგის სპეციალისტი თეა ლეჟავა.

მრავალწლიანი გამოცდილებისა და ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ბაზარზე „პროკრედიტ ბანკის“ უპირატესობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, რომლის შესახებაც ბანკის აგრო რისკ-მენეჯერ გიორგი გავაშელიშვილი აღნიშნავს:

„ჩვენ შეგვიძლია კლიენტებს ლარში 4- და 5-წლიანი სესხი შევთავაზოთ, რასაც ბევრი ბანკი ვერ სთავაზობს. ასევე, არ ვართ გიროზე ორიენტირებული. ჩვენ ვატარებთ დეტალურ ფინანსურ ანალიზს და კლიენტს ისეთ თანხას ვთავაზობთ, რომ მას შემდგომში გადახდა არ გაუჭირდეს, შეძლოს კრედიტის დაფარვა. კლიენტებს კი ძალიან მოსწონთ დეტალური ფინანსური ანალიზი, რადგან ხვდებიან, რომ საქმე პასუხისმგებლიან პარტნიორთან აქვთ.. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მეურნეობა, რომ სწორი ინვესტიციების განხორციელებით კლიენტმა სტაბილური განვითარება შეძლოს!“



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

Georgia



ფოტო: ლევან სპინაშვილი

ჩეფოქმა ბამჩაქა ნაშიანისთჳის ხაღის ბანოღაქა

ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან
კირვალდიქსთან

სოფლის მეურნეობის განვითარება ახალი მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირება იყო. სამინისტრომ ამ მიმართულებით საქმიანობა უკვე დაიწყო. „ლიბერალი“ სოფლის მეურნეობის მინისტრს, დავით კვიციანიქს ესაუბრა.

ახალი მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა დასახელდა. რას გულისხმობს სოფლის მეურნეობის სტრატეგია?

დღეს, სოფლის მეურნეობა რეალურად პრიორიტეტია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული იყო პერიოდები, როდესაც სოფლის მეურნეობა არსად იყო ნახსენები. დეკლარირებულ პრიორიტეტად არსებობდა, მაგრამ ეს ქალაქებზე რჩებოდა და არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ახლა ეს თანხვედრა თვალსაჩინო და რეალურ-

რია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენ ქართულ სოფელს ვიბრუნებთ უკან.

სოფლის მეურნეობა მარტო ეკონომიკა არაა, ის ეკონომიკაზე ბევრად მეტია, აქ არის სოციალური ფაქტორი, ცხოვრების წესი. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს ჯერ დასაწყისია, ასეთი მასშტაბის საქმიანობა დიდი ხანია არ ყოფილა. ეს რეფორმა გამრჯე ადამიანისთვის ხელის განოღებაა, რათა მან იშრომოს.

მნიშვნელოვანია სისტემის შექმნა, რად-

გან მის გარეშე ყველაფერი ფუჭი იქნება. ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, თანაბარი პირობების შემქმნელი, სწორი და მდგრადი.

ჯერ ვერ გეტყვით შემოღობაზე ამ რეფორმას თანხაში გამოსახული რა შედეგი ექნება, მაგრამ შემოიძლია გითხრათ, რომ რეფორმა მიდის ქართული სოფლის დაბრუნებისკენ.

პირველ რიგში, მინის საკუთრების საკითხი უნდა გადაიჭრას. საქართველოში

70%-ზე მეტს არ გააჩნია მიწის საკუთრების მონაწილეობა. შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის ჩვენი სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო. მონაწილე გვყავს ამერიკელი ექსპერტი, რომელთან ერთად ვმუშაობთ, რათა დაიდოს ისეთი ხედავა, რომ რეგისტრაციის პრობლემა სამუდამოდ გადაიჭრას.

მეორეა ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურაში ჩვენს კომპეტენციაში შედის აღმოსავლეთ საქართველოში საირიგაციო სისტემების და დასავლეთ საქართველოში სადრენაჟე სისტემების აღდგენა/რეაბილიტაცია.

აღმოსავლეთ საქართველოს სჭირდება საჭიროა მორწყვა. არსებული არხები რომ გამართულად მუშაობდეს, შესაძლებელია 280 ათას ჰექტარამდე მიწის ნაკვეთებისთვის წყლის მიწოდება. პირველი რაც დავინწყეთ, ამ არხების რეაბილიტაცია იყო. დაახლოებით სამი წელია საჭირო, რომ არსებული ტემპებით ირიგაციის სისტემა აღდგეს. ამის პარალელურად ინსტიტუციონალიზაციის პროცესი უნდა დაიწყო. ვინ მოუვლის ამ არხებს? მაგისტრალურ არხზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო აიღებს. არსებობდა კარგი პრაქტიკა, როდესაც მეორე და მესამეული არხები წყალმომხმარებელთა ასოციაციას გადაეცემოდა მფლობელობაში. ეს ასოციაცია თავად აირჩევს თავმჯდომარეს, შეადგენს წყლის მიწოდების გრაფიკს და ა.შ.

ყველა რაიონში შექმენით ფერმერთა მომსახურების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები. მათ ფერმერებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, გაუწიონ კონსულტაციები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ჩვენ მოგვანოდონ ის ინფორმაცია, რაც ანალიზისთვის გვჭირდება.

კიდევ ერთი კომპონენტი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობაა, ამისათვის აგროკრედიტის პროგრამაა შემუშავებული.

27 მარტს დაიწყო „მელაგათიანი აგროკრედიტების პროექტი“, რომელიც სამ კომპონენტს მოიცავს და გათვალისწინებულია როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი მენარმეებისთვის

აგროსესხების გაცემა. პროექტი სამ კომპონენტს მოიცავს.

გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რამდენმა პირმა ისარგებლა აგროკრედიტებით და როგორ მიმდინარეობს პროცესი?

ბანკები ოთხი თვე მუშაობდნენ პირობებზე. ისინი იმიტომ დაინტერესდნენ, რომ ეს სეგმენტი აუთვისებელია. ბანკი კერძო სტრუქტურაა და მოგება უნდა ნახოს. ბანკების მიერ მთელი პორტფელიდან სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ერთი პროცენტი იყო გადასესხებული. ეს

მნიშვნელოვანია სისტემის შექმნა, რადგან მის გარეშე ყველაფერი ფუჭი იქნება. ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, თანაბარი პირობების შემქმნელი, სწორი და მდგრადი.

მზარდი სეგმენტია. ბანკების უმეტესობამ საკრედიტოებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უკვე აიყვანა.

ბანკმა არ უნდა გასცეს სესხი, თუ არ არის შესული კარგი ბიზნეს განაცხადი. ბანკები სწორედ იმიტომ გეკრიკიტებიან, რომ განაცხადი სწორი იყოს.

ფერმერებს და მენარმეებს პირველად ბანკებთან უნდა ურთიერთობის გარკვევა და იმის შემდეგ, რაც ბანკი დაუმტკიცებთ სესხს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი შედის თანადაფინანსებაში და პროცენტის მნიშვნელოვან წილს იხდის. მას შემდეგ, რაც ეს პროექტი დაიწყო გვესმის, რომ ფერმერებს და მენარმეებს სესხის აღება უჭირთ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მენარმეები ისევ მარტო რჩებიან ბანკებთან?

რატომ არის ფერმერი ან მენარმე

ბანკებთან მარტო დარჩენილი? საპროცენტო განაკვეთი, რომელიც რისკის ფაქტორია, მაქსიმუმ სამ პროცენტზეა დაყვანილი. ასევე, ფონდი ერთ მესამედში საგარანტიოდ შედის, ეს უფრო ფერმერების კომპონენტს ეხება.

ბანკებს ინტერესი რომ არ ჰქონოდათ, არ მოვიდოდნენ, ეს ნებაყოფლობითია. ერთი ბანკი იყო დარჩენილი და იმანაც მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. პერსპექტივაა სეგმენტში. დაინახეს, რომ თუ ჩამორჩნენ ამ ტენდენციას, ამ სეგმენტს სხვა ბანკი აიღებს.

პირველ კომპონენტში არ არის საჭირო ბიზნესგეგმის დანერგვა, მცირე მენარმეს არც გირავნობა სჭირდება. უკვე 18 საკონსულტაციო კომპანია გამოცხადდა, რომელმაც გვთხოვა რომ ჩვენი მონაცემები იქნებ საიტზე დადოთ რომ დიდ პროექტებზე ვისაც სჭირდება კონსულტაცია, მოგვმართონო. ბანკების ნაწილმა, როგორც გითხარით, კონსულტაციების განევა თვითონ დაიწყეს. ამაზე უფრო დახვეწილი მექანიზმის მოძებნა გავიჭირდებოდა.

პირველ კომპონენტს რაც შეეხება, რომელიც ნ-თვიანია და ფერმერებისთვისაა, რამდენად შეძლებს ფერმერი ამ პერიოდში თუნდაც 5000 ლარიანი კრედიტის გადახდას?

პირველი კომპონენტი ექვსთვიან უპროცენტო სასაქონლო განვადებას გულისხმობს. საშუალო მოთხოვნა 1000 ლარზეა. გლეხი ფულს არ იღებს. ის სასაქონლო განვადებას იღებს და შესაბამის თანხას აბრუნებს 6 თვის თავზე უპროცენტოდ. ეს პატარა ფერმერები, რომელიც ამ სერვისის პოტენციური მომხმარებლები არიან, დაახლოებით 700 000 ადამიანამდე, ამავე დროს საგაზაფხულო ხვნის ბენეფიციარები არიან. ხვნის ბარათი უკვე მიიღეს, ნიადაგი დამუშავებული აქვთ და ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით 300 ლარის ნომინალური ბარათი მიიღეს საჩუქრად. დამატებით სესხს თუ დასჭირდებათ, მაშინ აიღებენ.

როგორ გაუნეწვს ადგილობრივი პროდუქტი იმპორტირებულ დაბალფასიან საქონელს კონკურენციას?

საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში დიდი მასშტაბის დახმარება მიდის ადგილობრივ წარმოებაზე. გლეხი ამ ხნის განმავლობაში მიტოვებული იყო ბაზრის პირისპირ. წარმოდგინეთ, რომ ამჯერად „მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში უმეტესობას, ნიადაგის ხვინა და ხნულს კულტივაცია არაფერი უფლება. ნედლეულს უფასოდ იღებს ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათით, ეს იქნება თესლი, სასუქი თუ მცენარეთა დაცვის საშუალება, მას ასევე შეუძლია უპროცენტო სასაქონლო განვადებაც გააკეთოს. ამას დამატებული, დაბალხარისხიანი და საექვო წარმოების პროდუქციას ბაზარზე მაქსიმალურად ვაკონტროლებთ. ესეც ჯანსაღი კონკურენციაა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მარტო ქართული პროდუქცია უნდა იყოს, უბრალოდ, ვამბობთ, რომ ქართული პროდუქცია არ უნდა იყოს იმაზე უფრო ცუდ დღეში, ვიდრე იმპორტირებული. გარდა ამისა, აუცილებლად შევიწყობებთ ანტიდემპინგურ კანონმდებლობას, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს.

მზადდება კოოპერაციების შესახებ კანონპროექტი, რა ეტაპზეა და სოფლებში იგეგმება თუ არა კოოპერაციების შექმნა?

კოოპერაციის კანონი უკვე პარლამენტშია. ამ კანონით, უპირველესად, სტატუსი უნდა განისაზღვროს, ვინ იქნებიან ამ კანონის ბენეფიციარები. კანონპროექტით გათვალისწინებულია კოოპერაციების ხელშეწყობის სააგენტოს შექმნა. კანონის მიღების შემთხვევაში ეს იქნება სტრუქტურა, რომელმაც უნდა მიაწოდოს სტატუსი. მთავარია, რომ უნდა იყვნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები ან გადამამუშავებლები. შემდეგ უკვე როგორ გაერთიანდებიან - რა პრინციპით, რა ტიპის კოოპერაცივი იქნება, ამას უკვე თავად გადანყვებენ. ამისთვის სოფლებში ინტენსიური ახსნა-განმარტებითი კამპანია დაიწყება. გარდა იმისა, რომ ამ კამპანიაში ჩართული იქნება საკონსულტაციო ცენტრები, ევროკავშირის 40 მილიონიანი დახმარების პაკეტში, 15 მილიონი განკუთვნილია საქართველოსში კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობისთვის.

საქართველოში ძალიან ბევრი მცირემიწიანი ფერმერია. სამ მილიონზე მეტი ერთ პექტარზე პატარა ნაკვეთია. ამიტომ, თუ გვიხდა რომ კომერციულ წარმოებაზე გადავიდეთ, უნდა მოხდეს მათი გამსხვილება. გამსხვილების ორი გზაა - ძალდატანებითი და ბუნებრივი. ჩვენ რა თქმა უნდა, ბუნებრივი გზით მივიდვართ. კოოპერატივი იქნება ნებაყოფლობითი და მხოლოდ ის განვივრინდება, ვისაც ამის სურვილი ექნება.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის შემოსავლებს რა წარმოადგენს, რა პრინციპი მოქმედებს ამ ფონდთან დაკავშირებით?

სოფლისა და სოფლის მეურნეობის ფონდი შემოწირულობებით მუშაობს. მთავარი შემომწირველი არის ფონდი „ქართუ“ და კიდევ კერძო შემოწირულობები. ეს ფონდი არის განვითარებისთვის და საინვესტიციო ფონდებისგან განსხვავებით, არ არის მოგებაზე ორიენტირებული. ფონდის სახსრები იმ სტრატეგიული მიმართულების მხარდასაჭერად მიდის, რომელიც დეკლარირებულია და პრიორიტეტია. ამ შემთხვევაში პრიორიტეტია სოფლის მეურნეობა. სწორედ ამ ფონდიდან ფინანსდება „მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე საგაზაფხულო საშუალები, რომლითაც მთლიანობაში 700 000-ზე მეტი მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს, და რომელზეც 200 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

საგაზაფხულო საშუალები დაიწყო, თუმცა სასოფლო-სამეურნეო ბარათები რამდენიმე რეგიონს ისევ არ მიუღია, დასრულდა თუ არა ბარათების დარიცხვა?


სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიცხვა ჯერ არ დასრულებულა. ამ ეტაპზე 500 ათასზე მეტ ბენეფიციარს აქვს მიღებული. პრობლემებია იმ რაიონებში, სადაც რწმუნებულებმა სიები სწორად ვერ წარმოადგინეს. იყვნენ რწმუნებულები რომლებმაც კარგად იმუშავეს და ზუსტი სიები მოიტანეს, მაგრამ ზოგ რწმუნებულს არა მხოლოდ ხალხი გამოჩნათ, იყო შემთხვევები, როდესაც სოფლები გამოტოვეს. ასე, მაგალითად, საგარე-

ჯოში 4 სოფელი იყო გამოტოვებული. ვისაც დახწული აქვს უკვე და ბარათი არ მიუღია, მაინც არ დაეკარგება, როცა ბარათს მიიღებს შეუძლია გადაცვალოს და მეორე - ნომინალური ბარათი მიიღოს იმ ფასად.

ერთ-ერთ პრობლემად მწარმოების ცოდნა და სამწარმოო უნარების არქონა სახელდება, სახელმწიფო რას აკეთებს გლეხის სამწარმოო უნარების ასამაღლებლად?

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო და არის ექსტენციის ცენტრების შექმნა. გარდა ამისა, უნდა აღვადგინოთ სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც ჯიშთა გამოცდა მოხდება. ეს სისტემა მოშლილი იყო. ვმუშაობთ ნედლეულის, სერვისების მიწოდებაზე. მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ექვსასზე მეტი მაღაზია დარეგისტრირდა, რომელშიც გლეხებს შეუძლიათ საქონელზე გაანაღდონ ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათები და მიიღონ მათთვის სასურველი ნედლეული. მაგალითად, ტენდენცია გამოიკვეთა, რომ გლეხები ერთიანდებიან ამ 640 ლარიანი ბარათებით და ზოგმა ტრაქტორები იყიდა, ზოგმა მოტობლოკები, ზოგი ელექტროცელს ყიდულობს. 600-ზე მეტი მაღაზია, ეს ხომ კერძო სექტორია, ისიც ხომ დასაქმებულია ამ პროგრამით.

სოფლის მეურნეობის რეფორმის შედეგად გრძელვადიან პერსპექტივაში რა შედეგს ელოდებით?

სისტემა უნდა ამუშავდეს. სისტემა რომ ამუშავდებოდა ის უკვე ქმნის საშუალებას, რომ ადამიანმა, ვისაც შრომის სურვილი აქვს, იმუშაოს. ეს იქნება მთავარი შედეგი. დღეს სოფლად, დასაქმებული ადამიანი მოსახლეობის 54%-ს შეადგენს - ეს ძალიან დიდი ციფრია. ამ ყველაფერთან ერთად სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების საშუალებაც უნდა განვითარდეს. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ეს არის სწორედ სერვის ცენტრები, მაღაზიები, სატრაქტორო პარკები. 

ესაუბრნენ თინა ყიფშიძე და თათია ხალიანი

მარტივი და ეფექტური აბროდაზღვევა

სოფლის მეურნეობა საკმაოდ რისკიანი სფეროა. განსაკუთებით იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კატასტროფების ალბათობა დიდია. ბუნებრივი რისკების შედეგად მიღებული ზარალისგან თავდაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება კი აგროდაზღვევაა, რომელიც საკმაოდ კომპლექსური პროდუქტია და ქართულ ბაზარზე ჯერაც სიახლეს წარმოადგენს. სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიამ“ ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ფერმერებსა და გლეხებს მოსავლის დაზღვევის მარტივ და ეფექტურ საშუალებას სთავაზობს.

როგორ მუშაობს „ალდაგი ბი-სი-ბისი“ აბროდაზღვევა?

აგროდაზღვევის განხორციელებაში „ალდაგი ბისიას“ პარტნიორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედლა“, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა რაიონშია წარმოდგენილი და სადაზღვევო პოლისებს ადგილზევე ყიდის.

სადაზღვევო პოლისის აღების პროცედურა განსაკუთრებულად მარტივი და ხანმოკლეა. თესვის დაწყებამდე ან თესვის პროცესში გლეხი ავსებს განაცხადს, რომელშიც მიუთითებს შემდეგ ინფორმაციას:

- ▶ რომელი კულტურის დათესვას აპირებს?
- ▶ რამხელა ფართობის მიწა აქვს და რამდენია მოსალოდნელი მოსავალი?
- ▶ რა არის მინდვრის ფასი (ანუ მოსავლის ფასი ადგილზე გაყიდვის შემთხვევაში)?

მითითებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება პოტენციური მოსავლის გამოანგარიშება.

სადაზღვევო პოლისის გამოწერა ხდება ადგილზევე, ხოლო დაზღვევა ძალაში ე.წ. ვეგეტაციური პერიოდის გასვლისას ანუ ნაყოფის გამოანაკვისთანავე შედის ძალაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ აქვს მნიშვნელობა მიწა პოლისის შექმნის მსურველი ფერმერის საკუთრებაშია თუ არა, არის თუ არა დარეგისტრირებული და ასე შემდეგ. მთავარია, დასაზღვევი ფართობი იდენტიფიცირებული იყოს.

„ალდაგი ბისიამ“ გაითვალისწინა, რომ მოსავლის აღებამდე, გლეხს დიდი ხარჯები აქვს, რის გამოც თანხების მოძიება მისთვის რთულია. ამიტომაც დაზღვევის პრემიას მხოლოდ მოსავლის აღების შემდეგ გადაიხდის.

„ალდაგი ბისიას“ აგროდაზღვევა მექანიკურ დაზიანებაზე დაფუძნებული პროდუქტია. სხვადასხვა არაკონტროლირებადი რისკისგან (წყალდიდობები, სეტყვა და ა.შ.) მიყენებული ზიანის შემთხვევაში კი ფერმერი არ იხდის არაფერს. სადაზღვევო პრემია გამოაკლდება ასანაზღაურებელ ზარალს. მიყენებული ზარალის შემთხვევაში კომპანიის ზარალის მენეჯერები უმოკლეს ვადაში ჩადიან ადგილზე, ნახულობენ დაზიანებულ რაოდენობას და ანაზღაურებად შესაბამისად ხდება.

მაგალითად, თუკი დაზღვეული იყო 1 ჰა ტერიტორია და დაზიანდა მისი ნახევარი, სადაზღვევო თანხის 50%, ფრანშიზას გამოკლებით, აუნაზღაურდება კლიენტს.

აბროდაზღვევის მნიშვნელობა

აგროდაზღვევა ფერმერებისა და გლეხების საქმიანობის აუცილებელი კომპონენტია. მიუხედავად სადაზღვევო კულტურის დეფიციტისა, აგროდაზღვევით სარგებლობის გამოცდილება ქართველ ფერმერებსაც აქვთ.

გასულ წელს, რომელიც კახეთის რეგიონისათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა, „ალდაგი ბისიამ“ კახელ ფერმერებს 1,5 მლნ-ის ზარალი აუნაზღაურა.

„კახეთში ჩვენ გვყავს ათასზე მეტი დაზღვეული ფერმერი. ბუნებრივი პირობების გამო შარშან მათ განსაკუთრებულად დიდი ზარალი ნახეს. ჩვენი დახმარებით კი მათი დანაკარგების მინიმიზაცია მოხერხდა,“ - აღნიშნავს „ალდაგი ბისიას“ გენერალური დირექტორის მოადგილე ნუცა კოლუაშვილი და განმარტავს, - „დღეს, მომატებული რისკის მატარებელ რეგიონებში, ბევრ გლეხს სურვილიც კი დაკარგული აქვს, რომ მეურნეობა ჰქონდეს, რადგან შესაძლებელია მოვიდეს სეტყვა და მთელი შრომა წყალში ჩაეყაროს, ეს პოლისი კი მათ უქმნით მოტივაციას, ვინაიდან მისაღებ შემოსავალს მაინც მიიღებენ.“

აგროდაზღვევის უპირატესობა კი სხვა ფაქტორების გათვალისწინებითაც კარგად ჩანს. მაგალითად, საფინანსო ორგანიზაციები გაცილებით უფრო იოლად გასცემენ სესხს, როდესაც იციან, რომ რისკები ბუნებრივია.

აგროდაზღვევით სარგებლობა „საქართველოს ბანკის“ კლიენტებსაც შეუძლიათ - აგროსესხის ასაღებად მისულ ფერმერებს კრედიტ-ოფიცრები სადაზღვევო პოლისს თავადვე შესთავაზებენ. საქართველოს სოფლებში კი აქტიური სარეკლამო კამპანია უახლოეს მომავალში დაიწყება.





სოფლის მეურნეობა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუშაობა უკვე დაიწყო, მაგრამ სოფლის მეურნეობის სტრატეგია ჯერჯერობით არ ჩანს.

თინა ყიფშიძე

სოფლის მეურნეობის განვითარება ახალი მთავრობის დეკლარირებულ პრიორიტეტებში ერთ-ერთ მონიშნულ ადგილს იკავებს. გაზაფხულიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სხვადასხვა ღონისძიებები დაიწყო. ამ ღონისძიებების ძირითადი ნაწილი საინფორმაციო ცენტრების გახსნას, სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებასა და სარწყავი და სადრენაჟო არხების რეაბლიტაციას მოიცავს.

„მთავრობის დეკლარირებული მიზანი და საქმიანობა ერთმანეთს ემთხვევა და ამის უკან ქართული სოფლის დაბრუნება დგას. სოფლის მეურნეობა მარტო ეკონომიკა არაა, მასზე მეტია თავისი სოციალური ფაქტორით, ცხოვრების წესია. სოფელში მცხოვრები ხალხი თავს მიტოვებულად გრძნობდა. ქართული სოფელი უკან უნდა დავიბრუნოთ.“ – ამბობდა სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

რეალურად როგორ განვითარდება სოფლის მეურნეობა, ჯერჯერობით რთული წარმოსად-

გენია. სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე ადამიანების ნაწილი სამინისტროს საქმიანობაში სტრატეგიულ მიდგომასა და ხედვას ვერ ხედავს. სამინისტროს გასაპართლებლად შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობების დასაგეგმად სტატისტიკის და მიწის რეგისტრაციის არარსებობის ფონზე მეტისმეტად შეზღუდული დრო და რესურსი ჰქონდათ. „მერსი კორპის“ მისიის ხელმძღვანელის ირაკლი ქასრაშვილის თქმით, რაც კეთდება შეიძლება იდეალური არაა, მაგრამ არსებული რესურსებით სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

„ვფიქრობ, სამინისტროს წინაშე დილემა იდგა, დაეწყოთ კვლევები და მთელი ეს წელი შეესწავლათ სიტუაცია და დაეგეგმათ მომდევნო წელი ან სწრაფად, რაღაც მაინც გაეკეთებინათ. მათ მეორე ვარიანტი აირჩიეს.“ – ამბობს ირაკლი ქასრაშვილი.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტია. პროექტი სამ კომპონენტსა და როგორც მსხვილ, ასევე მცირე და საშუალო ფერმერებს მოიცავს. ამ პროექტთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნე-

STAY
HEALTHY



If you are willing to live a healthy life, our Fitness Room with its carefully created Fitness Menu is the exact decision!

What's so important, it is always fresh and will help you gain energy before and after work-out.



1, 26 May Square, 0171 Tbilisi, Georgia
T: +995 32 2300099
www.hi-tbilisi.com



Holiday Inn

T B I L I S I

ლოვანი კითხვა – ვინ ისარგებლებს კრედიტით? წარმატებული გამოცდილების მქონე ფერმერი თუ დამწყებ ფერმერსაც მიეცემათ შანსი? აგროკრედიტების პროექტით გლეხების სამენარმო და ბიზნეს უნარები თავისთავად არ მაღლდება, რაც უკვე წარმატებულ ფერმერს უფრო მომგებიან მდგომარეობაში აყენებს.

„ცნობილია, რომ ბანკები დამწყებებს არ აფინანსებენ და როგორ მოეხდებოდა ამ პრობლემას, მართალი რომ გითხრათ, არ ვიცი. ალბათ ისევ სპეციალური პროგრამის და სასოფლო-სამეურნეო ბანკის შექმნით.“ – ამბობს ირაკლი ქასრაშვილი.

შელავათიანი აგროკრედიტი სახელწიფოს მხრიდან ფერმერებისთვის პროცენტის სუბსიდირებას გულისხმობს. საშუალო ფერმერებს შელავათიანად წლიური 7-8 პროცენტის განაკვეთით 5000-დან 100 000 ლარამდე კრედიტის გამოტანა შეუძლიათ. უფრო მსხვილი ფერმერებისთვის 100 000-დან 1 მილიონამდე 3 პროცენტის კრედიტით სასოფლო-სამეურნეო სანარმოების დაფინანსება გათვალისწინებულია. ასევე, მცირე ფერმერს საშუალება აქვს მიიღოს უპროცენტო სასაქონლო განვადება, რომლის ფულად ღირებულებას 6 თვეში უპროცენტოდ გადაიხდიან.

„თუ სახელწიფომ მსხვილი ფერმერისთვის საპროცენტო განაკვეთის 3 პროცენტამდე დაწევა მოახერხა, რატომ ვერ მოახერხა იგივე შელავათის მიცემა მცირე და საშუალო ფერმერებისთვის? ამ სექტორში შელავათები უფრო მეტად მაინც მსხვილი მენარმისთვისაა, რომელსაც უკვე გააჩნია აქტივების ბაზა, ბაზარზე ოპერირების უნარ-ჩვევები, გააჩნია ბრუნვები, გაცილებით მდიდარია“, – ამბობს ოქსფამის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერი ლევან დადიანი.

ლევან დადიანის თქმით, სარისკოა აგროკრედიტების ის კომპონენტი, რომელიც უპროცენტო სასაქონლო განვადებას ეხება.

„სასაქონლო განვადების გადახდის 6 თვიანი ვადა ძალიან მცირეა სრულფასოვანი აგრარული ციკლისთვის. რა შეიძლება 6 თვეში გააკეთო, რომ მერე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით სესხი გადაფარო? მაგალითად, შეიძლება გამოაზამთრო საქონელი. საქართველოში საქონლის ბაგურ კვებას 4-დან 6 თვემდე სჭირდება. ამ დროს საჭიროა დამატებითი საკვები. ბაგიდან გამოსვლისას ძროხის წველაღობა 3-4 თვეში ახლდება. ამ დროს, 6 თვის შემდეგ სასაქონლო განვადება გაქვს გადასახდელი. ერთი წელი მაინც მიეცათ გლეხებისთვის“, – ამბობს ლევან დადიანი.


სოფლის მეურნეობის სამინისტროს კიდევ ერთი მიმართულება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნაა. საქართველოს 54 მუნიციპალიტეტში ფერმერებსა და გლეხებს სასოფლო სამეურნეობის განხორციელებისას ამ ცენტრებში კონსულტაციის მიღება შეეძლება. ორგანიზაცია „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ წარმომადგენლის, გიორგი ღლონტის თქმით, ადამიანური და პროფესიული რესურსების ნაკლებობის ფონზე ამ ცენტრების საქმიანობის ეფექტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

დაახლოებით იმავეს ამბობს ლევან დადიანიც: „საკონსულტაციო ცენტრების დებულება საკმაოდ ამბიციურია, მაგრამ შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ინტელექტუალური ბაზის არარსებობის პირობებში წარმატება ნაკლებად სავარაუდოა. კარგი ისაა, რომ ამას სამინისტროც ხედავს და, როგორც ამბობენ, რეალურად ამ ცენტრებს მიწის აღწერისა და ნიადაგის ნაყოფიერების შემოწმება დაევალება.“

სამინისტროს კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება იყო. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე ამბობდა, ეს გლეხისთვის პირველი დახმარება და ხელის განოდეგაა. ექსპერტები თვლიან, რომ ამ პროექტს გრძელვადიანი შედეგი არ ექნება და ეს ხელისუფლების მხრიდან გლეხებისადმი სიმბოლური ყესტია, იმის დადასტურება, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნვას იწყებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი აცხადებს, რომ სამინისტრო საირიგაციო არხების რეაბილიტაციას იწყებს. თუმცა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიის დირექტორის გიორგი ჯახუტაშვილის თქმით, კომუნიკაციის არარსებობის გამო, ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის რა გასარწყვადიანდება.

ქვეყანაში მიწის ნაკვეთების უმეტესობა დაურეგისტრირებელია, არ არსებობს სტატისტიკა. გლეხებსა და მცირე ფერმერებს კონკურენცია არა მხოლოდ იმპორტირებულ პროდუქციასთან უნევთ, არამედ ქვეყნის შიგნით მსხვილ და წარმატებულ ფერმერებთან. ღია კითხვებად რჩება, ვინ იქნება სამინისტროს პროექტების ძირითადი ბენეფიციარი და სოფლის მეურნეობის რა მოდელს მივიღებთ.

„დეკლარირებულია, რომ ქვეყნის პრიორიტეტი მცირე ფერმერების დახმარებაა, მაგრამ თუნდაც საკრედიტო პოლიტიკით რომ ვიმსჯელოთ, ყველაფერი იქით მიდის, რომ მსხვილ მენარმეზე უფრო დიდი აქცენტი კეთდება.“ – ამბობს ლევან დადიანი. 

რეალურად როგორ განვითარდება სოფლის მეურნეობა, ჯერჯერობით რთული წარმოსადგენია. სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე ადამიანების ნაწილი სამინისტროს საქმიანობაში სტრატეგიულ მიდგომასა და ხედავს ვერ ხედავს.

„საქართველოს ბანკი“ გაძლევთ საშუალებას მიიღოთ შეღავათიანი აგროსესხი, გააფართოოთ მეურნეობა და გაზარდოთ თქვენი შემოსავალი

„საქართველოს ბანკი“ ფერმერებისთვის და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული კომპანიებისთვის, შეღავათიანი აგროსესხების გაცემა უკვე დაიწყო. ამ დროისთვის ბანკი რამდენიმე მილიონი ლარის მოცულობის განაცხადებს ამუშავებს. ყველას, ვისაც სურს მიიღოს უპრეცედენტოდ იაფი აგროსესხი, გააფართოოს და მსხვილ ბიზნესად აქციოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, შეუძლია ისარგებლოს საქართველოს ბანკის შეღავათიანი აგროსესხით. „საქართველოს ბანკი“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ორ კომპონენტში მონაწილეობს, რომლის ფარგლებშიც ბანკი მიმდინარე ოპერაციებისთვის საჭირო საბრუნავ და ძირითად საშუალებებს, ასევე წარმოებს აფინანსებს.

ერთ კომპონენტში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსებას ითვალისწინებს, თითოეულ განმცხადებელზე სესხის თანხა 5 000-დან 100 000 ლარამდე განსაზღვრულია. ფერმერს ან მეწარმეს საპროცენტო განაკვეთის თანხის მხოლოდ 6%, 7% ან 8%-ის გადახდა მოუწევს, დანარჩენს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ანაზღაურებს. პროგრამის ამოქმედებამდე ამავე ტიპის სესხებზე დიაპაზონი დაახლოებით 14-15%-დან იწყებოდა, ახლა კი საპროცენტო განაკვეთი სულ მცირე 2-3-ჯერ არის შემცირებული. მეორე კომპონენტი ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღების დაფინანსებას გულისხმობს. ამ ნაწილში იაფი კრედიტის მინიმალური ზღვარი 30 000-დან 600 000 აშშ დოლარამდე მერყეობს, საპროცენტო განაკვეთი კი უფრო დაბალი 1%-დან 3%-მდეა, აღსანიშნავია, რომ მეორე კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია გრძელვადიანი სესხის მიღება 84 თვემდე ვადით.

საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორის, ვაჟა მენაბდის განცხადებით - „წლებია, რაც საქართველოს ბანკი, სოფლის მეურნეობის სექტორში მუშაობს, კარგად იცნობს ამ სფეროს და დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი, შესაბამისად, ზუსტად ვიცით როგორ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, გავცეთ სესხები და შევასოთ რისკები. იაფი აგრო-კრედიტების პროექტის მიზანი, ჩვენს შემთხვევაში არის ის, რომ დავაფინანსოთ საქმიანი, გამოცდილი ადამიანები დაბალპროცენტიანი თანხებით, შეუმციროთ ფინანსური რისკი და კრედიტის თვითღირებულება, რის შედეგადაც ისინი შეძლებენ გაფართოებასა და გაძლიერებას. ბანკს აქვს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო ქსელი, თითქმის ყველა ძირითად, სასოფლო-სამეურნეო რეგიონში გვყავს წარმომადგენლები. უახლოეს პერიოდში ეს წარმომადგენლობები მთელი ქვეყნის მასშტაბით კიდევ უფრო გაიზრდება. მეორე წელია საკრედიტო მრჩევლის ინსტიტუტის ათვისება დაიწყო, ბევრ სოფელში ჩვენი წარმომადგენლები გვყავს, რომლებიც არათუ ფილიალში, არამედ უშუალოდ სოფელში, ადგილზე საქმიანობენ და მოსახლეობას სხვადასხვა სახის კონსულტაციებს უწევენ, მოქნილი პროცედურები და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება კი მაქსიმალურად უადვილებს მათ ბანკთან ურთიერთობას“.

რამდენად ადვილია მიიღოს ფერმერმა საქართველოს ბანკში სესხი და რა არის ამისათვის საჭირო?

ბოლო წლებში „საქართველოს ბანკი“ აგრო-სესხებს მუდმივად გასცემდა. იაფ აგრო-კრედიტებზე განცხადებების მიღება კი დაახლოებით 2 კვირის წინ დაიწყო და პროექტში მონაწილეობის სურვილი ამ ეტაპზე ასობით ადამიანმა გამოთქვა. ბანკის მოთხოვნები ამ მხრივ საკმაოდ რეალისტური და გონივრულია,

თუმცა ბუნებრივია, კრიტერიუმებს ყველა მსურველი ვერ დააკმაყოფილებს. სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიღების დროს ბანკისათვის, მნიშვნელოვანია მსესხებლის კეთილსინდისიერება და გადახდისუნარიანობა. ბიზნესგეგმის წარმოდგენა სავალდებულო მოთხოვნა არ არის. საქართველოს ბანკის შემთხვევაში, მისაღები და საკმარისია ფერმერმა მისი ჩამოყალიბებული ხედვის და გათვლების შესახებ ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია საკრედიტო ექსპერტს. მაგალითისთვის, აუცილებელია განმცხადებელმა ახსნას და დაასაბუთოს რა დანახარჯები აქვს გასაწევი და რა მოსავალს ელოდება, ხოლო რა ფორმით მოხდება ამ ინფორმაციის ბანკისთვის მიწოდება ეს გადაწყვეტი არ არის.

რა ხდება იმ დროს, თუკი ფერმერს პრობლემები შეექმნება მოსავლის მიღებასთან დაკავშირებით, შესაბამისად კრედიტის დაფარვაში?

„თუკი ფერმერმა ობიექტური მიზეზების გამო ადეკვატური მოსავალი ვერ მიიღო, როგორც ყოველთვის, ბანკი მას გვერდში დაუდგება და სესხის რესტრუქტურირების მოახდენს, მეტიც საშუალო პერიოდში ჩვენთან შესაძლოა მეორე სემონის მოსავლის რეალიზაციამდეც კი გადავიწიოთ. მაშინ, როდესაც აგროსესხებზე საპროცენტო განაკვეთი იმაზე მაღალი იყო ვიდრე დღეს, პირველი წლის სესხის პროცენტს შეიძლება, მეორე წლის პროცენტი დამატებოდა, რაც დიდი ტვირთი იყო ფერმერისათვის. იაფი აგროსესხების პროექტის ფარგლებში კი პროცენტი ძალიან მცირეა. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ბაზარზე უკვე არსებობს აგროდაზღვევის პროდუქტები. ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე დაზღვევის გარეშე სესხების გაცემა შედარებით მაღალ რისკთან არის დაკავშირებული. ცხადია, თუ მსესხებელს დაზღვეული აქვს მოსავალი, საკრედიტო რისკიც მცირდება და ბანკისთვის გადაწყვეტილების მიღება იოლდება“.



ნყვახილი უნყვახი ნახმოების სიხლი

ოფიციალური მონაცემებით, სოფლად საქართველოს მოსახლეობის 46,8% ცხოვრობს. თუმცა, ადგილობრივი აგროპროდუქციის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8,4 პროცენტია და ის შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს უზრუნველყოფს. აშკარაა, რომ სოფლად თავმორყრილი ქარბი სამუშაო ძალა საკუთარ შესაძლებლობებს არ ან ვერ იყენებს.

მანანა ვარდიაშვილი

სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის ერთადერთი წყაროა. საქსტატის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა 64% საარსებო მინიმუმის ზღვარზე და მის ქვემოთ იმყოფება, აქედან 23% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში სოფელი სიღარიბის სინონიმად იქცა.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით წელს ხელისუფლებამ რამდენიმე პროექტი წამოიწყო. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო ბარათები დაარსა. 0,25-დან 5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთის მფლობელებმა ამ ბარათებით 100-დან 640-ლარამდე ოდენობის დახმარება მიიღეს. თანხა ნაკვეთის ფართის მიხედვით გაიცა. ბარათის მეშვეობით მცირე ფერმერებს მხოლოდ სპეციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ – თანხის ნაწილი მიწის დამუშავებას, ნაწილი კი მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქის და სხვა საჭირო პრეპარატების შეძენას მოხმარდება. „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ საგაზაფხულო პროექტის ფარგლებში ჯამში 640 000-ზე მეტ მცირე ფერმერს დაეხმარება. ამ პროგრამისთვის ფონდის ბიუჯეტიდან 180 მლნ ლარია გამოყოფილი. გარდა ამისა, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა“ 2013 წლის პირველი აპრილიდან „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში, ფერმერებ-

მა საკუთარი ბიზნესის განვითარების მიზნით დაბალპროცენტიანი კრედიტები უნდა მიიღონ. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ სახელმწიფოს მიერ განეული დახმარების შედეგად ფერმერი უწყვეტი წარმოების ციკლში ჩაებმება – პროცესში, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას აგროსამრეწველო დამოუკიდებლობას მოუტანს.

უწყვეტი წარმოების ციკლის შექმნის შესაძლებლობას მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებითა და შელავათიანი აგროკრედიტების გაცემით ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნევენ ის ადამიანები, რომლებიც მინაზე უშუალოდ მუშაობენ. ჯუმბერ ბლიაძე ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში ცხოვრობს და ოჯახს ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანით არჩენს. „თქვენ რომ ექსპერტებს ეძახით, ერთ-ერთი ასეთი ექსპერტი გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, ხალხია გაზარმაცებული, კახეთში ხალხი დილიდან დაღამებამდე ბირჟაზე დგას და არაფერს აკეთებსო. ბირჟაზე იმიტომ გავდივარ-ხოლმე, რომ ჩემი შრომის შედეგს ვერ ვხედავ. ახლა რომ ვმუშაობ, 10-ჯერ ამაზე მეტს ვიმუშაებდი, მოგება რომ მრჩებოდა. ახლა იმდენი პროდუქტი მომყავს, რაც ჩემი ოჯახის სარჩენად მჭირდება. ეს შემოსავალი არსებობისთვის გეყოფნის, წლიდან წლამდე თავი გაგვაქვს, მაგრამ ოჯახს არაფერი ემატება,“ – ამბობს 57 წლის ჯუმბერ ბლიაძე, – „კარგია, ბარათები რომ დაგვირიგეს, გვარჯილა გამოვიტანე, ნაწილით შხამქიმიკატებს ვიყიდო. დიდი შელავათია ეს გლეხი კაცისთვის, თან გაზაფხულზე, როცა ფული ყველაზე

■ პროექტის ფარგლებში, ფერმერებმა საკუთარი ბიზნესის განვითარების მიზნით დაბალპროცენტიანი კრედიტები უნდა მიიღონ. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ სახელმწიფოს მიერ განეული დახმარების შედეგად ფერმერი უწყვეტი წარმოების ციკლში ჩაებმება – პროცესში, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანას აგროსამრეწველო დამოუკიდებლობას მოუტანს.



მეტად უჭირს. მაგრამ თუ ამინდი გაგვიმართლებს და ნამეტ მოსავალს მოვიყვანთ, მერე იმას რა ვუყოთ?”

ბლიაძის მსგავსად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მოუსავლიანობაც და ჭარბი მოსავალიც ერთნაირი პრობლემაა. გასულ წელს კახეთში ატამის კარგი მოსავალი მოვიდა, მაგრამ გლეხებს მოწეული ხილი ხეებზე დაუღპათ.

„ერთი კილოგრამი ატამის საბითუმო ფასი 13 თეთრამდე დაეცა, მაშინ როცა თვითღირებულება 40 თეთრი იყო. ჰექტარზე 1800 ლარი დავხარჯე და 1000 ლარიც ვერ ამოვიღე. 1 ვედრო ატამს 1 ლარად ვყიდდით და იმისი მყიდველიც არ იყო. ადგილობრივი წარმოება აქ არ არის, რომ ვინმემ ჩვენი მოყვანილი ხილი იყიდოს, ვერც მოსავალი გაგვაქვს ვერსად. ხარჯიც ვერ დაფარეთ. დღედაღამ ვშრომობთ, მაგრამ ხელში არაფერი გვიჭირავს,“ – ამბობს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრები შალვა ქიტესაშვილი.

სოფლის მურნეობის სამინისტროს ინფორ-

მაციით, ატამი გურჯაანისა და თელავის რაიონებში, 4721.20 ჰექტარ ფართობზე გაშენებული და მისი საერთო წარმოება წლიურად 32 396 ტონას შეადგენს. ატამის ჯიშებიდან ძირითადად „ქონელა“, „წითელი და ყვითელი ზებრა“ და „კახური თეთრა“ გავრცელებული.

2011 წელს, კახეთში ატამი 50-70 თეთრი, ვაშლატამა კი 1-1,50 ლარი ღირდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, გასულ წელს ატამის გაიაფება ჭარბ მოსავალთან ერთად მეზობელ ქვეყნებში მისი ექსპორტის შემცირებამაც გამოიწვია: იმის გამო, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ საზღვარზე 1 კგ ატამზე საბაჟო მოსაკრებლის ოდენობა 80 თეთრით განსაზღვრა, აზერბაიჯანელი ექსპორტიორების რიცხვი მკვეთრად შემცირდა.

შალვა ქიტესაშვილი ამბობს, რომ თუ ასე გაგრძელდა და სახელმწიფო ფერმერებს პროდუქციის შესანახი ინფრასტრუქტურისა და გასაღების ბაზრების მოძიებაში არ დაეხმარება, მომავალში ისიც სხვების მსგავსად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვა-

ნას თავს დაანებებს და ვაჭრობას დაიწყებს. ასეთი არჩევანი უამრავი გლეხისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი გზაა, რის გამოც საქართველო თანდათან აგრარული ქვეყნის სტატუსს კარგავს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა პრეზიდენტ სააკაშვილის ყურადღების ცენტრში მოექცა. პრეზიდენტი რამდენიმე პირადი ინიციატივითაც გამოვიდა: „სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობით, აშენდება სასაწყობო მეურნეობები და ლოჯისტიკური ცენტრები, რაც თვისებრივად შეცვლის ექსპორტის სტრუქტურას. ფერმერებს აღარ მოუწევთ გასაღების ბაზრების დამოუკიდებლად მოძიება, რადგან მათ პროდუქციას მიეცემა მაღალხარისხიანი სასაქონლო სახე,“ - განაცხადა პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში და ფსონი მაღალი დონის სასაწყობო მეურნეობების და ლოჯისტიკური ცენტრების მშენებლობაზე დადო.

ახლა საქართველოში 5 თანამედროვე სასაწყობო-სამაცივრო მეურნეობაა: ლაგოდეხში, გორში, აბაშაში, მარტყოფსა და ახაშენში. ახაშენის სამაცივრო მეურნეობის მშენებლობაში 300 000 დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. მეურნეობა, რომელშიც 87 000 ტონა პროდუქტის შენახვაა შესაძლებელი, ამჟამად საერთოდ გაჩერებულია. „იმისთვის, რომ პროდუქტი სამაცივრო მეურნეობაში შეინახოს, მისი მოკრეფის დროს ტექნოლოგიური ციკლი უნდა იყოს დაცული. ფერმერმა უნდა იცოდეს, როდის, როგორ ტემპერატურაზე და შაქრიანობის რა დროს უნდა მოკრიფოს ატამი. მოკრეფის შემდეგ ხილი უნდა დაფასოვდეს ზომისა და ხარისხის მიხედვით და სპეციალურ ტარაში მოთავსდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მაცივარში ატამი არ შეინახება და გაფუჭდება. ამ ტექნოლოგიურ ციკლს საქართველოში არცერთი ფერმერი არ იცავს. მათ ამ ციკლის შესახებ არც ცოდნა აქვთ და არც ფინანსური რესურსი მის დასაცავად, მაგალითად, აუცილებელი ტარას შესაძენად. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეურნეობის ირგვლივ 3000 ჰა-ზე ატამის ბაღია გაშენებული, შესანახი ატამის ყიდვა შეუძლებელია,“ - აცხადებს ახაშენის სასაწყობო მეურნეობის და შპს „ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანიის“ დირექტორი გიორგი ჯახუტაშვილი. მისი აზრით, საქართველოდან აგრარული პროდუქციის ექსპორტის შემცირებასაც ბაზარზე ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის არარსებობა იწვევს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ექს-

პორტზე საქართველოდან ძირითადად ხურმა, კარალიოკი, მწვანილი, ატამი, ვაშლატამა და მანდარინი გადის. ქართული პროდუქციის მთავარი და ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზარი კი უკრაინაა და ამ ბაზარზეც ქართული პროდუქციის წილი ბოლო 2 წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო მცირდება. „უკრაინაში ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდა 2006 წელს დაიწყო, მას შემდეგ რაც რუსეთის ბაზარი დაიხურა. 2006-დან 2010 წლის ჩათვლით უკრაინაში ქართული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი იზრდებოდა, 2011 წლიდან კი ექსპორტმა შემცირება დაიწყო. უკრაინული ბაზრის შესწავლის შემდეგ საინტერესო სურათი გამოიკვეთა: რა რაოდენობითაც მცირდებოდა ქართული ატამისა და მწვანილის ექსპორტი, ზუსტად იმდენით იზრდებოდა უკრაინაში ისრაელიდან და თურქეთიდან მწვანილის, საბერძნეთიდან და ესპანეთიდან კი ატამის ექსპორტი. მიზეზი ის იყო, რომ უკრაინული ბაზრის 60-მა პროცენტმა არაორგანიზებული, საკოლმეურნეო ბაზრიდან ორგანიზებულ, მსხვილ სავაჭრო ქსელში, სუპერმარკეტებში გადაინაცვლა. აღმოჩნდა, რომ ქართველი ექსპორტიორები, რომლებიც სინამდვილეში ერთსეზონიანი გადამტანები არიან, აკმაყოფილებენ საკოლმეურნეო ბაზრის მოთხოვნებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებენ დიდი სავაჭრო ქსელის მოთხოვნებს: მათ არ შეუძლიათ ქსელისთვის მთელი წლის განმავლობაში ხარისხიანი და დაფასოებული პროდუქციის გარანტირებული მოცულობების სტაბილური მიწოდება. ამისთვის არც ერთი ქართველი ფერმერი მზად არ არის. ანუ, ჩვენ მოვძებნეთ კარგი ნიშა, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სტრატეგიის არარსებობის გამო მას თანდათან ვკარგავთ“, - ამბობს ჯახუტაშვილი.

საქართველოში დღეს სოფლის მეურნეობის წარმატებული დარგი და რეგიონი არ არსებობს. ამ სექტორის განვითარებისთვის თანმიმდევრული პოლიტიკა სახელმწიფოს შემუშავებული არ აქვს. ხელისუფლება აგრარულ სფეროში დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად და სპონტანურად ერეოდა, რაც ძირითადად, ყურძნის და მანდარინის რეალიზაციის სუბსიდირებით შემოიფარგლებოდა.

მიზეზი, რის გამოც საქართველოში სოფლის მეურნეობა ვერ ვითარდება, ძალიან ბევრია: აგრარული წარმოების განვითარებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სჭირდება. სა-

■ „ერთი კილოგრამი ატამის საბითუმო ფასი 13 თეთრად დაეცა, მაშინ როცა თვითლირებულება 40 თეთრი იყო. ჰექტარზე 1800 ლარი დაეზარა და 1000 ლარიც ვერ ამოვიღე. 1 ვედრო ატამს 1 ლარად ვყიდდით და იმისი მყიდველიც არ იყო. ადგილობრივი წარმოება აქ არ არის, რომ ვინმემ ჩვენი მოყვანილი ხილი იყიდოს, ვერც მოსავალი გაგვაქვს ვერსად. ხარჯიც ვერ დაეფარეთ. დღედაღამ ვშრომობთ, მაგრამ ხელში არაფერი გვიჭირავს“.

შელავათიანი აგროსესები თიბისი ბანკში უკვე ხელმისაწვდომია



თიბისი ბანკი შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ „შელავათიანი აგროსესების პროექტს“, რომლის ფარგლებშიც, მეორე და მესამე კომპონენტების მიხედვით ფერმერები და მეწარმეები დაფინანსდებიან შემდეგი პირობებით:

	II კომპონენტი	III კომპონენტი
სესხის მოცულობა:	5 000 ლარიდან 100 000 ლარამდე	30 000 დოლარიდან 600 000 დოლარამდე
წლიური პროცენტი:	8%-მდე	3%-მდე
ვადა:	2 წლამდე	7 წლამდე
მიზნობრიობა:	საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება	ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება

კერძოდ, მესამე კომპონენტის ფარგლებში თიბისი ბანკი დააფინანსებს შემდეგი ტიპის საწარმოებს:

1. გადამამუშავებელი საწარმოები;
2. ინფრასტრუქტურული საწარმოები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები, მარცვლეულის საშრობები, სამაცივრე მეურნეობები);
3. ინტენსიური ტიპის პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (მეცხოველეობის ფერმა, მეფრინველეობის ფერმა, ფრინველის საჩეკი მეურნეობა, სათბურები და სხვა დახურული გრუნტის წარმოება, საჩითილეები და სანერგეები, თევზის წარმოება და გადამამუშავება).

ქართველი ექსპორტიორები, რომლებიც სინამდვილეში ერთსეზონიანი გადაამტანები არიან, აკმაყოფილებენ საკოლმეურნეო ბაზრის მოთხოვნებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებენ დიდი სავაჭრო ქსელის მოთხოვნებს: მათ არ შეუძლიათ ქსელისთვის მთელი წლის განმავლობაში ხარისხიანი და დაფასებული პროდუქციის გარანტირებული მოცულობების სტაბილური მიწოდება.

ქართველოში კი გლეხების დიდი უმეტესობა ისევ გუთნით, მამაკაპური თოხით, ბარით და ზურგზე მოკიდებული სანამლი აპარატით მუშაობს. ტრაქტორის საშუალო ფასი 40 ათასი დოლარია. გლეხებს მისი შეძენის საშუალება არა აქვთ. ამჟამად ქვეყანაში სულ 1100 ტრაქტორია. საქართველოში კი 3600-მდე სოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ 3 სოფელს ერთი ტრაქტორი ემსახურება. სოფლის მეურნეობის სექტორში სერიოზულ პრობლემად რჩება ჯიშების განახლება, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ აგრარული წარმოება მომგებიანი გახდეს.

ერთი გლეხის მიერ წერილ, ოჯახურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება მსხვილი ფერმერული მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქტის ფასზე ბევრად მაღალია. ამიტომ არის, რომ საქართველოში იმპორტით შემოსული საქონელი ადგილობრივზე ბევრად იაფია.


მეურნეობების გამსხვილებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ახალი ჯიშების შემოტანას ფული სჭირდება, გლეხს კი საბრუნავი თანხა არა აქვს. მაღალი რისკების გამო აგრარულ სექტორს საბანკო სისტემა არ სწყალობს. გზებისა და მოშლილი ინფრასტრუქტურის გამო სოფლის მეურნეობა უცხოელი ინვესტორებისთვისაც ნაკლებად მიმზიდველი ადგილია.

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ მიერ შეთავაზებულ „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს“ სოფლის მოსახლეობა ჯერ ისევ ეჭვის თვალით უყურებს: „ერთხელ დამჭირდა 3000 დოლარი და არც ერთმა ბანკმა ახლოს არ გამიკარა. სესხი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მომცა, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა სესხის უზრუნველყოფის მიზნით გირაოში სახლი ჩავდე. მიწის ნაკვეთიც მქონდა, მაგრამ იმის ჩადებაზე უარი მიითხრეს, მიწას ფასი არა აქვსო. საცხოვრებელი სახლი ხომ ჩამადებინეს ბანკში და 36%-იანი წლიური სარგებელიც გადაამხდევინეს. იმის მერე შიშით ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისკენ რა გამახედებს. შელავათიანი აგროკრედიტების გაცემას ახლაც დაგვპირდნენ, მაგრამ ბანკები ბიზნესპროექტებს ითხოვენ. ეგ პროგრამა ჩემნაირი გლეხებისთვის არ არის, რა იცის გლეხმა პროექტის დანერგვა? გარდა ამისა, ბანკები კრედიტის უზრუნველყოფას ისევ უძრავი ქონებით ითხოვენ. ერთიც ვნახოთ და მოსავალმა არ გამიმართლოს,

მერე რა ვქნა, ცოლ-შვილი ღია ცის ქვეშ დავტოვო?“, – კითხულობს დედოფლისწყაროში მცხოვრები შალვა ზურაშვილი.

მოსახლეობის პესიმიზმს აქვს საფუძველი – მსგავსი პროექტი საქართველოს მთავრობამ ადრეც განახორციელა. სახელმწიფომ 2008-2009 წლებში „იაფი კრედიტის“ ფარგლებში სოფლის მეურნეობაში 28 მილიონი ლარის ოდენობის კრედიტი გასცა. სანარმოთა უმეტესობამ სესხის დაბრუნება ვერ მოახერხა და მთავრობამ კერძო კომპანიებზე გაცემული მილიონობით ლარი ჩამოიწერა. გლეხები ამბობენ, რომ „იაფი კრედიტის“ პროგრამასთან შედარებით „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ ბევრად უფრო სარისკოა, რადგან ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ფერმერი უძრავ ქონებას დაკარგავს.

სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ექსპერტების აზრით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში 10-წლიანი ყოფნის პერიოდში სოფლის მეურნეობის დარგში არსებული ვერცერთი სისტემური პრობლემა ვერ მოაგვარა. „ყოფილმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად 2 წლის წინ გამოაცხადა. შესაბამისად, 2 წლის განმავლობაში ბევრი ვერაფრის გაკეთება მოესწრო. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა: შემოიტანეს ხორბლის და სიმინდის ახალი სათესლე მასალა, ახალი ტექნიკა და ეს ყოფილ ხელისუფლებას არ უნდა დაეუკარგოთ“, – ამბობს ახალციხის სასოფლო-საკონსულტაციო სამსახურის დირექტორი გურამ ჯინჭველაძე, – „ფერმერთა დახმარების იმ პროგრამას, რომელიც ახლამა მთავრობამ შემოგვთავაზა, ეფექტი ნამდვილად ექნება, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ხელისუფლება ელოდება. სოფლის მეურნეობის წარმოება რომ გაიზარდოს, ამისთვის მთავრობამ ფერმერებს სტიმული უნდა მისცეს და მათ გასაღების ბაზრების მოძიებაში დაეხმაროს. სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია ცალკეული, მცირემასშტაბიანი პროექტებით. სანამ ეს სფერო პრიორიტეტი არ გახდება და მთავრობა არ შეიმუშავებს კომპლექსურ გეგმას და თანმიმდევრულ პოლიტიკას მის გადასარჩენად, მანამდე წარმოების ზრდას და სოფლის მეურნეობის განვითარებას არ უნდა ველოდოთ“.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის 6 თვის თავზე სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ისევ არ არსებობს. 



ექსპერტი აბროდაზღვევაში!

- ▲ მცენარეული კულტურების დაზღვევა
- ▲ მარცვლოვანი კულტურების დაზღვევა
- ▲ საქონლის დაზღვევა
- ▲ ფრინველის დაზღვევა



ფოტო: ლეონ სარალოძე

"სტრატეგიული ხედვა და მასთან სწორება ბუნდია"

ინტერვიუ საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სახელწიფო კომპანიის დირექტორთან, გიორგი ჯახუტაშვილთან

რა არის სოფლის მეურნეობის მთავარი გამოწვევა და პრობლემა?

ითვლება, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში დიდი რესურსებია. როდესაც მოსახლეობის 52% პირდაპირ თუ ირიბად ამბზეა დამოკიდებული, სოფლის მეურნეობის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

სოფლის მეურნეობის პრობლემებზე მსჯელობისას კონკურენტუნარიანი პროდუქტის პრობლემასთან მივდივართ. კონკურენტუნარიანი რასთან და ვისთვის?

სადაა დათვლილი კონკურენტუნარიანობა, სადაა გაკეთებული ანალიზი, რა პროდუქტებია, რომელზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს? ზოგადად, სტრატეგიული ხედვა და მასთან სწორება გვაკლია.

სახელმწიფომ კომპლექსური ეკონომიკური, სოციალური, რესურსული ანალიზით სტრატეგია უნდა ჩამოაყალიბოს, უნდა განსაზღვროს, რა გზით მიდის, რომ ნათლად დაინახოს ყველა რისკი, ხარჯი და პოტენციური შემოსავალი. დღეს კი სახელმწიფომ არ იცის, რა შემოსავალს

მოუტანს დახარჯული ერთი ლარი და რადგან არ იცის, ფრთხილობს და ალტერნატიულ ინვესტიციებს ახორციელებს. სტრატეგიის გარეშე ამ 1 ლარს სუბიექტური გადმოსახედიდან ხარჯავს, რომ სოციალური ხანძარი ჩააქროს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, თანხის მხოლოდ სოციალური მიზნებისთვის ხარჯვა ეკონომიკისთვის შედეგის მომტანი არ იქნება.

ბიუჯეტი შემოსავლებისგან და ხარჯებისგან შედგება. ჩვეულებრივი ბიზნეს-

გეგმა, სახელწიფოს რისი გენერირება შეუძლია და შემდეგ - რისი დახარჯვა. როგორც ყველა განვითარებად ქვეყანას, ხარჯები ძალიან დიდი გვაქვს, შემოსავალი - ძალიან ცოტა. ვფიქრობთ, რა მიმართულებით წავიდეთ. სახელწიფომ უნდა იფიქროს, როგორ შეიძლება არსებული რესურსების ბოლომდე და ეფექტურად გამოყენება.

ამ შემთხვევაში მინაზე ვსაუბრობ, სოფლის მეურნეობაში მინა შეზღუდულია. რატომ იპყრობდნენ ადრე მინებს? იმიტომ, რომ მეტი საკვები და შემოსავალი ჰქონოდათ. ყაზახეთს ბევრი მინა აქვს, მაგრამ ნაკლებად პროდუქტიული მიწებია. რა ქნას? მორწყას? ძალიან ძვირი დაუფჯდება. ურჩევნია, ნავთობი ამოიღოს, ხილი და ბოსტნეული კი იყიდოს. ახლა საქართველომ უნდა დასვას კითხვა, რა უნდა ქნას. დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამომხმარებლო კალათა, არ უნდა გაიზარდოს ხარჯები და რაც ამ კალათაში შედის, წლის განმავლობაში სტაბილურად უნდა გვქონდეს.

დაახლოებით 700 000 ტონა ხორბალი გვჭირდება, აქედან დაახლოებით 600 000 ტონა იმპორტით შემოდის. კახეთში იმდენი ჰექტარი მიწაა, რომ საქართველოს ეყოფა. ხორბლის მომგებიანობა ძალიან დაბალია, როდესაც პომიდორი, მარწყვი და კენკრა, ხარჯთან შედარებით, ბევრად შემოსავლიანია. ამიტომ, იქნებ სჯობდა, მთელ კახეთში მარწყვი მოგვეყვანა და ხორბლისთვის თავი დაგვეწებებინა? მარწყვის სათბურები გაგვეკეთებინა და რუსეთისა და უკრაინის ბაზრები დაგვეპყრო? არა. მარწყვი ისეთი პროდუქტია, საზღვრები რომ ჩაიკეტოს და რამე კატასტროფა მოხდეს, მარწყვით თავს ვერ შეინახავ, თან მალეფუჭებადია. ხორბალი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტია, სურსათის უსაფრთხოების თემას უკავშირდება. დღეს ქვეყანას არ აქვს სურსათის უსაფრთხოების რისკების მართვის გეგმა და არც ბიზნესი არ არის იმ ეტაპზე მისული, რომ ომისა და საზღვრების ჩაკეტვის შემთხვევაში, ორი თვის შემდეგ, პურზე დეფიციტი არ იყოს და ფასები კატასტროფულად არ გაიზარდოს. ქვეყანაში აუცილებელი სურსათის მარაგები არ არის.

რაზე გადის სახელწიფოს სტრატეგია? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პასუხი შემდეგი უნდა იყოს - სახელწიფოს სტრატეგია გადის სურსათის უსაფრთხოებაზე და შემდეგ შემოსავლის მიღებაზე. სურსათის უსაფრთხოება იმპორტის ჩანაცვლებაზე.

■ სახელწიფომ კომპლექსური ეკონომიკური, სოციალური, რესურსული ანალიზის შედეგად სტრატეგია უნდა ჩამოაყალიბოს, უნდა განსაზღვროს, რა გზით მიდის, რომ ნათლად დაინახოს ყველა რისკი, ხარჯი და პოტენციური შემოსავალი. დღეს კი სახელწიფომ არ იცის, რა შემოსავალს მოუტანს დახარჯული ერთი ლარი და რადგან არ იცის, ფრთხილობს და ალტერნატიულ ინვესტიციებს ახორციელებს.

დღესდღეობით ყველაფერი იმპორტირებულია?

კი, თითქმის ყველაფერი იმპორტირებულია. საქმელი ყურძენიც კი იმპორტია სომხეთიდან, არგენტინიდან, მაროკოდან. ვაშლიც იმპორტით შემოდის. გადამყიდველი ყველგან გადამყიდველია და ის ვაშლი შემოაქვს, რომელიც დიდხანს ინახება და მიმზიდველია. გვაქვს ძველი ჯიშები და არა ახალი, რადგან ინვესტიციას ვერ ვხედავთ. შესაბამისად, „გუდვილში“ თუ სხვა ქსელებში ის პროდუქტი იყიდება, რომელიც მომხმარებელს მოეწონება, თვალს მოჭრის. მომხმარებელი ასეთ ვაშლზე გადავიდა და შესაბამისად, რაც აქ არ

ინარმოება, იმპორტით შემოდის. სტრატეგიული პროდუქტები: ხახვი, ლობიო და კარტოფილიც კი იმპორტირებულია.

ხორბალი კარგი მაგალითია. სტრატეგიული პროდუქტია, მაგრამ დაბალხარჯიანია, მაგრამ ამავედროულად, დაბალშემოსავლიანია, ზოგადად არარენტაბელურია. მცირე მასშტაბებზე არაა მომგებიანი ხორბალის დათესვა. რა ვქნათ, ბიზნესს ხელი შევეწყობთ, რომ 600 000 ტონა ხორბალი აწარმოოს? მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად, მაგრამ გეგმაზომიერად. ამდენი ტონა ხორბალი რომ ვაწარმოოთ, მინიმუმ 200 000 ჰექტარია საჭირო. ქვეყანაში კი სულ 800 000 ჰექტარია.

ეს იმას ნიშნავს, რომ 800 000 ჰექტრის ყველაზე ოპტიმალურად დატვირთვის ამოცანა დგას?

დიახ, უნდა ვეცადოთ, რომ 800 000 ჰექტარი ისეთ მონაკვეთებად დაგვყოთ, რომ მაქსიმალური შემოსავალი ამოვიღოთ მისგან და რაც შეიძლება ოპტიმალურად დავხარჯოთ. დაგვემვის პროცესში, გამოირჩეხთ ბანანი, ანანასი და ის პროდუქტები, რაც კლიმატური და სხვა მიზეზების გამო არ უნდა მოვიყვანოთ და შედეგად, პროდუქტების პოტენციურად სანარმოებელი სია დაგვრჩება. მთელი მსოფლიო ცდილობს პირველადი წარმოება ისე დაგვემოს, რომ ნაკლები ხარჯი და მაქსიმალური მოგება ჰქონდეს. ამას გვგმობენ, ხარჯთაღრიცხვა და ზოგადად, სწორი ანალიზი სჭირდება.

სტრატეგიული ხედვაა, რომ სურსათის უვნებლობა გვინდა, მაგრამ ამისათვის ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. მინა და წყალი გვაქვს, მინას სასუქები სჭირდება, წყალი უნდა მივიდეს ნაკვეთებამდე, კიდევ სახელწიფო ინსტიტუციებია შესაქმნელი კვლევისა და ანალიზისთვის. ამას გარდა, განათლებაში უნდა ჩავდოთ ფული კადრების მოსამზადებლად. ამ ყველაფრისთვის, ადამიანური რესურსების გარდა, დიდი მოცულობის მატერიალური რესურსი გვჭირდება. საიდან უნდა მოვიდეს ეს რესურსი? პირველი კითხვა, რასაც სვამენ-ხოლმე, არის - „ბიუჯეტი რამდენს მოგვცემს“, რაც, ჩემი აზრით, არაპროდუქტიულია. მეორეა - კერძო ინვესტორის

ՀԻՄՈՒՅՐՈՒԹՅԱՆ ՎՃԱՐՄԱՆԻՒՄՆ ԵՎՈՅՑ

ՆԱԽՍԵՐԻՆ ԲՐԱՐՈՒՄԻ ԱՐՄԱՆ

- շնորհիվ հասնում էր ավելի մեծ հասանելիության հարցերը հանրությանը և ավելի լավ անհատներին:

ՎՃԱՐՄԱՆ ԱՆՔՐՈՒՄՈՒՅՆ ԲՈՒՆՈՒՄ


- շնորհիվ շնորհիվ լավագույն ծախսերի կիրառման և արդյունավետության բարձրացման համար, որի արդյունքում հասնում էր ավելի մեծ հասանելիության հարցերը հանրությանը և ավելի լավ անհատներին:
- շնորհիվ շնորհիվ լավագույն ծախսերի կիրառման և արդյունավետության բարձրացման համար, որի արդյունքում հասնում էր ավելի մեծ հասանելիության հարցերը հանրությանը և ավելի լավ անհատներին:



ՎՃԱՐՄԱՆ ԵՎ ԲՐԱՐՈՒՄԻ

- արդյունավետության բարձրացում և արդյունավետության բարձրացում
- շնորհիվ շնորհիվ լավագույն ծախսերի կիրառման և արդյունավետության բարձրացման համար, որի արդյունքում հասնում էր ավելի մեծ հասանելիության հարցերը հանրությանը և ավելի լավ անհատներին:

ՆԱԽՍԵՐԻՆ ԲՐԱՐՈՒՄԻ

- 3 կգ արհեստական ծախսերի կիրառման, իսկ 2 կգ արհեստական ծախսերի կիրառման
- շնորհիվ շնորհիվ լավագույն ծախսերի կիրառման և արդյունավետության բարձրացման համար, որի արդյունքում հասնում էր ավելի մեծ հասանելիության հարցերը հանրությանը և ավելի լավ անհատներին:
- շնորհիվ շնորհիվ լավագույն ծախսերի կիրառման և արդյունավետության բարձրացման համար, որի արդյունքում հասնում էր ավելի մեծ հասանելիության հարցերը հանրությանը և ավելի լավ անհատներին:





მოზიდვა. როდესაც ინვესტორს ეუბნები, რომ ინვესტიცია ჩადოს, რას ახვედრებ, როდის რას უნდა ელოდეს შენგან? ინტერესდება რა არის შენი პრიორიტეტი. თუკი ხორცის ბიზნესში ფულს ჩადებს, აინტერესებს განათლებაში თუ დებ ფულს ვეტერინარების მოსამზადებლად.

რატომ არ დაიღო ეს სურათი ბოლო წლებში?

რთულია ამ სურათის დადება. რესურსი, ხედვა და სტრუქტურების კოორდინირებული საქმიანობა სჭირდება. წინა ხელისუფლებამ დაინახა, რომ უარმავე პრობლემა და უამრავი რესურსი საჭირო, ამიტომ ნაკლებპრიორიტეტულად ჩათვალა.

ახალმა ხელისუფლებამ პრიორიტეტთა შორის დაასახელა სოფლის მეურნეობა, ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში.

დიახ, მაგრამ სტრატეგია ჯერ ისევ არ არის გამოკვეთილი. მაგალითად, სად შიძლება მოვიპოვოთ საჯარო ინფორმაცია სარწყავი სისტემების შესახებ? სად არის წყალი და სად შეიძლება მივიღეს დროის გარკვეულ პერიოდში? დაეუშვათ, მე ვარ ინვესტორი, ერთმანეთთან როგორ დავაკავშირო იაფი სესხი და წყალი? პარტნიორთან რომ მივალ და ბოსტნეულში ფულის ჩადებას ვთხოვ, უნდა ვუთხრა, წყალი მექნება თუ არა, როდის მექნება და ა.შ. ინვესტორს უნდა შეეძლოს ამ ინფორმაციის ოფიციალური წყაროდან მიღება. ამ ტიპის სტრატეგიულ სწორებაზე ვსაუბრობ. როცა სახელწიფო მიხედება, რომ მცირე ინფორმაციას მცირე პრობლემების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა აქვს, ანალიზსა და ამ ანალიზის კომუნიკაციას დროს დაუთმობს. ინფორმაციის ხარისხს და სისწრაფეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სტატისტიკის დეპარტამენტი 6 თვის დაგვიანებით აქვეყნებს ინფორმაციას, როდესაც ერთი წლით ადრე გჭირდება სტატისტიკური პროგნოზი.

რა მნიშვნელობა აქვს ექსპორტს და რა პრობლემებია ექსპორტში?

ჩვენს ქვეყანაში მოხმარება იმდენად მცირეა, რომ თუ სოფლის მეურნეობის

განვითარებაზე ვსაუბრობთ, ეს პროდუქტის ექსპორტსაც გულისხმობს. თუ გასავალი და რეალიზაცია არ იქნება, არაფერს აზრი არ ექნება.

როგორც წარმოება პრობლემა, ისევეა გაყიდვა. გაყიდვები არ იქნება, თუ პროდუქტი არ იქნება, პროდუქტი არ იქნება, თუ გაყიდვები არ იქნება. კვერცხი და ქათამივითაა. სახელმწიფო თუ ხარ და ხვდები, რომ არც კვერცხი გაქვს და არც ქათამი, მაშინ ან კვერცხი უნდა გააკეთო, ან ქათამი. ბიზნესსამყაროში თავისით არაფერი ჩნდება. ფაქტია, სახელმწიფოს მონაწილეობა მნიშვნელოვანია. მინიმუმ ბაზრის კვლევა უნდა გააკეთოს, რომ

მთელი მსოფლიო ცდილობს

პირველადი წარმოება ისე

დაგეგმოს, რომ ნაკლები

ხარჯი და მაქსიმალური

მოგება ჰქონდეს. ამას გეგმები,

ხარჯთაღრიცხვა და ზოგადად,

სწორი ანალიზი სჭირდება.

იცოდეს, სტრატეგიაში რა გაითვალისწინოს და ხელი რას შეუწყოს.

მთელი ჩვენი კომპეტენციები იმპორტშია დაგროვებული. რეალურად ექსპორტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ გვიკეთებია. საექსპორტოდ არც ინფრასტრუქტურა და არც ცოდნა არ გავვაჩნია. მით უმეტეს, ისეთ მალფუჭებად პროდუქტებში, როგორც სოფლის მეურნეობაშია.

როდესაც ამ სფეროში საქმიანობა დავიწყებ, პირველი, რაც გავაკეთებ, იმ ფაქტების ანალიზი იყო: რა გადის ქვეყნის გარეთ, როგორ გადის, ვის გააქვს, სად არის ჩვენი დღევანდელი ბაზარი.

მიმდინარე ეტაპზე ქართული წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ძირითადად ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის ბაზარი უკრაინაა. აქაც ცუდი

ტენდენციები დავინახე. საქართველოს ექსპორტი ერთ ბაზარზეა მიბმული და ასეთი რისკი ქვეყანამ უკვე განიცადა, როდესაც რუსეთის ბაზარი დაიკეტა.

მწვანის ექსპორტი უკრაინაში 2006 წლიდან იწყება. რუსეთის ბაზარი დაიკეტა 2006 წელს და ექსპორტიორები უკრაინის ბაზარზე გადავიდნენ. 2006-დან 2010 წლამდე საქართველოდან იმპორტის ზრდა იყო. ჩვენი მემწვანელები გადავიდნენ უკრაინის ბაზარზე და 1000 ტონიდან 3500 ტონამდე ავიდნენ. საინტერესო ტენდენცია დავინახე, 2010 წლიდან საქართველოდან ექსპორტის შემცირებას თურქეთისა და ისრაელის ექსპორტის ზრდა მიყვება. ფაქტობრივად, ჩვენ მივეცით სიგნალი, რომ უკრაინაში ბაზარია. თუმცა ისრაელმა და თურქეთმა ექსპორტი გვაჯობეს იმიტომ, რომ მეტი კომპეტენცია და ინფრასტრუქტურა აქვთ.

ექსპორტს ორი ამოცანა აქვს: საექსპორტო ბაზრებზე გავზარდოთ იმპორტის წილი და ავითვისოთ სხვადასხვა ბაზარი, სადაც ბოლომდე ვეცდებით, რომ კონკურენტუნარიანობა შევინარჩუნოთ. რომელიმე ბაზარზე თუ ვართ, უნდა ვეცადოთ, რომ ის ბაზარი არ დაგვკარგოთ.

ქართველი მენარმეები მიჩვეულები იყვნენ საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობას. საკოლმეურნეო ბაზარი იყო ძირითადი არხი, რომლიდანაც პროდუქტი მიდიოდა კოოპერატიულ მალაზიებში. საზღვრების გახსნასთან ერთად ეს მალაზიები ნელ-ნელა ქსელებად გადაიქცა. ქსელებში გამოცდილი ვაჭრები გაჩნდნენ, ფაქტობრივად, მოხმარებელსა და მწარმოებელს შორის გაჩნდა ბიზნესი.

მოხმარების ბაზრის დიდმა ნაწილმა გადაინაცვლა ქსელში. მთელი ჩვენი პროდუქტი, როგორც აღმოვაჩინე, უკრაინაში საკოლმეურნეო ბაზარში მიდის. ზარალი, რა თქმა უნდა, დიდია. ზოგს უფუჭდება, იმიტომ, რომ ტექნოლოგიური ციკლი დარღვეულია, ისეთ დროს ჩაიჭანა, როდესაც უკვე დაბალი ფასებია, გაყიდვიდან თანხა ვერ ამოიღო. ასეთ გამტანებს ერთ სეზონიან გამტანებს ვეძახი, რომელთა ბაზარი საკოლმეურნეო ბაზარია და ბაზრის მოთხოვნა და მათი საშუალებები ერთმანეთს ემთხვევა.

ყვლაფარი ფერმერებისთვის



აგროკიზიკი
AGROQIZIKI

სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სფეროში ჯერ კიდევ რთული ვითარებაა. პრობლემას არაკვალიფიციური მუშახელი და ახალი ტექნოლოგიების არცოდნა ქმნის.

„ამ სფეროში სპეციალისტების ნაკლებობაა. ვამბობთ, რომ სოფლის მეურნეობაში ერთი მილიარდი უნდა დავხარჯოთ, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, რომელიმე ეკონომისტს ბიზნესგეგმას დაუფინანსებენ?! არადა შეიძლება მან არც კი იცოდეს, როგორ განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო პროექტი. ფერმერებს კი ხელი არ მიუწვდებათ ბიზნესგეგმის შექმნაზე, ამიტომ ისევ თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან,“ - ამბობს ფერმერი ბექა გონაშვილი.

ბექამ 2011 წელს დედოფლისწყაროში ფერმერთა მომსახურების ცენტრი „აგროკიზიკი“ გახსნა, სადაც ყველა ის ნივთი, წამალი თუ სასუქი იყიდება, რაც სოფლის მეურნეობისთვის ფერმერს სჭირდება: ვაქცინები, ვეტრეპარატები, შხამქიმიკატები და აგროტექნიკა.

გარდა ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო ნივთებისა და პრეპარატებისა, ფერმერებს მალაზიაში ინოვაციური ტექნიკის ყიდვაც შეუძლიათ, მაგალითად, მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტრო მწყემსის. იგი მწყემსს შესაძლებლობას აძლევს, ერთი ადგილი შემოღობოს და მხოლოდ იქ აბალახოს პირუტყვი.

სხვა მალაზიებთან შედარებით „აგროკიზიკი“ ფასები საგრძნობლად დაბალია. გარდა ამისა, დიდი რაოდენობის პროდუქციის მყიდველებისთვის განსაკუთრებული შეღავათებია.

სულ მალე კი ცენტრში ხელოვნური განაყოფიერებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა იქნება შესაძლებელი. ამისთვის ბექა გონაშვილმა კატრეთის პროფესიულ სასწავლებელში ოთხი სპეციალისტი გადაამზადა. ისინი ხელოვნურ განაყოფიერებაზეც იმუშავენ და ფერმერებს ვეტარინარულ კონსულტაციებსაც გაუწევენ. ერთი პირუტყვის განაყოფიერება საშუალოდ 35 ლარი ეღირება.

ამით ფერმერი მეტ მოგებას მიიღებს და პირუტყვის ჯიშებსაც გაუმჯობესებს. თუმცა მხოლოდ ხელოვნური განაყოფიერებითა და მედიკამენტური ჩარევით პრობლემა ვერ მოგვარდება და არც ჯიშები გაუმჯობესდება. ამას გარდა, პირუტყვისთვის სპეციალური საკვება საჭირო.

ამ მიზნით ბექა გონაშვილი სექტემბერში საკვების საწარმოს

გაკეთებას გეგმავს, სადაც ცხოველებისთვის სპეციალური საკვები დამზადდება: „ცალკე საკვები იქნება მეწველი ძროხებისთვის, ცალკე იქნება სასუქი საკვები, ღორებისთვის სხვა საკვები იქნება და ქათმებისთვისაც – სხვა. მიზანი ეფექტის მიღებაა.“

ფერმერთა მომსახურების ცენტრში 5 000 ლარამდე უპროცენტო განვადების მიღებაცაა შესაძლებელი.

ფერმერთა ინფორმირებულობისა და ინოვაციების შემოსატანად ბექა გონაშვილი საკუთარი ხარჯებით თბილისიდან ხშირად იწვევს სხვადასხვა დარგის მეცნიერებს და ფერმერებს ტრენინგებს უტარებს. ამგვარი კონსულტაციები უფასოა. გარდა ამისა, ფერმერებს კონსულტაციის მიღება „აგროკიზიკი“ ტელეფონის მეშვეობითაც და ცენტრის ვებგვერდზეც შეუძლიათ, რომელიც ორშაბათიდან დაიწყებს ფუნქციონირებას. გარდა საინფორმაციო დაწინაურებისა, საიტზე სარეკლამო განცხადებების გამოქვეყნებაც შეიძლება, თანაც სრულიად უფასოდ.

იმისთვის, რომ ფერმერებმა შედეგი უკეთესად დაინახონ და ინოვაციების მიმართ მეტი ნდობა გაუჩნდეთ, ბექა გონაშვილი საკუთარი ხარჯებით რამდენიმე სოფელში სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას აპირებს: „თუკი ჩვენი ხარჯებით გავაკეთებთ, მოსახლეობა შედეგს დაინახავს და მერე თვითონ გააკეთებს ამას.“

ბექა გონაშვილმა ფერმერებისთვის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ორ სოფელში – გემო ქედში და არხილოსკალოში კიდევ ორი მალაზია გახსნა.

იგი შემოდგომიდან ნიადაგის ლაბორატორიის გახსნას აპირებს, რომელიც იკვლევს კონკრეტულ ნიადაგს რომელი და რა დოზის სასუქი სჭირდება. ეს ფერმერს სასუქის ზუსტად შერჩევასი და ხარჯების დაზოგვასი დაეხმარება.

ასევე, შემოდგომიდან იხსნება ხორბლის ხარისხის ლაბორატორია, სადაც შეისწავლიან, როგორი ხარისხისაა ხორბალი და რა არის მისი ღირებულება.

ორივე ლაბორატორია ფასიანია, თუმცა მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება ფერმერებისთვის.

ბექა გონაშვილი დედოფლისწყაროში ნებისმიერ მსურველს იწვევს, რომელსაც სოფლის მეურნეობის სფეროში გარკვეული განათლება აქვს, მათ შესაბამის ანაზრაურებასაც ჰპირდება და საჭიროების შემთხვევაში საზღვარგარეთ ვიზიტებსაც დაუფინანსებს.



ფერმერთა მომსახურების ცენტრ „აგროკიზიკის“ ტელეფონის ნომერი: 0356 22 31 00

ბექა გონაშვილი: 599 56 71 31

ვებ გვერდი: www.farmers.ge

რაც შეეხება ქსელს, რომელიც რეალიზაციის ბაზრის 60 პროცენტი გახდა, გამომყიდველმა, რომელიც ამ ქსელშია, რისკები იცის, ფულის გაკეთება უნდა და სხვა მოთხოვნები აქვს. მას სჭირდება სტაბილური მოცულობა, ნორმალური სასაქონლო სახე და ტრანსპორტაბელური შეფუთვა.

გადაწყიდველს არ უნდა მანქანაში შეყრილი პროდუქტი, ხარჯს უმატებს. არც დიდ ყუთებში ჩალაგებული ხილი უნდა, ჯერ ერთი სასაქონლე სახეს კარგავს და იჭყლიტება, მეორეც, მძიმე ყუთების გადმოტანაზე მუშამ შეიძლება საერთოდაც უარი უთხრას.

კიდევ ერთი პირობა კონსიგნაციაა, როდესაც ჩაბარებიდან 21-30 დღეში იღებენ ფულს. ყველა ქსელს კონსიგნაცია უნდა. რომელი ფერმერია საქართველოდან მზად, რომ ათასობით ტონა პროდუქტი მიანოდოს ქსელს და 30 დღის შემდეგ აიღოს ფული? ამასთან ერთად, ინფრასტრუქტურაც არა აქვს. სხვა პრობლემაცაა. ჩვენთან პროდუქტს მაშინ კრეფენ, როდესაც ჩაბარება ცხადდება. დაკრეფას თავისი დრო აქვს, ფერს რომ ოდნავ მიიღებს, ეს არ ნიშნავს, რომ ხილი შეიძლება მოკრიფო, მას თავისი შექრიანობის დონე უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში, დიდხანს ვერ გაძლებს და მალე გაფუჭდება.

პალეტი რომ შეგვკრა, ამისთვის სწორი იატაკი მჭირდება და მეორე, ეს პალეტი მანქანაზე ხომ უნდა დაგვიერთო? ამისთვის სატვირთო მჭირდება, შესაბამისი ინფრასტრუქტურაც არ გვაქვს. ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ვართ. ისეთი სიტუაციაა, ჩაის დალევა გინდოდეს და ჩაიდინიდან სვამდე, იმიტომ, რომ ჭიქა არ გაქვს.

ყუთის ცეხიც არ გვაქვს.

არსებობს კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომლის შესახებაც ბევრმა არ იცის. იმის გამო, რომ ჩვენი ფერმერები ძირითადად მცირეუზვეტიანები არიან, მათთვის რთულია ექსპორტის ლეგალურად ორგანიზება. რამდენიმე წლის წინ, ჩვენთან ქართველებისა და უკრაინელების პარტნიორობით, ჩამოყალიბდა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპანია. მთავრობამ რომ ამოიღოს

სტატისტიკა, ჩათვლის, რომ ეს ოთხი კომპანია ექსპორტიორია, რეალურად ლოჯისტიკური კომპანიები არიან. ფერმერების ჯგუფი ამ კომპანიებთან მიდის და უკრაინაში ტვირთი ამ კომპანიების საშუალებით გადააქვს. ფერმერებს საბუთები არ აქვთ, საბაჟოზე გავლის პროცედურები არ იციან. ამათთან კი მარტივია, გადაიხდი გარკვეულ თანხას, ერთ ტონაზე გაანგარიშებით, და შენს ტვირთს ილიჩოვსკის პორტში მიიღებენ.

ეს კომპანიები რომ არ იყოს, ექსპორტი რაც არის, ისიც არ იქნებოდა, მაგრამ ახლა ცვლილებებია საჭირო. განვითარებისთვის საჭირო შემოსავალი

■ ექსპორტს ორი ამოცანა

აქვს: საქსპორტო ბაზრებზე

გავზარდოთ იმპორტის წილი და

ავითვისოთ სხვადასხვა ბაზარი,

სადაც ბოლომდე ვეცდებით,

რომ კონკურენტუნარიანობა

შევიწარმოთ. რომელიმე

ბაზარზე თუ ვართ, უნდა

ვეცადოთ, რომ ის ბაზარი არ

დავკარგოთ.

ფერმერთან არ რჩება და შესაბამისად რეცესია გვაქვს.

აღნიშნული მექანიზმის უარყოფითი მხარე ისაა, რომ უსაბუთო ვაჭრობაში იკარგება 20%-იანი ჩათვლადი გადასახადი, რაც საბაჟოზე რჩება და უსაბუთო მოვაჭრისთვის თვითღირებულების შემადგენელ ხარჯად იქცევა. ისედაც მძიმე კონკურენტულ პირობებში, პროდუქციის 20%-ით გაძვირება წამგებიანია სრულიად ქვეყნისთვის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

ფერმერებთან მუშაობა საჭირო, რომ იურიდიულად დარეგისტრირდნენ და ადრე თუ გვიან, ექსპორტიორებად

იქცნენ. ბოლოს და ბოლოს, სესხის აღება ხომ ენდომებათ? როგორ მიიღებენ იავ კრედიტს, თუ იურიდიულად დარეგისტრირებული არ არიან? იურიდიულად დარეგისტრირების შიში უნდა გაუქარწყლოს სახელწიფომ და უნდა ჩამოიყალიბოს პოლიტიკა, რომ მათ საგადასახადო შეღავათები ექნებათ. უფრო მეტიც, თუ ბუღალტერიის კეთება არ იციან, ამაშიც უნდა დაეხმაროს.

თუ ექსპორტი სტრატეგიული ამოცანაა, მაშინ ასევე სტრატეგიულია არსებული ბაზრების შენარჩუნება. თუ ვხედავთ, რომ ბაზრის დიდი სემენტის მარტივ მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ, რაღაც უნდა ვქნათ. პრობლემის გადაჭრა მარტივია, საჭიროა ინფრასტრუქტურა, საბრუნავი სახსრები შესაფუთი მასალის, ტრანსპორტირებისა და ორგანიზაციული საკითხებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია კვალიფიკაციური კადრების შექმნა.

მოკლედ, სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: სწავლა, ინფრასტრუქტურა და საბრუნავი კაპიტალი. ვინ უნდა ააშენოს ინფრასტრუქტურა? ყველა იტყვის, რომ ინვესტორი უნდა მოვიზიდოთ და ფული ჩავადებინოთ. მე არ დავინწყებდი ინფრასტრუქტურისთვის ინვესტორის ძიებას. სახელწიფოს მიზანი ხომ სოფლის მეურნეობის განვითარება ანუ პროდუქტის წარმოებაა? სახელწიფომ იმიტომ უნდა ჩადოს ინფრასტრუქტურაში ფული, რომ ეს ინფრასტრუქტურა ფერმერისთვის და-მხმარე ინფრასტრუქტურა იყოს და არა გამლატაკებელი, მოგების გამყოფი.

რას საქმიანობს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სახელმწიფო კომპანია?

ახლა ვწერთ იმ ყველაფერს, რაც მოგიყვით, ამის დოკუმენტირებას ვახდენთ. საკმაოდ დიდი ნაშრომი გამოვა, რომელიც კარგად გამოკვეთს რა არის მესიჯები, რა პრობლემებია ექსპორტში და, ზოგადად, რა სისტემურ პრობლემებთან მივდივართ. ვცდილობთ, ჩამოვაყალიბოთ, რა მინიმალური ნაბიჯები არის გადასადგმელი მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლისთვის. **■**

ესაუბრა თინა ყიფშიძე

ԿԱՇԿԱԳՐՈՒ ՍԵՆ



ՄԱՅՈՒՆ ԵՐԿՐԵՐ ԼՈՐԵՐԵ ՆՇԵՒԲ
ԿԱՅՈՐԵՆ 00:22 22:00 ԼՆՏՈՐԵՆ



ფეხმეხი ნითაღი ქაბიღი

ეს ამბავი ხუთი წლის წინ ახალციხეში ორი ძროხის ყიდვით და სოფლის მეურნეობის სფეროში ნულოვანი გამოცდილებით დაიწყო, თუმცა დღეს ნინო ზამბახიძე წარამტებული ფერმერი და ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეა.

ავტორი: ზურა ვარდიშვილი, ფოტო: გიორგი გოგუა

იცოცხლის ექიმს ტელეფონში როგორ ვუწეროვარ, – მეუბნება ნინო ზამბახიძე, – რეგიონული განვითარების ასოციაციის დამფუძნებელი, ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე, ორი ქარხნის, ვაშლის ბაღების, ფერმის, სახნავ-სათესი მიწების, ყავის სადისტრიბუციო ქსელისა და უამრავი სიგელ-სერტიფიკატის მფლობელი, – და იქვე მპასუხობს: ნინო-ძროხა.

თბილისში, გოგებაშვილზე, ფერმერთა ასოციაციის სამსართულიან ოფისში, ნინოს კაბინეტში ვსხედვართ და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადამღებ ჯგუფს ველით. „ჩემი ძროხიკები“, – ამბობს ნინო და შემინული კარადის თაროდან მინიატურული ზომის სათამაშოს იღებს. თაროზე სხვადასხვა ჯიშის, ფორმისა და ფერის „ძროხიკები“ ჩამწკრივებულიან...

ყველაფერი დალევით დაიწყო, – ყავის დისტრიბუციის ბიზნესში ნინოს პარტნიორი, ბესო ბაბუნაშვილი ახალციხეში სათევზაოდ ჩავიდა. თევზაობას სუფრა მოჰყვა. შექეიფიანებულმა ბაბუნაშვილმა ორი ძროხა იყიდა, მერე პარტნიორს დაურეკა და ახარა, რომ მათ ამიერიდან ორი ძროხა ეყოლებოდათ და ნატურალური რძე-მანონი ექნებოდათ.

ბესო თბილისში დაბრუნდა და ნინოსთან ერთად Vergnano-თი სასტუმროებისა და კაფეების მომარაგება განაგრძო. მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა უნდა ექნათ თავიანთი ორი ძროხისთვის, რომლებიც ახალციხის რომელიღაც სოფელში დაბალახობდნენ. მალე სოფლებმა დაურეკეს და აუხსნეს, რომ საქონელს კვება და მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. მცირე ხნის შემდეგ, ორი ძროხის

საკითხის გადასაწყვეტად ბიზნესპარტნიორები ახალციხეში გაემგზავრნენ.

კამერასთან მუშაობა ნინოსთვის პრობლემა არ არის. საზოგადოებრივი მაუწყებლის გადამღებ ჯგუფთან, რომლის გადაცემის მთავარი გმირი სწორედ „ჯორჯიან ბიზნეს ზონის“ დამფუძნებელი ნინო ზამბახიძეა. დამაჯერებელად, მშვიდად და ერთგვარად არტისტულადაც კი გამოიყურება. ტელევიზიის ოდნავ დაბნეულ ჟურნალისტს ნინო რჩევებს იქით აძლევს. დუბლი ერთი, დუბლი ორი, დუბლი სამი და მაუწყებლისთვის ჩვეული, წინასწარ დადგმული სცენა გადაღებულია...

ჩანერის შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეხვედრაზე მივემგზავრებით, სამწუხაროდ, აუდიენცია საჯარო არ არის. ვიდრე ფერმერთა ასოციაციის შეფი მინისტრს ესაუბრება, მანქანაში ნინოს მოადგილესთან, ეკა ლომინაშვილთან, გასაუბრებას ვახერხებ: თანამშრომლებთან მომთხოვნიან, მაგრამ მეგობრული. მათ გულდასმით არჩევს, მაგრამ მერე აღარ ელევა, თითოეულის შესახებ წვრილმანებიც იცის და მათი არც სიხარულის, არც დარდის მიზეზი არ გამოეპარება. ჩხუბი არ შეუძლია, რომც მოინდომოს, ეს მხოლოდ თანამშრომელთა სიცილს იწვევს. სხვისი მანქანის საჭესთან არასოდეს ჯდება და რესტორანში ყოველთვის თვითონ იხდის.

ახალციხეში ჩასვლისას პარტნიორები ვერც კი წარმოიდგენდნენ, ორი ძროხის მოვლა როგორი შრომატევადი აღმოჩნდებოდა. 2007 წელი იყო, რეგიონის ინფრასტრუქტურა თუ ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობა იმაზე მძიმე იყო, ვიდრე დღესაა. მალაზიების, რეს-



ტორნებისა თუ სასტუმროების საერთაშორისო ბრენდებს, რომლებსაც ახალციხეში ახლა მრავლად შეხვდებით, მაშინ თვალთაც ვერ ნახავდით. სახნავ-სათესი მიწები, რომლის უდიდესი ნაწილი ახლა დამუშავებულია, და უნაყოფო კლდეებს შორის ფერად-ფერად გეომეტრიულ ფიგურებად გალნაგებულია, მაშინ უპატრონოდ იყო. არ არსებობდა ნორმალური სატრანსპორტო გზა, საირიგაციო სისტემები.

თუმცა, პარტნიორები არ შეშინებულან. სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის იდეა მოეწონათ, ათასწლეულის გამონვევის პროექტში საგრანტო წინადადება შეიტანეს და 125 000 დოლარი მიიღეს. ამ ფულით რძის გადამამუშავებელი ქარხანა ააშენეს. შემდეგ სესხი აიღეს და საქონლის კომბინირებული საკვების დამზადებაც დაიწყეს. თავდაპირველად საკვებს მოსახლეობას რძეში უცვლიდნენ. ნელ-ნელა ძროხების შეძენაც დაიწყეს.

მას შემდეგ, რაც ყავის ბიზნესში ჩართული ნინო ფერმერულ მეურნეობას მოეკიდა, ბოტები ჩაიცვა და ჯიბის საჭეს მიუჯდა, პრობლემების მთელი კასკადი წამოვიდა. ჩავიდა რეგიონში, სადაც არავის იცნობდა, თავისიანად არავინ აღიქვამდა, მის საქმიანობას სერიოზულად ბევრი არ უყურებდა. რეგიონში გადასვლის გამო ბავშვების თბილისში, დედასთან დატოვება მოუწია. ამასობაში ოჯახი დაენგრა.

პრაქტიკოსი ფერმერის მწარე გამოცდილებამ ნინო აიძულა თანამოაზრეებთან ერთად ფერმერთა ასოციაცია დაეარსებინა. ის ახლა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ამ დროისთვის ასოციაცია 700-ზე მეტ წევრს ითვლის და ოთხი მიმართულება აქვს: ფერმერთა ადვოკატირება, იაფი რესურსების ხელმისაწვდომობა, განათლების გავრცელება და სანარმოო ჯაჭვების ხელის შეწყობა. ასოციაციის მიზანი ფერმერთა პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების ძიებაა. ზამბახიძეს ფერმერთა პრობლემების ხელისუფლებამდე მიტანა სურს.

ასოციაციის წევრი ფერმერები მისდევენ მეცხვარეობას, მესაქონლეობას, მებაღეობას, მეღორეობას, მეხილეობას, მემანდარინეობას, მეკარტოფილეობას... ასოციაციას ჰყავს საბჭო, რომელიც ყოველ ორ წელიწადში როტაციის პრინციპით შეიცვლება. ნინო ფიქრობს, რომ ყველას – დიდი თუ მცირე მეურნეობის მქონე ფერმერს – უნდა ჰქონდეს შანსი, ერთ დღეს ასოციაციის თავმჯდომარე გახდეს.

ახალციხეში ნინოს ორსართულიან, კარგად მოვლილ, მწვანეში ჩაფლულ ოფისში ფერმერები ხშირად იკრიბებიან. სახლი ახალგაზრდა ექიმს საშუა მარტინოვს ეკუთვნის და იქვე ცხოვრობს. საღამოობით სახლ-ოფისში მეგობრები და პარტნიორები იკრიბებიან. გულუხვ და გემრიელ სუფრას ძირითადად მამაკაცები ამზადებენ.

თუმცა მწვადის შეწვა ყველაზე მცირეა, რაც ბესო ბაბუნაშვილს ევალება. ის ერთი შეხედვით პარტნიორის ანტიპოდი. წნარი, მორიდებული, ცდილობს შეუმჩნეველი დარჩეს. ემოციებს თითქმის არ გამოხატავს. ფოტოების გადაღება მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებს...

რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ ვხვდები: რომ არა ბაბუნაშვილი, სავარაუდოდ, ნინოს მეურნეობა ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა, ბესო საქმეს უშუალოდ უძღვება. დაქირავებულ გლეხებთან ერთად ფიზიკურად მუშაობს. პირველად სწორედ მაშინ შევხდი, როდესაც სპეციალური დანადგარით ნიადაგს ბურღავდა, რათა ვაშლის ნერგების დასამაგრებელი ბამბუკები ჩაერგო.

„მეხილეობაში ახალი ხილი ვარ“, – იცინის ბესო. გვიყვება, როგორ ისწავლა გორელი მეზარეებისგან ვაშლის მოვლის წვრილმანები. მისი თქმით, მთელი წელი ჩადიოდა და გამოცდილი მეზარეების მუშაობას უშუალოდ აკვირდებოდა. საკუთარი ვაშლის ბაღების გაშენება მხოლოდ ასეთი ხანგრძლივი „მეცადინეობის“ შემდეგ დაიწყო.

ბესოს და ნინოს ერთმანეთთან ბიზნესპარტნიორობის გარდა, ახლო მეგობრობაც აკავშირებთ. მაშინ, როდესაც ზამბახიძე ბიზნესის პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, შეუძლია მშვიდად იყოს: ბესო-დირექტორი ადგილზეა.

ყველაფერთან ერთად, ნინო ახალციხეში BP-ს პროგრამების დირექტორიცაა. საერთაშორისო ენერგოგიგანტი ნავთობსადენის გასწვრივ ზოლზე ადგილობრივთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ბიზნესპროექტებზე გრანტებს გასცემს. ნინო სწორედ ამ პროცესს კურირებს.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან – ქეთი ბოჭორიშვილთან და ნინოსთან ერთად სოფელ წნისში სტომატოლოგიურ კლინიკასა და მაღაზიას ვსტუმრობ. ეს ობიექტები სწორედ „ბრიტიშ პერტროლიუმის“

■ პრაქტიკოსი ფერმერის მწარე გამოცდილებამ ნინო აიძულა, თანამოაზრეებთან ერთად ფერმერთა ასოციაცია დაეარსებინა. ის ახლა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ამ დროისთვის ასოციაცია 700-ზე მეტ წევრს ითვლის და ოთხი მიმართულება აქვს: ფერმერთა ადვოკატირება, იაფი რესურსების ხელმისაწვდომობა, განათლების გავრცელება და სანარმოო ჯაჭვების ხელის შეწყობა.



ISO სერტიფიცირებული ყველის ქარხანა, სადაც დანერგილია HACCP-ის სტანდარტები

გრანტების დახმარებით ფუნქციონირებს. წნისის შემდეგ სოფელ კლდეში მატყლის გადამამუშავებელ და საბნებისა თუ ლეიბების დამამზადებელ საწარმოს ვათვალისწინებთ. თითოეულ გრანტიორს ნინო პირადად და ახლოს იცნობს, დეტალურად ერკვევა თითოეული მცირე ბიზნესის წვრილმანებში. სოფლებებისგან მასზე კრიტიკულ, ან უბრალოდ გულგრილი დახასიათების „გამოძალვას“ ამაოდ შეეცდებით.

ახალციხე ნინოსთვის მხოლოდ ძროხების საბალახო ადგილი არ არის. ეს მისი სახლია. აქაურობასთან მისი ემოციური კავშირი რაბათის ციხეში ახლადგახსნილი სასტუმროს პრეზენტაციისასაც ჩანს: ტურისტული კომპლექსის ახალი დირექტორი, რომელიც მეტყველების სტილითა და მანერებით შუასაუკუნეების დროინდელი სამხედრო ციხესიმაგრის კომენდანტს უფრო წააგავს, ნინოს თვალში არ მოსდის, ამის გამო მთელი საღამოს განმავლობაში საძაგელ ხასიათზეა. მაშინვე ვხვდები, რომ აქაურობა მისთვის სულ ერთი არ არის. ნინოს რეგიონის ყოველი წვრილმანი ისევე აღელვებს, როგორც მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებს აღელვებდა.

ნინო ცდილობს საკუთარი გამოცდილება სხვა ფერმერებს გაუზიაროს, თავად კი მათგან ისწავლოს. სურს ფერმერებს მოტივაცია



გაუჩინოს და პატარა, ოჯახური მეურნეობები მომგებიან საწარმოებად აქციოს.

ასოციაციის თავმჯდომარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად კვალიფიციური კადრების დეფიციტს მიიჩნევს, თავის დროზე მან ყველის ტექნოლოგი ვერ იშოვნა. მერე თურქეთში გაემგზავრა და ტექნოლოგია თავად შეისწავლა. ამას გარდა, სურსათის უვნებლობის სფეროში გარკვევაც თავად მოუწია და როდესაც პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა გადაწყვიტა, ექსპორტის სერტიფიცირებული მენეჯერიც გახდა.

„საქმე ასე კეთდება,“ – ღიმილით მიხსნის ნინო. შედეგი სახეზეა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი წლის წინ, ეკონომიკის სამინისტროსა და საინვესტიციო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ



პირველ ეროვნულ ბიზნეს-დაჯილდოებაზე, „მერკური-2011-ის“ ცერემონიაზე, ნინო ზამბახიძეს „წლის ქალი-მენარმის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

ნინო ზამბახიძე ასევე პირველი ქალი ლიდერია, რომელიც „Invest for the future“-ის საპატიო წარმომადგენელია საქართველოში. ეს ორგანიზაცია ჰილარი კლინტონის პატრონაჟის ქვეშ არსებობს და ნინოს შესახებ ინფორმაცია ახლა უკვე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზეც იქნება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთი ბოჭორიშვილი ნინოს ათ წელზე მეტია იცნობს.

– ერთი სიტყვა, რომლითაც ნინოს დაახასიათებდით.

– მოტივირებულობა, – დაუფიქრებლად მპასუხობს ის.

ქეთი მეუბნება, რომ ნინოს ენთუზიაზმი გადამდებია, მიზანსწრაფულობა – შესაშური, აქტიურობა – მისაბადი.

მის მეურნეობაში უამრავი ქალი დასაქ-



სიმინდის ყანები



ხორბლის ყანები

მეზული, თუმცა წამყვანი როლი მაინც მამაკაცებს ეკუთვნით. როგორ ასერხებს მათ შორის ლიდერობის შენარჩუნებას? – ამ კითხვაზე პასუხს მალევე მივხვდი: ძროხების ჯიშების გამოყვანიდან დაწყებული, ყველის ამოყვანის ტექნოლოგიებით გაგრძელებული და ვაშლის ბაღებისა თუ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის ცოდნით დამთავრებული, ნინო არც ერთ ადგილობრივ ფერმერს თუ მეურნეს ტოლს არ უდებს. ყველაფერი ინტერნეტის

მეშვეობით, თანდათანობით აქვს ნასწავლი.

ბაღში სტუმრობისას მოთმინებით ცდილობს დამარწმუნოს, რომ ვაშლის პატარა ხეს, რომლებიც ათასობით ჩაუმწკრივებიათ, 50 კილოგრამამდე ნაყოფის მოცემა შეუძლია. ჩემი სკეპტიკური კითხვები თითქოს აბრაზებს კიდევ. ერთი შეხედვით, ჯუჯა ხეებს არათუ 50, არამედ 10 კილოგრამი სიმძიმის გაძლებაც უნდა გაუჭირდეთ, თუმცა ბაღში მომუშავე გლეხები ნინოს ნათქვამს სიცილით ადასტურებენ.

ნინოს 20-ჰექტრიან ნაკვეთს გარშემო კლდეების ბუნებრივი გალავანი არტყია. გადამა, მთის ძირიდან ასევე ნინოს კუთვნილი საძოვრები იწყება. ქალი-ფერმერი გატაცებით მიხსნის ნაკვეთის ბოლოს დაჭაობებული, მეჩხერი ქალის დანიშნულებას, – ცოტა ხანში მდინარიდან შეყვანილი წყლის დონე საგრძნობლად აინეგს და ჭაობი ტბად იქცევა, თევზის მოშენების გარდა ნინო ტურისტების მოზიდვასაც გეგმავს.

ნინო იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებთან დამეგობრებაც რამდენიმე საათში შეიძლება – ენერგიულობის, უშუალობის და მხიარული ხასიათის წყალობით. ცალკე ამბავია მისი ჰიპერაქტიურობა. პრაქტიკულად არ ჩერდება: ლაპარაკობს, მესიჯებს წერს, მეილებს გზავნის, რეკავს, მითითებებს იძლევა, კითხვებს სვამს, საქმის ყოველი წვრილმანით ინტერესდება, ისევე რეკავს და ისევე მესიჯებს გზავნის...

ახალციხის გზებს თბილისზე უკეთ იცნობს. მას შემდეგ, რაც იგებს, რომ ამ

■ თითოეულ გრანტიორს ნინო პირადად და ახლოს იცნობს, დეტალურად ერკვევა თითოეული მცირე ბიზნესის წვრილმანებში. სოფლელებისგან მასზე კრიტიკულ, ან უბრალოდ გულგრილი დახასიათების „გამოძალვას“ ამაოდ შეეცდები.

ქალაქში პირველად ვარ, აქაურობაზე ჩემი შთაბეჭდილების გაგებას ცდილობს. „განსაკუთრებული აურა ვერ შეიგრძენი? უარყოფითი განცდებისგან ვერ დაიცავლე? ვერ მოეშვი? ტვინმა ვერ დაისვენა? – მეკითხება. ვუხსნი, რომ კი არ ვისვენებ – ვმუშაობ, და საერთოდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც რალაც-რალაცებს რიგრიგობით აკეთებენ და მის მსგავსად ერთდროულად საქმის კეთებაც, დასვენებაც, გართობაც, ოცნებაც და კიდევ ათასი რამ, არ შეუძლიათ.

– ეგეც მართალია, – მეთანხმება ნინო.

მანქანას თავისუფლად, თუმცა ერთგვარი აზარტით მართავს. მასთან საუბრის დროს ვერ მოიწყენთ, – ისე, რომ მანქანაში ჩართული, მისი საყვარელი, საეჭვო გემოვნების საქორწილო „დიპმიტაურებიც“ კი ასატანი ხდება.

* * *

– მკაცრი დედა ხარ?

– კი, მკაცრი ვარ, თუმცა ვცდილობ, შვილები დამოუკიდებლები იყვნენ, ცხოვრებას თავი თვითონ გაართვან. შემძლია, ჩემს შვილებს ყველაფერი ჰქონდეთ: აიფონიც, აიპედიც, ყველანაირი ფუფუნება, თუმცა მსგავსი არაფერი აქვთ. არ მინდა, ყველაფერი მარტივად, უშრომლად მიეცეთ. დარეკვა უნდა? ათი წლის ბავშვია, არსებობს იაფფასიანი ტელეფონებიც. ჩემს უფროს შვილს ვუთხარი, რომ თუ კარგად ისწავლიდა, ოცნებას ავუხდენდი და მადრიდში, ბერნაბეუს სტადიონზე გავატარებდი. მთელი წელი განსაკუთრებული მონდომებით სწავლობდა.

მამაჩემთან, რომელიც გარდაცვლილია, ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ყოველთვის ყველაფერს გასაგებად მისხნიდა და მისაბუთებდა. ახლა ვცდილობ, შვილებს სწორედ ასე მოვექცე. ხომ არსებობენ მშობლები, რომლებიც ამბობენ: „არ გაგიშვებ და მორჩა...“ ბავშვს ყოველთვის აინტერესებს, „რატომ“ როდესაც მშობელმა იცის „რატომ, არა“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვმაც იცის და უნდა აუხსნა.

* * *

ნინო მიყვება, რომ ბავშვობაში მის ოჯახს საკმაოდ უჭირდა. „ისეთი გაურემონტებელი სახლი გვქონდა, რომ მეგობრების მიყვანა მრცხვენოდა.“ განსაცდელებთან გამკლავე-

ბაც ადრიდანვე მოუხდა. 15 წლისა „მხედრონის“ ერთ-ერთმა წევრმა, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის ძველ რედაქციაშია ფორმულირებული, „ცოლად მოყვანის მიზნით“ მოიტაცა. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ, 16 წლისა ამერიკაში არალეგალურად გაემგზავრა და ქსეროქსის აპარატზე მუშაობა დაიწყო. ამერიკაში ცოტაოდენი ფული დაზოგა და თბილისში „გეპის“ მაღაზია გახსნა. ჯინსებს თბილისში გზავნიდა, მამამისის მეგობარი კი ყიდდა. როდესაც საქართველოში დაბრუნდა, ეს კაცი ფულიანად გაქრა, დიდი ვალები დარჩა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწია.

შემდეგ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩააბარა. ამავდროულად, ერთ ბერძენ ბიზნესმენთან მუშაობდა, თავიდან მდივანად. ზუსტად ერთ წელიწადში კი ჯერ მისი თანაშემწე გახდა, მერე მოადგილე. მალევე ბედი მარკეტინგის მენეჯმენტში სცადა. 2005 წელს ყავის „take away“ ჯიხურები გააკეთა. ახლა ყავისა და ჩაის დიდი ქსელი აქვს, რომლითაც სასტუმროებსა და კაფეებს ამარაგებს. ეს ბიზნესი იმდენად აწყობილია, რომ ნინოს მუდმივ მეთვალყურეობას პრაქტიკულად აღარ საჭიროებს. ახლა მისი მთელი ყურადღება ფერმერებისა და ახალციხისკენაა მიპყრობილი.

ჩემს მასპინძელს პოლიტიკური ვნებათაღელვის ახალი საგანი, რაბათის ციხე განსაკუთრებულად უყვარს. მისი თქმით, ეს არცაა გასაკვირი – კომპლექსი, პრაქტიკულად მის თვალწინ აიგო. სამდღიანი სტუმრობის განმავლობაში, რაბათზე ორჯერ ავყავარ. დახვეული კიბით ყველაზე მაღალ კოშკზე ავდივართ და თვალწინ ულამაზესი ხეობა იშლება. ამინდი მოულოდნელად იცვლება, გრილა. „ახლა ინვიმებს,“ – აღელვებული ხმით მეუბნება ნინო რაბათის ქონგურებიანი ჭიშკრიდან გამოსვლისას, და ციხის კოშკების თავზე მოჯარულ, შავ, საავდრო ღრუბელს უკმაყოფილო სახით აჰყურებს. რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ კი, რომლის განმავლობაშიც ველი ახსნას, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამ წვიმამ მის ნათესებს, მოულოდნელად მეუბნება – „სწრაფად, მანქანაში, თორემ თუ დავსველდი, დაყენებული თმა გამიფუჭდება...“ მოხნული ტალახით ფანჯრებამდე მოსვრილი, უზარმაზარი, თეთრი ჯიბისკენ სულმოუთქმელად გავრბივართ... 

■ ნინო ცდილობს საკუთარი გამოცდილება სხვა ფერმერებს გაუზიაროს, თავად კი მათგან ისწავლოს. სურს, ფერმერებს მოტივაცია გაუჩინოს და პატარა, ოჯახური მეურნეობები მომგებიან სანარმოებად აქციოს.

NATAKHTARI
ნატახტარი
ლიმონადი-LEMONADE



**უფრო დიდი არჩევანი
– სამი ახალი გემო
კონახური / ვაშლი / ჟოლო**



სვასუხოვანი ფაქტობი

ავტორი: ანი ქანკოტაძე
ფოტოები: გიორგი გოგუა, სოფო აფციაური

სვასუხის სვმსოიანი "საანთვადოს ხილია და ზოსხადის ანსოიის სანადილო აოვანა"



ბობა ღვინიაშვილის ხანხის ბალები

გობა ღვინიაშვილი ქუთაისთან ახლოს 13-ჰექტარიან სარწყავ მიწაზე კენკრის ბალებს ამენებს. ფართობის უმეტესი ნაწილი მოცვის კულტურულ ჯიშებს უჭირავს, დანარჩენი კი – ჟოლოს.

ნარგავები მულჩით დაფარული და ნერტილოვანი მორწყვის სისტემით უზრუნველყოფილია. მწკრივებს შორის კი სადრენაჟე არხებია გაყვანილი, რათა დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ჭარბწყლიანობის გამო მცენარის ფესვები წყალში არ აღმოჩნდეს და არ დაღუპეს.

გობა ღვინიაშვილმა უცხოეთიდან მოცვის 12 ჯიშში ჩამოიტანა და აკვირდება, რომელი მათგანი უფრო შესაფერისია ადგილობრივი კლიმატის პირობებში. მოცვის ნარგავების უმეტესობა მესამე წელშია. სრულ მსხმოიარობაში შესასვლელად კი მცენარეს საშუალოდ, 5 წელი სჭირდება.

საქართველოში მოცვი ველური კულტურის სახით ხარობს, თუმცა, მისი შეგროვება პრობლემურია და ამიტომ მასობრივი მოხმარებისთვის არ გამოიყენება. ამას გარდა ველურ მოცვს მომყავო გემო აქვს და ნაკლებ პროდუქტიულია. „ამ კულტურული ჯიშების ნაყოფი კი ალუბალივით ტკბილია,“ – ამბობს ღვინიაშვილი.

რაც შეეხება ჟოლოს, ეს კულტურა დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ ღვინიაშვილის მოცვის ბალი კულტურული მოცვის მოყვანის პირველი მაგალითია. არადა დასავლეთის მთავე ნიადაგები კენკროვანი კულტურების მოშენების კარგ წინაპირობებს ქმნის. „ფაქტობრივად, ის მიწები, სადაც ადრე ჩაის პლანტაციები იყო, მოცვის მოსაყვანად იდეალურია.“ – ამბობს მენარმე.

კენკრის ბალებამდე რამდენიმე წლით ადრე გობა ღვინიაშვილმა გაყინული ნაბლის გადაამუშავებელი ქარხანა გააკეთა. ის ყოველწლიურად ათობით ტონა ნაბლს რეცხავს, ამუშავებს, ყინავს და ევროპაში გააქვს. ნაბლს მსხვილი კომპანიები ყიდულობენ, რომლებიც პროდუქტს თავად აფასობენ, ფუთავენ და დისტრიბუციას უზრუნველყოფენ. გაყინულ ნაბლს ევროპაში სხვადასხვა კერძებშიც იყენებენ და პიურეს სახითაც მიირთმევენ. საქართველოს გარდა ევროპის ბაზარს ნაბლით ესპანეთი, იტალია და საფრანგეთიც ამარაგებენ, მაგრამ, როგორც ღვინიაშვილი ამბობს, ნაბლზე მოთხოვნა,

ზოგადად, დიდია, მისი წარმოებით კი მსოფლიოში სულ რამდენიმე ქვეყანა დაკავებული.

ნაბლის შეგროვება და დამუშავება გვიანი შემოდგომით ხდება და საშუალოდ 2 თვეს გრძელდება. საქართველოს შემთხვევაში ნაბლის უმეტესობას აჭარის მაღალმთიანეთში აგროვებენ, ქარხანაში ჩაბარების ფასი სეზონზე 50 თეთრიდან ლარამდე მერყეობს. „ერთ ადამიანს დღეში 30-40 კილოგრამი ნაბლის შეგროვება შეუძლია“, – ამბობს ღვინიაშვილი და ამატებს, რომ ამ წარმოებაში მთავარი პრობლემა ნაბლის შეგროვებაა. ეს გლეხებს ეზარებათ, თორემ ქარხნის სანარმოო პოტენციალიც და ბაზარზე მოთხოვნაც დიდია.

ნაბლის გასაყინად მენარმე ბლასტფრიზერის მეტოდს იყენებს. „სპეციალურ ოთახს აწყობ, სადაც -40° ტემპერატურაა და ამ ოთახში რამდენიმე საათით აჩერებ პროდუქტს. გაყინვის სხვა, უფრო სწრაფი ხერხებიც არსებობს, მაგრამ ძვირადღირებული პროდუქტისთვის ეს სჯობს, რადგან ნაკლები დანაკარგი აქვს“, – ამბობს ღვინიაშვილი.

გობა ღვინიაშვილმა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი დამთავრა, თუმცა მუშაობა კერძო ბიზნესში დაიწყო, რაკი სამედიცინო სფეროში ღირსეული ანაზღაურების მიღების მოლოდინი არ ჰქონდა. მან დააარსა ძვირადღირებული შვეიცარიული საათების იმპორტიორი კომპანია, „ართთაიმი“. „საათების ჩამოტანაზე დიდხანს გეშუაობდი, მაგრამ რალაც ეტაპზე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ბიზნესის მეტად გაზრდა შეუძლებელი იყო, რადგან თვითონ საქართველოს ბაზარი შეზღუდულია. მაშინ დავიწყე ფიქრი ისეთ რამეზე, რაც შეიძლება ექსპორტზე გაიტანო და სადაც ბაზრის ლიმიტი არ არსებობს. ასე მივედი ნაბლის გადაამუშავებაზე: ლიმიტი ცხადაა აქაც არსებობს, მაგრამ ბევრად უფრო დიდია, ვიდრე საქართველოში პოტენციურად გასაყიდი საათების რაოდენობა.“ – მიჩნევს ბიზნესმენი.


კენკრის ბალები ნაბლის გადაამუშავებელი ქარხნის არსებობითაა დაზღვეული: გაყინვის ტექნოლოგიები, რომელსაც შემოდგომაზე ნაბლისთვის იყენებენ, ზაფხულში კენკრის გადასამუშავებლად გამოიყენება. თუმცა მენარმე კენკრის მხოლოდ იმ ნაწილის გაყინვას აპირებს, რაც ცოცხალი ხილის სახით არ გაიყიდება.


კენკრა ცოცხალ ბაზარზეა ორიენტირებული,



■ კენკრის ბაღები წაბლის გადამამუშავებელი ქარხნის არსებობითაა დაზღვეული: გაყინვის ტექნოლოგიები, რომელსაც შემოდგომაზე წაბლისთვის იყენებენ, ზაფხულში კენკრის გადასამუშავებლად გამოიყენება. თუმცა მენარმე კენკრის მხოლოდ იმ ნაწილის გაყინვას აპირებს, რაც ცოცხალი ხილის სახით არ გაიყიდება.

რადგან ცოცხალი სახით ეს ხილი განსაკუთრებით ბევრ ვიტამინსა და აქტიურ ნივთიერებას შეიცავს და ღირებულებაც უფრო მაღალია. კვების ინდუსტრიაში კი სხვადასხვა წვენებისა თუ იოგურტების დამზადებისას გაყინულ კონცენტრატებს იყენებენ. ამიტომ კენკრის გასაღების არეალად ლვინიაშვილი პირველ რიგში საქართველოს ხედავს. მოცვის გატანას კი სომხეთსა და აზერბაიჯანშიც აპირებს.

„მოცვი და ყოლო მარკეტებში სტანდარტული შეფუთვით, 125 გრამიან კოლოფებში გაიყიდება. თქვენ შეგეძლებათ სეირნობისას ნაყინის ნაცვლად კენკრა მიირთვათ – ეს ხილი ჩვენთან ჯერჯერობით გავრცელებული არ არის, მაგრამ ჩვენ დროს და ენერჯის დავხარჯავთ, რომ მოსახლეობას გავაგებინოთ როგორი სასარგებლო ხილია მოცვი და ყოლო“, – ამბობს ლვინიაშვილი. 



ფოტოგრაფი სურენ ავალიანი

ბონაშვილების სხვახი



ფოტო: გ. შანიანი



„პაპაჩემი იყო მეცხვარე, მამაჩემიც. მე ჯერჯერობით ასისტენტი ვარ და ახლა ვსწავლობ. ვითომ არაფერი, მაგრამ ძალიან რთული სფეროა, – ამბობს ბექა გონაშვილი, საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის მეთაური.

ბექა 28 წლისაა და რამდენიმე წელია ოჯახურ საქმიანობას, მეცხვარეობას მისდევს. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ თბილისი მიატოვა და მშობლიურ ქიზიყში მეცხვარეობას დაუბრუნდა.

„ერთი წლის განმავლობაში თიბისი ბანკში ვმუშაობდი საკრედიტო ადმინისტრატორად. იქ დილის 10-ზე უნდა მისულიყავი და სალამოს 6-ზე წამოსულიყავი, ჰალსტუხი უნდა გაგეკეთებინა და ძალიან გაბადრული ყოფილიყავი.“ – იხსენებს თავის ადრინდელ ყოფას. ცხვარში კი, როგორც ამბობს, თავს ბევრად თავისუფლად გრძნობს. მართალია, დალის მთის ძირში შეფენილ ცხვარში ზოგჯერ მაკინტოშის ნოუთბუქით მიდის, მაგრამ იალაღებზე კომუნისციები არ მუშაობს და ცხოვრება მაინც სხვა რიტმში მიედინება.

იმ დროისთვის, როდესაც ბექა ქიზიყში დაბრუნდა, მეცხვარეობა განსაკუთრებით პერსპექტიულ დარგად ვერ ჩაითვლებოდა. თუმცა დარგის გაცოცხლებაში დიდი როლი სწორედ მან ითამაშა.

როგორც თვითონ იხსენებს, ბოლო წლებში ცხვარზე მოთხოვნა იმდენად შემცირდა, რომ მეცხვარეები ზრდასრულ პირუტყვს 40 ლარადაც კი ყიდდნენ. მეურნეების დიდი ნაწილი ცხვრის მოშენებას თავს ანებებდა. სიტუაცია რადიკალურად შეცვალა არაბი კლიენტების გამოჩენამ, რომლებიც დიდი რაოდენობით ცხვარს ყიდულობდნენ და პირუტყვის საცალო ღირებულებაც გაიზარდა. არაბი კლიენტები პირველად სწორედ ბექამ გონაშვილმა მოიძია ინტერნეტის მეშვეობით. მანვე ჩაიყვანა პირველად ცხვარი ირანსა და ისრაელში და ამგვარად გახსნა მეცხვარეობისთვის ახალი ბაზრები.

ცხვრის იმპორტი საქართველოში 2009 წლიდან დაიწყო. 2009 წელს 266 244 ცხვარი გაიყიდა ქვეყნიდან, 2010-ში – 178 000, 2011 წელს – 150 000 და 2012 წელს კი – 120 000 ცხვარი. ცხვრის იმპორტის დაწყებამდე ამ პროდუქტის გასაღების არეალი მხოლოდ საქართველოში და აზერბაიჯანით შემოიფარგლებოდა, ქვეყნის შიგნით კი წლიურად უკეთეს შემთხვევაში 50 000 ცხვარი იყიდება.



საძოვრებზე ელექტროგაყვანილობა არაა, ამიტომ გონაშვილების მწყემსი ცხვარს ხელით კრეჭს.

ფოტო: ბიონაძე მონაზ

■ ცხვრის იმპორტი საქართველოში 2009 წლიდან დაიწყო. 2009 წელს 266 244 ცხვარი გაიყიდა ქვეყნიდან, 2010-ში – 178 000, 2011 წელს - 150 000 და 2012 წელს კი - 120 000 ცხვარი. ცხვრის იმპორტის დაწყებამდე ამ პროდუქტის გასაღების არეალი მხოლოდ საქართველოში და აზერბაიჯანით შემოიფარგლებოდა, ქვეყნის შიგნით კი წლიურად უკეთეს შემთხვევაში 50 000 ცხვარი იყიდება.

ახალი ბაზრების გამოჩენამ ცხვრის ღირებულება საშუალოდ 150 ლარამდე გაზარდა. მეცხვარეებს კი საქმიანობის გაგრძელების სტიმული გაუჩნდათ. ამჟამად ქართველი მეცხვარეები ასოციაციის ფორმით არიან გაერთიანებული. ასოციაციას ბექა გონაშვილი ხელმძღვანელობს.

თავად ბექას დარგის განვითარების საკუთარი ხედვები აქვს და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა მიაჩნია აუცილებლად. მათ შორის, ცხვრის ახალი ჯიშების შემოყვანა - „ჩვენ მარტო ერთი მეთოდი ვიცით და ამ მეთოდით ვზრდით ცხვარს, ამ დროს მსოფლიო ძალიან შროს არის ნასული...“ – ამბობს ის.

საქართველოში თუშურ ცხვარს აშენებენ. ამ ჯიშს საკუთარი უპირატესობები აქვს, თუმცა ის ნაკლებპროდუქტიულია და სეზონზე მხოლოდ 40 ლიტრ რძეს იძლევა. აქედან 30 ლიტრამდე ბატკნის გამოსაკვებადაა საჭირო. გონაშვილის თქმით კი არსებობს ისეთი ცხვრის ჯიშები, რომლებისგანაც სეზონზე 400 ლიტრი რძის მიღებაა შესაძლებელი.

წლების განმავლობაში ცხვრების შერჩევა და ჯიშის გამოყვანა საქართველოში შეჩერებული იყო. „საქართველოში თუშური ცხვარი ბოლოს 1947 წელს შემონმდა პროდუქტიულობაზე. ეს იყო ალბათ უკანასკნელი და პირველი შემონმება. ამ დროს

გამოიკვეთა ის ცხვრები, რომლებსაც უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ, მაგრამ მათი საჯიშედ შერჩევა, როგორც ჩანს, არ მოხდა და დაიკარგნენ“, – ამბობს ბექა გონაშვილი.

თუმცა ქართულ ცხვრს ნაკლებპროდუქტიულობის მიუხედავად დადებითი მახასიათებლებიც გააჩნია: ის ამტანია და შეგუებულია სიარულს. საქართველოს პირობებში ცხვარი მთელი წლის განმავლობაში ბალახით იკვებება. ბაგური კვება მათ მოვლას მნიშვნელოვნად გააძვირებდა. ამიტომ ზაფხულობით ცხვარს საზაფხულო იალაღებზე რეკავენ, ზამთარს კი სხვა საძოვრებზე ატარებენ. ეს საძოვრები ერთმანეთისგან ასეულობით კილომეტრითაა დაშორებული. სიარულისადმი ამტანობა ცხვრის გადარეკვის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია. „საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც მატყლი განსაკუთრებით ძვირად ფასობდა, საქართველოში მერინოსის ჯიშის ცხვარი შემოიყვანეს, რაკი ეს ჯიში კარგ მატყლს იძლეოდა. ეს ცხვრებიც ქართულ ჯიშებთან ერთად გადარეკეს იალაღებზე, რასაც მერინოსებმა ვერ გაუძლეს და დაცვივდნენ. სიარულს ყველა ჯიში არაა შეგუებული.“ – ყვება გონაშვილი.

თუშური ცხვარი წელიწადში ერთ ბატკანს იძლევა. ძალიან იშვიათად ორს. 6-7 თვის ასაკის პირუტყვს მეცხვარეები თოხლს ეძახიან, ერთ წლისას



გონაშვილები მწყემსებად უმეტესად ეროვნებით აზერბაიჯანელ გლეხებს ქირაობენ. მწყემსის თვიური ხელფასი საშუალოდ 500 ლარია.

ფოტო: მირიან ბიგუა

– შაქს. შაქი უკვე რეპროდუქციის ასაკს მიღწეულ პირუტყვად ითვლება. წლინახევრის ასაკში მდებარე და მამრ ინდივიდებს ერთ ფარად რეკავენ. 2 წლის ასაკში კი მდებარე შაქები უკვე ბატკნებს აჩენენ. დედა ცხვრის ნაყოფიერება საშუალოდ 5-7 სეზონი გრძელდება.

მამალი ცხვრები უფრო მოზრდილები არიან, ვიდრე დედლები და მათი ფასიც უფრო მაღალია. საშუალოდ, გონაშვილებს ერთი ცხვრის თვითღირებულება 115 ლარი გამოსდით, რაკი საკუთარი საძოვრები აქვთ, მაგრამ ვისაც საძოვრების ქირაობა უწევს, ცხვრის ღირებულება 150 ლარამდე ეზრდება. ბექა გონაშვილი მინის გადასახადის პრობლემურობაზეც საუბრობს. „2009-ში მინის გადასახადი იყო 3 ლარი ჰექტარზე. მეერე წინა ხელისუფლებამ ეს ცხვრის ბიზნესი შემოსავლიანი რამე გიჩანთო და ჰექტარზე გადასახადი 15 ლარამდე გაზარდეს. ამას ზემოთ კიდევ ადგილობრივი თვითმმართველობები აწესებენ დამატებით“, – ამბობს გონაშვილი.

მისი თქმით მეცხვარეთა ნაწილს ფულის სიმცირობის გამო არაგონივრული ეკონომიის განევა უწევს. მაგალითად, გლეხები ცდილობენ საძოვრების ქირაობისა თუ სხვა ხარჯების გამო გაჩენილი დეფიციტი ცხვრისთვის საზამთროდ მომზადებული საკვების ეკონომიით შეაფასონ, რის შედეგადაც ზოგჯერ პირუტყვი შიმშილით ეღუპებათ. „შარშან ზამთარში ბატკნის 40% დაეღუპათ მეცხვარეებს“ – ამბობს გონაშვილი.

თითოეულ ცხვარს სრულყოფილი კვებისთვის გარკვეული ფართობი სჭირდება. „კომუნისტების დროს, ერთ ცხვარზე ერთი ჰექტარი მიწა უნდა



ფოტო: ზურა ზაქარაიძე

გქონოდა“, – ყვება ბექა. ცხვრები გარკვეულწილად აფუჭებენ და ტკეპნიან მინას, სადაც ბალახობენ. ცხვარის სიმრავლის შემთხვევაში კი მინა იფიტება, რის გამოც ბალახის კვებითი ღირებულებაც იკლებს და ცხვარს ავიტამინოზი ემართება, რაც მატყლის ცვენაში გამოხატება. ამიტომ, ცხვრის რაოდენობა, რომელსაც ყოველწლიურად მინდვრად შეიძლება. ლიმიტირებულია და მინის რაოდენობაზე დამოკიდებული.

„ცხვრის გადარეკვის სისტემა საქართველოში ყოველთვის იქნება. მაგრამ ბიზნესის მხრივ რომ განვითარდეს მეცხვარეობა, აუცილებლად უნდა შეიქმნას თანამედროვე ფერმები, შემოვიდეს ახალი ჯიშები და ისე ინარმოოს,“ – მიიჩნევს ბექა გონაშვილი. **■**

ბიოჯამუნის ნახმოება

ჰუმუსი ნიადაგის ნაყოფიერი ფენაა, რომელიც მცენარეული და ცხოველური ორგანული ნარჩენებისგან შედგება. მინის ნაყოფიერება სწორედ ჰუმუსის შემცველობაზეა დამოკიდებული, მინის საფარის ჰუმუსიანი ფენის ჩამოყალიბებას ასწლებულები ესაჭიროება. ამ პროცესში სხვადასხვა მიკროორგანიზმები, ბაქტერიები და ჭიები მონაწილეობენ. დღეისთვის ჰუმუსის წარმოება სპეციალურ ფერმებშიც მიმდინარეობს.

გურამ გეჯაძე, ჰუმუსის წარმოებით მეოთხე წელია დაკავებულია. მან სოფელ კრწანისში ძველი შენობა შეიძინა და ჰუმუსის საწარმოებელი ფერმა თავად მოაწყო.

ჰუმუსი ბიოლოგიურად სუფთა სასუქია. ის მცენარისთვის ორგანული და მინერალური საკვების სრულ კომპლექტს შეიცავს.

ჰუმუსის საწარმოებლად ჭიაყელები გამოიყენება. ისინი საქონლის ნაკელს ჭამენ და გადაამუშავებულსა და განმენდილს გამოყოფენ. ნაკელი ჭიაყელას ორგანიზმში ყოფნისას ჰუმინური მჟავებით მდიდრდება. ჰუმუსით გამდიდრებულ მიწაზე კი ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის ბიოპროდუქტის მოყვანა შეიძლება.

„მართალია, დღევანდელი ბაზრის მოთხოვნა მაინცდამაინც ეკოლოგიურ სისუფთავეზე არაა და მოთხოვნა უფრო მეტად დიდ რაოდენობასა და ვიზუალურ შეხედულებაზეა, მაგრამ იმედია ეტაპობრივად ჩვენც დავინყებთ ჯანსაღ საკვებზე ზრუნვას“, – ამბობს გურამ გეჯაძე. ის იხსენებს, რომ რამდენიმე წლის წინ თბილისში ბიოპროდუქტების მაღაზიები კლიენტების სიმცირის გამო დაიხურა. გეჯაძე იმედოვნებს, რომ ცხოვრების სტანდარტის ზრდასთან ერთად ბიოპროდუქტებზე მოთხოვნილებაც გაიზრდება და ბიუჰუმუსის მასობრივი გამოყენება დაიწყება.

გეჯაძის სურვილია გლეხებისთვის ბიოჰუმუსის წარმოების ლექციები წაიკითხოს და ჰუმუსის წარმოება გლეხურ მეურნეობებშიც წახალისდეს.



„გლეხი და ფერმერი რომ გაიგებს ამის მადლს და ძალას აუცილებლად დაინყებენ გამოყენებას“, – ამბობს გეჯაძე. ის საკუთარ თავს ენთუზიასტად უფრო განიხილავს, ვიდრე კომერსანტად. „რაც მქონდა ყველაფერი ჭიაყელებში დავაბანდე“, – ამბობს სიცილით.

გურამ გეჯაძე ამჟამად ელექტრომექანიკური საწარმო „კენტავრის“ დირექტორია, რო-



ჰუმუსის საცერი, რომელიც გურამ გეჯაძემ თავად დააპროექტა.

ფოტო: გიორგი ბილა

მელიც ავტონაწილების აღდგენასა და სხვადასხვა დეტალების გამოჩარხვაზე მუშაობს, მაგრამ სანარმოდან წამოსვლას აპირებს, რომ საკუთარ მეურნეობას მეტი დრო დაუთმოს. მას დაფინანსების წყაროს პოვნის შემთხვევაში მეურნეობის გაფართოება და ლაბორატორიისა და პრემიქსის ქარხნის აშენება და სხვადასხვა ბიოპრეპარატების დამზადებაც სურს, რომლებიც კონკრეტული მცენარეული

კულტურებისთვის იქნება განკუთვნილი.

ის ამჟამად ფხვიერ, გრანულებიან, დაპრესილ ჰუმუსსა და ჰუმუსის ჩაის ამზადებს. ჰუმუსის ჩაი ჰუმუსიანი კონცენრატია, რომლითაც მცენარეები წყალთან ერთად ირწყვება. ასეთი კონცენრატიდან მცენარე საჭირო ელემენტებს უფრო სწრაფად ითვისებს. გრანულებიანი ჰუმუსი კი შესაძლოა მინაში თესლთან ერთად ჩაიბნეს.



მექანიკური ავზი, რომელიც ჭიაყელების გამოყოფილი ჰუმუსის ფენას თავად აცალკევებს.



ჭურჭლის ზემო ნაწილში ჭიაყელები და დაუმუშავებელი ნაკელია მოთავსებული, ქვემოთ კი ჰუმუსი გროვდება.



გურამ გეჯაძის შექმნილი ჰუმუსის ფილების კომპრესორი.

„10 ტონა ნაკელს ნაყოფიერებით 800 კილო ჰუმუსი ცვლის.“ – ამბობს მენარმე. „ამას გარდა ნაკელთან ერთად ნიადაგში ძალიან დაბიძურებული ფლორა ხვდება: მძიმე მეტალები, ჭიების კვერცხები, მავნე ბაქტერიები და სარეველას თესვები... ბიოჰუმუსი კი ამ მხრივაც სუფთაა და მცენარის ფესვები დაცულია“.

ჭიაყელების საკვებად გეჯაძე ნაკელს სპეციალურად არჩევს, რომ ნაკელიც სუფთა იყოს და ისეთი ფერმიდან ყიდულობს, სადაც საქონელი მძიმე მეტალებით დაბინძურების კერებსაა მოშორებული. „ფერმა სამანქანო გზას მოშორებული უნდა იყოს და ძროხაც სუფთა მდელოზე უნდა ბალახობდეს, რომ მისი ნაკელით დამზადებულ ჰუმუსს სისუფთავის პრეტენზია ჰქონდეს“, – ამბობს გეჯაძე. გამოყენებამდე ნაკელი სპეციალურად მუშავდება. უპირველესად, მისი ფერმენტაცია უნდა მოხდეს, რომ ახალ ნაკელში მცხოვრები ანაერობული ბაქტერიები აერობულით ჩანაცვლდეს. ნაკელს დამუშავება დაახლოებით 5 თვის განმავლობაში სჭირდება, რომ პარაზიტებისაგან გაინმინდოს. ამის შემდეგ ნაკელს გარკვეული დროის მანძილზე რეცხავენ და ჭიაყელებს შემდეგ აწვდიან.

დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკელში მჟავიანობისა და ტუტეიანობის დარეგულირებას, რასაც ჰუმუსის სანარმოში კირითა და ტორფით ახერხებენ.

„ამ სოფელში წყალი არ არის და ნაკელის გასარეცხად ცისტერნებით ვეზიდებით, ერთხელ ისე მოგვივიდა რომ ჭის წყლით გავრეცხეთ. ჭის წყალში კი მანგანუმის მარილი აღმოჩნდა კონცენტრირებული, რაც ჩვენ არ ვიცოდით და ერთ კვირაში 80 კილოგრამი ჭიაყელა დაგველუპა“, – იხსენებს გურამი. ამის შემდეგ კი ჭიაყელებისთვის მიწოდებამდე ნაკელს მჟავიანობაზე სპეციალური ხელსაწყოებით მინიმუმ სამჯერ ამონებენ.

ჰუმუსის წარმოებაში გურამი სპეციალურად ამ მიზნით გამოყვანილ კალიფორნიულ ჭიაყელასაც იყენებს და საქართველოში შეგროვილ ჭიებსაც. „თუ სადმე ვიყავი, ყველა მხრიდან ჭიაყელები მომყავდა, საქართველოს ყველა კუთხეში შეგროვილი ჭიაყელა მყავს“, – ამაყობს საკუთარი კოლექციით და ქართული ჭიაყელის „მოშინაურებაზე“ ყვება. ადგილობრივი ჭიაყელები, რომელსაც წვიმის ჭიებსაც უწოდებენ, ამერიკული ჰიბრიდებისგან განსხვავებით უფრო მოძრავები არიან და ერთ სივრცეში მათი გაჩერება პირველ



ფლორან ბორჯი შიშაუ

ეტაპზე პრობლემური იყო. „გარბოდნენ ყუთებიდან და ყოველ დილით ხელით ვაგროვებდი და ვაბრუნებდი უკან“, – ამბობს ფერმერი. კალიფორნიული ჭიაყელა ადგილობრივ ჭიებთან შედარებით უფრო პროდუქტიულია და მეტი ნაკელის გადამუშავებას ასწრებს, თუმცა ქართული ჭიაყელისგან, გეჯადის თქმით, უკეთესად გადამუშავებული ჰუმუსი მიიღება.

ამჟამად სანარმოში ნაკელს 800 კილოგრამი ჭიაყელა ამუშავებს.

თავად ჭიაყელა საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქტია. ერთი კილოგრამი კალიფორნიული ჭიაყელა 45 დოლარი ღირს. თავიდან გურამ გეჯადემ 4 კილოგრამი ჭიაყელა გამოიწერა, შემდეგ კი თავად გაამრავლა. ჭიაყელა ჰერმაფროდიტია და კვერცხებით მრავლდება. ქართული ჭიაყელა თვეში ერთხელ ან ორჯერ 3-დან 10-მდე კვერცხს დებს, კალიფორნიული ჰიბრიდი კი გაცილებით ნაყოფიერია და ერთი ჭიისგან სეზონის

განმავლობაში თეორიულად 1500 ეგზემპლარის მიღება შესაძლებელი.

ჭიაყელებს ცხოველქმედებისთვის განსაკუთრებული მიკროკლიმატი ესაჭიროებათ – სინოტივე და სტაბილური ტემპერატურა. ამიტომ სანარმოს შენობაში გეჯადემ გაზის გათბობა და ვენტილაცია დაამონტაჟა.

ჭიაყელების მეშვეობით ჰუმუსის წარმოებაზე საბჭოთა კავშირის დროსაც მუშობდნენ „ზაჰესში, რადიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზეც მუშაობდნენ ამ საკითხზე და ქართულ ჭიას კალიფორნიულ ჰიბრიდს ადარებდნენ. ამაზე მთელი ნაშრომები იწერებოდა, მაგრამ შემდეგ ეს დარგიც უწყურადღებოდ დარჩა“ – ამბობს გეჯადე. მას მიჩნია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში საქართველომ ბიოპროდუქტების წარმოების ნიშა უნდა დაიკავოს, თუ ფერმერები პროდუქტის ექსპორტზე გადატანას გადაწყვეტენ, მაშინ ბიონარმობას განსაკუთრებული დატვირთვა უნდა მიენიჭოს. **□**

■ „10 ტონა ნაკელს ნაყოფიერებით 800 კილო ჰუმუსი ცვლის.“
– ამბობს მენარმე.
„ამას გარდა ნაკელთან ერთად ნიადაგში ძალიან დაბიოურებული ფლორა ხვდება: მძიმე მეტალები, ჭიების კვერცხები, მავნე ბაქტერიები და სარეველას თესლები... ბიოჰუმუსი კი ამ მხრივაც სუფთაა და მცენარის ფესვები დაცულია.“

ლორების ფერმა სოფელ ხოლანში



ფოტოგრაფი ბორიბო ბოძუა

ლორების ფერმა „კალანდა“ სოფელ კოდაში მდებარეობს. სამანქანო გზიდანვე დაინახავთ 7 სიმეტრიულ ლურჯსახურავიან ფერმის შენობას. მავთულხლართით შედობილ ეზოშივე მდებარეობს ლორებისთვის კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხანა და სხვადასხვა ფუნქციური ნაგებობები.

ფერმის დამფუძნებელი კომპანია „ჯეოაგრო“, რომელიც მარცვლეული კულტურების მოყვანითაა დაკავებული. თავად ჯეოაგროც 2011 წლიდან ფუნქციონირებს. „კალანდას“ მშენებლობა 2012 წელს დაიწყო.

„კალანდა“ გერმანულმა კომპანია Big Datchman-მა დააპროექტა. ფერმა ბოლომდე ავტომატიზირებულია და ლორების გამრავლებისა და ზრდის ციკლის სხვადასხვა ეტაპებისთვის სპეციფიურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ცალ-ცალკეა შენობები, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერების,

მაკობის, ძუძუთ კვებისა თუ ზრდის სხვადასხვა ფაზისთვისაა განკუთვნილი. ლორების კვებაცა და მოვლაც მექანიზებულია: ისინი სპეციალურად შემოსაზღვრულ უჯრედებში იმყოფებიან, სადაც მიღებით მიენოდებათ წყალი და საკვები. იატაკის ქვეშ კი დამონტაჟებულია საკანალიზაციო სისტემა, რომელშიც პირუტყვის ცხოველქმედების პროდუქტები ინჰურება და შემდეგ სპეციალურად დაცულ ლაგუნაში იტუმბება.

მელორეობაში პოტენციური რისკი ძირითადად სხვადასხვა გადამდებ დაავადებებზე მოდის, რომლის გამოც ცხოველები ერთბაშად იღუპებიან. ამიტომ ფერმის ჰერმეტიულობას მეცხოველეობის ამ დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „კალანდას“ შენობები ჰერმეტიულია, რაც ცხოველების დაავადებებისგან დაცვის გარანტიას იძლევა. ფერმის შენობები ერთმანეთს გალერეებით უკავშირდებიან, იქ მოხვედრა კი

მომსახურე პერსონალს მხოლოდ ადმინისტრაციული შენობის გავლის, შხაპის მიღებისა და სპეცტანსაცმლით შემოსვის შემდეგ შეუძლია. სპეციალური სადეზინფექციო ბაკი დგას ფერმის ეზოშიც, რომლის ფუნქციაც ფერმის ტერიტორიაზე შემავალი მანქანების ბორბლების დეზინფექცია იქნება, რათა ტერიტორიაზე ვირუსებისა და პარაზიტების შესვლის შესაძლებლობა შეამცირონ.

ლორების ფერმა 650 დედალორსა და მის ნამატზეა განსაზღვრული. ერთი დედალორი წლის განმავლობაში საშუალოდ 25 გოჭს იძლევა, რადგან კალენდრული წლის განმავლობაში მისი რეპროდუქცია 2,5-ჯერ ხდება. ლორებს 110 კილომდე ასუქებენ, შემდეგ კი კლავენ. მეურნეობამ ფუნქციონირება ახლახან დაიწყო. „კალანდას“ ხორცი ბაზრებზე პირველად დეკემბრისთვის გამოჩნდება.

„ამ პროექტს 5 წლის განმავლობაში ვიკვლევდით. ვიყავი გერმანიაში, უკრაინაში, კანადაში, საფუძვლიანად შევისწავლეთ ყველაფერი და პარტნიორებიც გულდასმით შევარჩიეთ“ – ამბობს „კალანდას“ დირექტორი და დამფუძნებელი, ანრი ბაციკაძე.

„კალანდა“ მიზნად ქართულ ბაზარზე იმპორტული ხორცის ჩანაცვლებას ისახავს. ბაციკაძე ხაზს უსვამს, რომ საკრედიტო ვალდებულებების გამო ფერმას პირველი 5 წელი გარკვეული გამოწვევებისთვის მოუწევს პასუხის გაცემა. თუმცა მათი ამოცანაა უცხოეთიდან შემოსულ გაყინულ ხორცს ფასითაც გაუწიონ კონკურენცია. წინასწარი გათვლებით, ერთი კილოგრამი ხორცის თვითღირებულება 3 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

კონკურენტული ფასის შესანარჩუნებლად წარმოება ცდილობს მინიმალური დანაკარგით იმუშაოს და რესურსების წრებრუნვას შეუწყოს ხელი. ავტომატიზებული წარმოების მეშვეობით ფერმას მხოლოდ 12 თანამშრომლის მეშვეობით ფუნქციონირება შეუძლია. თანამშრომლები 6 საათამდე მუშაობენ, შემდეგ კი პროცესები კომპიუტერული სისტემით კონტროლდება.

ლორების საკვებად ფერმა მარცვლოვან კულტურებს იყენებს, რომელიც „ჯეოაგროს“ მოჰყავს. მარცვლოვან საკუთარ კომბინირებული საკვების ქარხანაში ამუშავებენ. მიწების გასამდიდრებლად კი ლორების ნაკვალს იყენებენ, რომელსაც სპეციალურად მონყობილ ლაგუნაში აგროვებენ და რეცხავენ.

ფერმაში 10 მილიონი ლარის ინვესტიციაა ჩადებული. პროექტი ნაწილობრივ საპარტნიორო ფონდმა და საქართველოს ბანკმა დააფინანსა. ბაციკაძე სოფლის მეურნეობაში თანხების მიზიდვის

პრობლემატურობას უსვამს ხაზს. „სოფლის მეურნეობის ფინანსირება ძალიან რთულია, რაკი ეს ბიზნესი დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. ადრე ამ ბიზნესს საბანკო სფერო ფაქტობრივად არც აფინანსებდა“. ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობას განვითარების დიდი პოტენციალის მქონედ მიიჩნევს და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობაზე საუბრობს.

„საქართველოში სოფლის მეურნეობას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. ახლა 21-ე საუკუნეა, ახალი მიდგომები უნდა შემოვიდეს. თუ არ აპყვევ ახალ ტექნოლოგიებს, რასაც დრო გთავაზობს, ამ ბიზნესში ფეხის მოკიდება ძალიან რთული იქნება. ამ ტექნოლოგიებზე უნდა გადავიდეს საქართველოც. რაც, ცხადია, ძალიან რთული, მაგრამ აუცილებელი პროცესია.“ – ამბობს ბაციკაძე.

თავად პროფესიით მათემატიკოსია. 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი. ერთი წლის განმავლობაში ლექციებს კითხულობდა პუშკინის სახელობის პედაგოგურ ინსტიტუტში, თუმცა, როგორც იხსენებს, იმ წლებში აკადემიურ სფეროში პერსპექტივა არ არსებობდა და ამიტომ მუშაობა ბიზნესსექტორში გააგრძელა. „ხელფასი რომ ავიღე 3 კუპონი, მაშინ მივხვდი, რომ ამ სფეროში შორს ვერ წავიდოდი. სამწუხაროდ, მაშინ ასეთი რეალობა იყო. შემდეგ სხვადასხვა ადგილას ვმუშაობდი კერძო ბიზნესში და ბოლოს მოვედი ამ მეურნეობამდე. ეს უკვე ისეთი ბიზნესია, სადაც სამუდამოდ დავრჩები. ამ ბიზნესიდან გამოსვლა ძნელია, ძალიან გიზიდავს, – მიიჩნევს ბაციკაძე. 

■ ლორების ფერმა 650 დედალორსა და მის ნამატზეა განსაზღვრული. ერთი დედალორი წლის განმავლობაში საშუალოდ 25 გოჭს იძლევა, რადგან კალენდრული წლის განმავლობაში მისი რეპროდუქცია 2,5-ჯერ ხდება. ლორებს 110 კილომდე ასუქებენ, შემდეგ კი კლავენ. მეურნეობამ ფუნქციონირება ახლახან დაიწყო. „კალანდას“ ხორცი ბაზრებზე პირველად დეკემბრისთვის გამოჩნდება.



ბედა ფათალიშვილის მედიცინაობა

ცოტა, მაგრამ მაღალი ხარისხის – სიღრმეა მისი მედიცინაობა, გელა ფათალიშვილი ღვინოს ამ პრინციპით ამზადებს.

მისი კომპანია „ხობის ცრემლები“ წლიურად საშუალოდ 40 000 ბოთლ ბიოლოგიურად სუფთა ღვინოს აწარმოებს და მსოფლიოს 16 ქვეყანაში ყიდის. „ხობის ცრემლების“ ექსპორტიორ ქვეყნებს შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია...

„დღევანდელ მსოფლიოს მილიონობით ბოთლი ღვინოს წარმოებით ვერ გააკვირვებ. ეს არავის სჭირდება, მაგრამ სჭირდება უნიკალურობა, მრავალფეროვნება და ის, რაც ჩვენ გვაქვს: მედიცინის 8 ათასი წლის წინანდელი ტრადიცია,“ – ამბობს ფათალიშვილი.

ფათალიშვილი ღვინოს „მამა-პაპურად“ ამზადებს: ქვევრში აძველებს და შემდეგ პირდაპირ ბოთლებში გადააქვს. ქვევრში ღვინოს დაყენების ტექნოლოგიას ის უნიკალურს უწოდებს, რადგან ღვინოს შემცველი მჟავები ნებისმიერ ჭურჭელს რეცხავენ, თავად მინასაც კი. თიხის ქვევრი ერთადერთი ჭურჭელია, რომელთანაც ღვინო რეაქციაში არ შედის. ამას გარდა, მინაში ღვინო ჩაფლულ ქვევრში ღვინო კარგად ძველდება სტაბილურ ტემპერატურაზე – მინის ტემპერატურა გამუდმებით 14-15 გრადუსია.

ფათალიშვილი ვაზის ძველ ქართულ ჯიშებს აშენებს: მწვანე კახურს, ქისს, ჩიტისთვალა ბოლბისხეურს, ვარდისფერ რქანთელს, ბუერას, კახურ მცვიანს... ვენახები აქვს არგოში, მანავსა და მუხრანშიც, სადაც ასევე ადგილობრივი ჯიშები მოჰყავს. მას გაუგებრად მიაჩნია, რატომ უნდა მოიყვანონ ქართველმა მევენახეებმა ვაზის ფრანგული თუ სხვა ჯიშები, როცა ადგილობრივ პირობებს იდეალურად ქართული ვაზია შეგუებული.

ძველი ქართული ჯიშები პროდუქტიულობაზე არ არის გათვლილი, მაგრამ ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან შეგუების გამო გამო მაღალი ხარისხითა და მრავალფეროვანი ბუკეტით გამოირჩევა.

„ღვინის მაღალი ხარისხი ყურძნის ხარისხი-

დან მოდის, ყურძნის ხარისხი კი ნიადაგიდან და მაქსიმალური ტემპერატურიდან. ამაზეა დამოკიდებული გემოვნება და სურნელი“, – ამბობს მეღვინე.

გელა ფათალიშვილის ღვინოებს ბიოპროდუქტის სერთიფიკატი აქვს. ის არც ნიადაგს ამდიდრებს სასუქით და არც სისტემურ შხამქიმიკატებს იყენებს ვაზის შესანამლად. მხოლოდ ბიოპროდუქტისთვის რეკომენდირებულ კირიან და სპილენძიან კონტაქტურ ქიმიკატებს ხმარობს. სისტემური ქიმიკატების გამოყენებას იდეურადაც ეწინააღმდეგება. ფათალიშვილი მიიჩნევს, რომ მართალია ქიმიკატების მწარმოებელი კომპანიები თავიანთი ნაშლების რეკლამირებაზე მილიონებს ხარჯავენ და მას პანაცეად წარმოაჩენენ, მაგრამ ასეთი ნაშლები ვაზს აბინძურებს და ღვინოც ქიმიკატებით გაჟღენთილი ხდება. ასეთი ნაშლის გამოდევნას 4-5 წელი მაინც უნდა. ამას გარდა, სინამდვილეში ასეთი ნაშლები მცენარის სასიცოცხლო გარემოსა და თანხლებს მიკროფლორაში უზემად ერევა და ყოველთვის ზიანს აყენებს ბუნების ნონასწორობას.

„ბუნება რასაც გაძლევს, სწორად უნდა მოიხმარო. რაც შენ გეკუთვნის შენი ალალი წილია, მაგრამ რასაც ბუნება თავისთვის იტოვებს, ის არ უნდა წაართვა, ხელოვნურად არ უნდა ჩაერიო მოგების ერთბაშად მიღების სურვილით შეპყრობილი“, – ამბობს სიღრმეა ფათალიშვილი. „მეგერი დაავადება არსებობს ვაზისთვისაც, მაგრამ თუნდაც იზარალო ერთი პერიოდი, უნდა დააცადო: ამ დაავადებებს ბუნება საპირწონედ სხვა რამეს უქმნის და თავად მკურნალობს. მოგებული მარტო მაშინ დარჩები, თუ სამყაროს ამ თვალთ დაუწყებ ყურებას. ძლიერი შხამების გამოყენებით კი დაავადების გამომწვევ ორგანიზმებსაც ხოცავ და მასთან მეტროქსილსაც, მცენარეს იმუნიტეტს უკლავ და ბუნებას ზიანს აყენებ.“ – ამბობს ფათალიშვილი.

სიღრმეა ვაზს პოტენციურად სოკოვანი დაავადებები უფრო ეშუქება.

„როდესაც ცივა, ალაზნიდან წილი ამოდის, შემდეგ კი უცბად დაცხება და ამ დროს თუ ვენახი კარგად არ ნიავედა, სოკოვანი დაავადებების,

■ „დღევანდელ მსოფლიოს მილიონობით ბოთლი ღვინოს წარმოებით ვერ გააკვირვებ. ეს არავის სჭირდება, მაგრამ სჭირდება უნიკალურობა, მრავალფეროვნება და ის, რაც ჩვენ გვაქვს: მედიცინის 8 ათასი წლის წინანდელი ტრადიცია,“ – ამბობს ფათალიშვილი.



ფოტო: მ. ბერიძე



დაქირავებული მუშები ფათალიშვილის ახალ დარგულ ვენახს უვლიან.

ფოტო: ბორბი ბონია

ე.ნ. ნაცრის წარმოქმნის საშიშროებაა. ამიტომ ვაზის სწორად მოვლას, აკონვასა და მწვანე ოპერაციების დროულად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს“, – ამბობს მევენახე.

გელა ფათალიშვილს 15 ჰექტარის ფართობზე ქართული ხორბლის ჯიშებიც მოჰყავს: წითელი დოლი, დოლისპური, შავფხა და თეთრი დიკა. როგორც ახასიათებს, ქართული პური სახამებლის მაღალი შემცველობითა და ყუათიანობით ხასიათდება და განსაკუთრებით სურნელოვანია. „მინდა ჩემს ღვინის ბარში მქონდეს ქართული ღვინო, ქართული პური, ნატურალური ზეთი, ძველი ქართული ყველი და კეთილი გული“, – ამბობს ღვინოთ.

ფათალიშვილი თავის მეურნეობას მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლის წყაროდ არ განიხილავს და ვაზთან ურთიერთობა თავისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიაჩნია.

„გლეხის ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი მშობლები ბავშობიდან მაჩვენებდნენ, რომ შრომა აუცილებელი იყო. ვაზის სიყვარულიც მათ ჩამინერგეს“, – ყვება ფათალიშვილი. მამის სიკვდილის შემდეგ 19 წლისას თავის ძმასთან ერ-

თად მეურნეობის აშენება დამოუკიდებლად მოუწია. მამის მხოლოდ 1 ჰექტარი ფართობის მიწა ჰქონდათ. დანარჩენ მიწას კი ქირაობდნენ და ისე ამუშავებდნენ. მეურნეობასა და ვაზის წარგავებს ფათალიშვილები ეტაპობრივად ზრდიდნენ. შემდეგ გელას ნაჩუქარი ყურძნით დაწურული ღვინო სიღნაღის პეიზაჟების ხატვით გატაცებულმა ამერიკელმა მხატვარმა, ჯონ ვერდერმანმა სამშობლოში წაიღო და თავის გალერეაში სტუმრებს ამ ღვინით გაუმასპინძლდა. ღვინის კოლექციონერი ებრაელი ექიმი ფათალიშვილის ღვინით ისე დაინტერესდა, რომ სიღნაღში ვენახიც კი იყიდა. მოგვიანებით ამავე ღვინით საქართველოში ევროკავშირის მისიით მოხვედრილი შვედი ერიკ ანდემოც მოიხიბლა. ამჟამად ფათალიშვილის ღვინის კომპანიის მენილეები სწორედ ჯონი ვერდერმანი და ერიკ ანდემო არიან.

„მთავრია ოფლი სისხლი არ გეგონოს, შრომის არ გემინოდეს და არ ფიქრობდე, რომ აი, რა მემკვლეუბა, როგორ ვიცხოვროო. თუ ბევრ ენერჯიას დახარჯავ და დაუზარელად იშრომებ, წარმატებას ნებისმიერ სფეროში აუცილებლად მიაღწევ“, – ამბობს გელა ფათალიშვილი.

ბენა ხანიშვილის ვაშლის ბალები

„1960 წელს დავიბადე სოფელ რუისში და მას შემდგომ მთელი ჩემი ცხოვრება სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული. ჩემი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო ვაშლის ბალები იყო. ბავშობიდან ვმუშაობდი მათ მოვლაზე და ყველა სამუშაოს სირთულე საკუთარი გამოცდილებით ვიცი.“ – ყვება გელა ხანიშვილი.

გელა ხანიშვილი 14 ჰექტარზე გაშენებული ვაშლის ბალების მფლობელია. თუმცა მისი ყოველდღიური საქმიანობის სფერო სოფლის მეურნეობა არაა. ამჟამად საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში დირექტორის მოადგილე მუშაობს. უნივერსიტეტი საინჟინრო-ეკონომიკური განხრით დაამთავრა. ასპირანტის ხარისხი კი საქალაქო მეურნეობის მართვაში აქვს. მთელი ცხოვრების განმავლობაში ფინანსურ სეგმენტში, სხვადასხვა კერძო კომპანიაში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1998-2000 წლებში კი ფინანსთა მინისტრის მოადგილე იყო. სოფლის მეურნეობაში გელა ხანიშვილი 2004 წელს დაბრუნდა და ახლა დიდი მეურნეობა აქვს.

2007 წელს ხანიშვილია შპს „აგრო 1959“ ჩამოაყალიბა და მის მეურნეობას ეს საწარმო მართავს.

ვაშლის ბალების გარდა, ხანიშვილის მეურნეობა სახნავ-სათესი სავარგულებისგან შედგება, სადაც ხორბალი, იონჯა კარტოფილი თუ სხვა კულტურები მოჰყავთ. თუმცა ვაშლის ბალები მეურნეობის ყველზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

ხანიშვილის ვაშლის ნარგავების ნაწილი მერვე წელშია, ნაწილი კი მე-3, მე-4 წელში. ვაშლის ხე სრულყოფილი მოსავალის მოცემას 10 წლიდან იწყებს და ნაყოფიერებას რამდენიმე ათწლეული ინარჩუნებს.

ვაშლის ხეებს რეგულარული მორწყვა ესაჭიროება. საჭიროა სხვადასხვა პრეპარატით მათი შენამვლა, რომ პარაზიტებმა არ დააზიანოს.

„ვაშლი მაშინ უნდა მოინამლოს, როდესაც საყვავილე კვირტი გახსნას იწყებს, მაგრამ როცა ბოლომდე გახსნილი არ არის. ნარმოიდგინეთ, დილით როცა შენამვლას იწყებს საყვავილე კვირტები დახურულია, შემდეგ კი კვირტები ერ-

თბამად იშლებიან და საღამოთი ხე უკვე აყვავებულია – ამიტომ ხეების შენამვლა რამდენიმე საათში უნდა მოასწრო“, – ყვება ხანიშვილი.

გელა ხანიშვილი თანამედროვე ვაშლის ჯიშებს აშენებს, რომელთა უმეტესობაც ამერიკულია.

„ქართული ვაშლის ჯიშები, სინაპი, თურაშაული თუ სხვა. სამრეწველო დანიშნულებით არ მაქვს. ეს ჯიშები თვისებებითა და საგემოვნო მახასიათებლებით შეიძლება კარგია, მაგრამ თანამედროვე ბაზარზე სხვა მოთხოვნებია, მათ შორის ვიზუალური შესახედაობის კუთხითაც და ამიტომ სხვა ჯიშების მოყვანა უფრო მომგებიანია“, – ამბობს ფერმერი.

ვაშლის გასაღების არეალი ამჟამად ქვეყნის შიდა ბაზრით შემოიფარგლება. ხანიშვილის თქმით, მცირე რაოდენობის ვაშლი გადის სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, ამ ქვეყნების გავლით კი რუსეთში. რუსეთის ბაზრის გახსნაზე ხანიშვილი განსაკუთრებულ იმედს არ ამყარებს და განმარტავს, რომ ეს არსებითად გლეხების წინაშე მდგარ გამოწვევებს არ შეცვლის.

„რუსულ ბაზარზე რომც შევიდეთ, ეს უკვე ისეთი სტიქიური ბაზარი აღარ არის, რაც საბჭოთა კავშირიდან გვახსოვს და სადაც ნებისმიერი ხარისხის პროდუქტი იყიდებოდა. ამ ბაზარზე დასამკვიდრებლად იმავე სტანდარტების დაკმაყოფილება საჭირო, რაც ევროპის ბაზარზე,“ – მიაჩნია მას. ახალ ბაზარზე შესასვლელად პრობლემურია ვაშლის ჯიშებიც – ის ჯიშები, რაც ამ დრომდე მოჰყავდათ ფერმერებს, ხანიშვილის თქმით, ახალ სტანდარტებს არ შეესაბამება. ახალი ჯიშები კი ტრანსპორტირებისადმი პრეტენზიულია. თუ აქამდე გლეხები ვაშლს გრილ სარდაფებში ინახავდნენ და ჩვეულებრივი მანქანებით მიჰქონდათ, თანამედროვე ჯიშებს ამ პირობებში ვერ შეინახავენ, რადგან შენახვას ბალანსირებული ტემპერატურული რეჟიმი ჭირდება.

ხანიშვილს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ გარკვეული მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში და თუნდაც გლეხებს დაეხმაროს ეფექტური კულტურების შერჩევაში.

■ ვაშლის გასაღების არეალი ამჟამად ქვეყნის შიდა ბაზრით შემოიფარგლება. ხანიშვილის თქმით, მცირე რაოდენობის ვაშლი გადის სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, ამ ქვეყნების გავლით კი რუსეთში. რუსეთის ბაზრის გახსნაზე ხანიშვილი განსაკუთრებულ იმედს არ ამყარებს და განმარტავს, რომ ეს არსებითად გლეხების წინაშე მდგარ გამოწვევებს არ შეცვლის.

„ცალკეული გლეხი საკუთარი რესურსით ვერ განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობით კომბოსტო და ქარხალი უნდა მოიყვანოს ამა თუ იმ წელს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია და ისე დაგეგმოს მეურნეობა. სახელმწიფომ ეს ინფორმაცია უნდა გახადოს ხელმისაწვდომი“ – მიაჩნია მას.

ხანიშვილს გლეხების შეცდომის მაგალითად ის წელი მოაქს, როცა ნივრის ფასმა 12 ლარს მიაღწია, მომდევნო წელს კი გლეხებმა მასობრივად გაზარდეს ნივრის ნათესების ფართობი იმ იმედით, რომ ნივრის ფასი შენარჩუნდებოდა. სინამდვილეში კი პროდუქტის ნარბჭარმოვებამ ფასი ისე დანია, რომ გლეხები დაზარალდნენ.

„ის, ვინც სახელმწიფო რეგულაციებს საბჭოთა კავშირთან აიგივებს, საკუთარი უცოდინრობის გადაფარვას პოლიტიკური არგუმენტებით ცდილობს. სახელმწიფო სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ საკუთარ საზღვრებში არსებული პროცესები ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე დაარეგულიროს. მათ შორის, სასოფლო სამეურნეო პროცესებიც. საბჭოთა კავშირი, სადაც საკუთრება „ყველასი“ იყო მართვის სხვა მეთოდებს იყენებდა, ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში კი რეგულაცია სხვაგვარად ხდება. დასავლეთში კერძო ბიზნესი ხელშეუხებელია, მაგრამ სახელმწიფო მოწოდებულია ამ კერძო ბიზნესმა მაქსიმალური ეფექტურობით იმუშაოს,“ – ამბობს ხანიშვილი.

ფერმერი სოფლის მეურნეობის რეფორმას სკეპტიკურად აფასებს და მიაჩნია, რომ მეურნეობების განვითარებას ეს რეფორმა დიდად არ წაადგება. განსაკუთრებით წარმოუდგენლად კოოპერირება მიაჩნია, რადგან ამისთვის საჭირო გამოცდილება და მზაობა გლეხებს არ აქვთ.

ხანიშვილი სამეურნეო მიწების გამოფიტვასა და გაუდობროებაზეც საუბრობს. ერთი მხრივ, 90-იან წლებში მასობრივად განადგურდა ქარსაცავი ზოლები, რომელიც მოსახლეობამ შეშად გამოიყენა. ამას გარდა, ამ დროის მანძილზე გლეხები ეკონომიკური პირობების გამო ვერ ახერხებდნენ მიწების მოვლასა და სხვადასხვა სასუქით გამდიდრებას. ერთადერთი, რასაც გლეხები გამოიყენებდნენ აზოტოვანი სასუქი – ე.წ. გვარჯილა იყო. აზოტოვანი სასუქი მწვანე მასის ზრდას უწყობს ხელს, მაგრამ ნიადაგს ფიტავს და მოსავლის ნაყოფიერებასაც დიდად ვერ ზრდის. ამიტომ, საქარველოში სამეურნეო მიწების უმრავლესობა გამოფიტულია.

იმისთვის, რომ კარგი მოსავალი მოიყვანოს, ფერმერმა ჯერ მიწის შემადგენლობა უნდა შეისწავლოს და ამ მიწისთვის ადეკვატური მცენარეული კულტურები განსაზღვროს. ხანიშვილი ამბობს, რომ გასულ წელს მხოლოდ ნიადაგის ანალიზებზე



5000-მდე ლარი დაეხარჯა. ასეთი თანხები კი გლეხების დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელია.

მიწებს მნიშვნელოვნად აზარალებს თესლბრუნვის უგულებელყოფა და გამუდმებით ერთი და იმავე კულტურის მოყვანაც. საბოლოოდ, გლეხები ინსტინქტურად მოქმედებენ, ხშირად ზარალდებიან და მეურნეობაზე განუელ ხარჯებსაც ვერ იღებენ უკან.

„მაგრამ ზარალის მიუხედავად, გლეხი მიწის დამუშავებას ყოველ გაზაფხულს განაგრძობს. მიწასთან ურთიერთობა მისთვის სუნთქვის მსგავსია: თავს ვერ ანებებს... გლეხი მიწას მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლის წყაროდ არ განიხილავს, არამედ მიწა ყოფის განმსაზღვრელია. შეიძლება, ეკონომიკური თვალსაზრისით ასეთი დამოკიდებულება მთლად გონივრული არც იყოს, მაგრამ ჩვენ ასეთი მოცემულობა გვაქვს“ – ამბობს ხანიშვილი.



დაავადებების თავიდან ასარიდებლად ვაშლის ბაღებს ქიმიკატებით წლის განმავლობაში 3-ჯერ წამლავენ.



ფოტოები სოფელ ავჯიანური

სულხან თუმანიძის ბიონეის ბალები

„კირმის კაბუხ“ ანუ წითელკანანიანი ბრონეული – ასე ეწოდება ჯიშს, რომელს ნერგებიც სულხან თუმანიძეს მარნეულის სოფელ მულანლოში, 10 ჰექტრის ფართობზე აქვს ჩარგული. როგორც განმარტავს, ამ აზერბაიჯანული ჯიშის უპირატესობა მაღალ პროდუქტიულობასა და კანის მკვეთრ წითელ შეფერილობაშია. „ეს ცნობილი „გულოშას“ მონათესავე ჯიშია, მაგრამ გაუმჯობესებული მსხმოიარობითა და კანის ფერით.“ – ამბობს სულხანი.

ბრონეულს ფხვიერი, მსუბუქი ნიადაგი სჭირდება, რომელიც ნეიტრალური უნდა იყოს სიმლაშისა და სიმჟავისგან. ამ კულტურას ცხელი, მშრალი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი უყვარს. ბრონეულის ხე გვალვამძლეა, თუმცა ნაყოფიერების ასამაღლებლად მორწყვას საჭიროებს. თუმანიძის ნარგავები ჯერჯერობით 15-18 თვის ხეხილია. მოსავლის მოცემას კი ნარგავები მესამე წლიდან დაიწყებენ.

ბრონეულის ნარგავები შავი მულჩითაა დაფარული და წერტილოვანი მორწყვის სისტემით უზრუნველყოფილი. შავი მულჩის ნაჭერი ნიადაგში სინოტივის შენარჩუნებასა და ფხვიერი ფენის დაცვას უწყობს ხელს. ის სარეველებს ამოსვლის აშუალებას არ აძლევს, წერტილოვანი მორწყვა კი მცენარეს საჭირო ტენით ისე უზრუნველყოფს, რომ ნიადაგი არ დაზიანდეს და ჩაირეცხოს, რაც ხშირად ხდება მორწყვის სხვა მეთოდების გამოყენებისას. ასეთი მორწყვის პირობებში სოფლის მეურნეობაში მოსავლის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

„წერტილოვანი მორწყვა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ინვესტიციის გარეშე ასეთი ტექნოლოგიის დაყენება ნარმოუდგენელია. ზოგადად, სოფლის მეურნეობა ჩვეულებრივი ბიზნესია – ამას ისევე უნდა მივუდგეთ, როგორც ბიზნესს, რომელსაც ინვესტიცია, ცოდნა და მყარი გადანაცვები სჭირდება. რისკებისთვისაც კარგი მომზადებაა საჭირო რომ წინასწარ დაგეგმო მოსავალი და იმის იმედად არ დარჩე, რომ წვიმა მოვა და ის მოგირწყავს,“ – ამბობს სულხანი.

სულხან თუმანიძემ ბრონეულის ბალების გაშენება ორიოდე წლის წინ გადანაცვითა. სოფლის მეურნეობაში ადრე არანაირი გამოცდილება არ

ჰქონია. განათლება სოციალურ მეცნიერებებში მიიღო, შემდეგ კი სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, საზოგადოებრივ მაუწყებელში, მუშაობდა დიპლომატად თურქეთში, ჰქონდა საკუთარი სარეკლამო სტუდია და აშ. თუმცა ხილის ბაღის გაშენება მას შემდეგ გადანაცვითა, რაც საკუთარი სტაბილური ბიზნესის კეთების სურვილი გაუჩნდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ნლების წინ მამამისის მიერ ნაყიდ და უქმად მყოფ მინაზე ბრონეულის ბალების გაშენება.

„ბრონეული სტანდარტულად შევარჩიეთ – გირჩენია ისეთი რამე გააკეთო, რაც სხვას არ აქვს. საქართველოში ყურძენი და მევენახეობა, ატამი და ვაშლი ტრადიციული თემაა, ბლისა და ალუბლის ბალებიც ბევრია შიდა ქართლში. ბრონეული კი, რომელიც ერთი შეხედვით ტრადიციულ კულტურად ითვლება, და ქართული სამხარეულოს ორგანული ნაწილია, სინამდვილეში არავის მოჰყავს – ბრონეულის მსხმოიარე ბაღი არ არსებობს,“ – ყვება სულხან თუმანიძე.

სულხანმა საქმიანობა ინფორმაციის მოძიებითა და დარგის კვლევით დაიწყო. საჯარო ბიბლიოთეკაში შემორჩენილი საბჭოთა ლიტერატურის შესწავლის შემდეგ ინტერნეტის მეშვეობით მებრონეულის თანამედროვე განვითარების ტენდენციებს გაეცნო და ასე აღმოაჩინა სფეროს საუკეთესო ექსპერტი, რიჩარდ ემტონი, რომელსაც ტენისაში რამდენიმე ასეულ ჰექტარზე გაშენებული საკუთარი ბრონეულის ბალები აქვს.

სულხან თუმანიძემ ისარგებლა შესაძლებლობით, რასაც ქართველ ფერმერებს საერთაშორისო ორგანიზაცია CNFA-ის პროექტი „ფერმერი ფერმერს“ აძლევს. USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ორგანიზაციას ფერმერებისთვის უსასყიდლოდ ჩამოჰყავს ამ დარგში წარმატებული ამერიკელი ფერმერები. ამგვარად, თუმანიძის მეურნეობის კონსულტანტი რიჩარდ ემტონი გახდა.

სულხანმა ბრონეულის ნერგები აზერბაიჯანიდან ჩამოიტანა, რაშიც აზერბაიჯანელი მეგრონეულე დაეხმარა. „ჩვენი ასერბაიჯანელი პარტნიორი აზერბაიჯანში USAID-ის დაფინანსებული ბრონეულის პროექტის დირექტორია. ის საქმეს სპეციალისტის თვალით უყურებს და ცდილობს,

■ სულხან თუმანიძემ ისარგებლა შესაძლებლობით, რასაც ქართველ ფერმერებს საერთაშორისო ორგანიზაცია CNFA-ის პროექტი „ფერმერი ფერმერს“ აძლევს. USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ორგანიზაციას ფერმერებისთვის უსასყიდლოდ ჩამოჰყავს ამ დარგში წარმატებული ამერიკელი ფერმერები. ამგვარად, თუმანიძის მეურნეობის კონსულტანტი რიჩარდ ემტონი გახდა.



ფოტო: შორენა მთავაძე

კარგი ჯიშები გავრცელდეს მთლიანად რეგიონში და არა მხოლოდ აზერბაიჯანში.“

სულხანი ყვება, რომ საქართველოში ბრონეულის ნერგები საბჭოთა პერიოდში ჩამოიტანეს შუა აზიიდან და ვაშლიჯვრის საცდელ მეურნეობაში გამოჰყავდათ. თუმცა ამ ჯიშებმა არ გაამართლა. სწორი ჯიშების შერჩევის შემთხვევაში კი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ბრონეულის მოყვანისთვის იდეალური პირობებია.

რიჩარდ ეშტონმა საქართველოში ყოფნისას ველურად მზარდი ბრონეულის სახეობაც კი აღმოაჩინა, რომელსაც საგემოვნო თვისებების გამო „ქართული ტკბილი“ უწოდა.

სულხან თურმანიძე ამბობს, რომ ბრონეული ძირითადად მაინც ველურ კულტურად ითვლება, მისი ინდუსტრიალიზაცია და გაკულტურება მასშტაბურად ახლახან დაიწყო. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჯიშების მრავალფეროვნებას და დაკარგული ქართული ჯიშების მოძიებას ცდილობს.

„დასავლეთ საქართველოში მოჰყავთ „კრაახუნა“. ეს ჯიშიც საბჭოთა აგრონომების გამოყვანილია, მაგრამ არც ისე კარგი გამოდგა. არსებობს სხვა ქართული ჯიშებიც, რომლებიც გაფანტულია. მაგალითად, „ფიროსმანი“, „მარნეულის საუკეთესო“... ეს ჯიშები სამეცნიერო კვლევებში დარჩა და არ ვიცი როგორ ვიპოვო.“ – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას ფერმერი. ბრონეულის ჯიშების ყველაზე საინტერესო საცავად კი, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, თბილისში საბურთალოს

რეგიონს განიხილავს. “თუ დაკვირვებისა, აქ ყველა ეზოში აქვთ ბრონეულის ხეები და ვფიქრობ, მათი შესწავლით ძალიან საინტერესო ჯიშების მიგნება თუ აღმოჩენა შეიძლება.“

ბრონეული საკუთარი უნიკალური თვისებების გამო მთელ მსოფლიოში ძვირადღირებულ პროდუქტად ითვლება. ის დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდენტებს – ნივთიერებებს, რომლებიც ბიოლოგიურ ნაერთთა ჟანგვას ანელებს და ამგვარად, სხეულში უჯრედების დაბერებასა და კვდომას უშლის ხელს. ანტიოქსიდენტების შემცველი ხილი დღეისთვის ერთგვარ ახალგაზრდობის ელექსირად განიხილება.

სულხან თურმანიძე ხაზს უსვამს, რომ ბრონეულზე ბოლო წლებში მზარდი მოთხოვნა. ამ კულტურის კლიმატური პრიობებისადმი პრეტენზიულობის გამო კი ბრონეულის წარმოება სულ რამდენიმე ქვეყანას შეუძლია: ამერიკის შეერთებულ შტატებს, თურქეთს, ირანს, შუააზიის ქვეყნებს... დიდი რაოდენობით ბრონეულს აწარმოებს ინდოეთიც, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ, ტკბილ ჯიშებს, რომელსაც შიდა ბაზარზე მოიხმარენ. ევროპაში ბრონეულის კულტივაციის პირობები მხოლოდ ესპანეთშია და ევროპის ქვეყნებშიც ძირითადად ესპანური ბრონეულით მარაგდება. სულხან თურმანიძე არ გამორიცხავს, რომ დარგის განვითარების შემთხვევაში სომხეთის ბაზრის შემდეგ ქართული ბრონეულისის გასაღების არეალი ევროპის ქვეყნები გახდეს. ■

მეუხეობა, ხობოხს ჰობი

სოფლის მეურნეობა მომგებიანი ბიზნესისა თუ იდენტობასთან დაკავშირებული ცხოვრების წესის გარდა უბრალოდ გატაცება და სიამოვნების მიღების საშუალებაც შეიძლება იყოს. კომპანია მაგთიკომის პრეზიდენტი და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დევიდ ლი მეურნეობას სწორედ ამის გამო მისდევს. მის საკუთრებაში იმერეთში, ქუთაისის მახლობლად კამეჩების ფერმა და 255 ჰექტარი ფართობის სახნავ-სათესი მიწებია.

მეურნეობას დევიდ ლის მენეჯერი, მიხეილ ხელაძე მართავს. ადრე ის სხვადასხვა ინდუსტრიაში მუშაობდა, მაგრამ 90-იან წლებში სოფლად დაბრუნდა. როგორც ამბობს, დევიდს შორიდან მოსკოვში ყოფნის დროსაც იცნობდა, მაგრამ მას შემდეგ რაც მისმა ქალიშვილმა მაგთიკომში დაინყო მუშაობა, ოჯახებით დამეგობრნენ. მოგვიანებით კი დევიდ ლიმ იმერეთში მიწებიც შეიძინა და საერთო მეურნეობა დაიწყო.

„ბრიტანელებისთვის ტრადიცია ყოფილა მიწების მოვლა. დევიდსაც ძალიან უყვარს მიწა და მეურნეობა და თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდის“, – ამბობს მიხეილი.

კამეჩების გამრავლების იდეა მიხეილს ეკთვნის. ამბობს, რომ სანამ მგლები გამრავლდებოდნენ, ეს მარტივი და მომგებიანი საქმე იყო. ზაქებს 200 ლარად ყიდულობდნენ და ორ წელიწადში 1000 ლარად ყიდდნენ სახორცედ. ამჟამად 23 კამეჩი ჰყავთ. ისინი ყოველწლიურად მრავლდებიან. ერთ წელიწადში ზაქი 80 კილომდე აღწევს. შემოდგომით კი კამეჩების ნამატს ყიდნიან.

კამეჩებს მინიმალური ყურადღება სჭირდებათ და მათ მოსავლულად საძოვრითა და წყლით უზრუნველყოფაა საკმარისი. თავიდან კამეჩები მინდვრად ცხოვრობდნენ რეგულარული სადგომის გარეშე. ზამთარშიც, თუ განსაკუთრებული სიცივე არაა, ეს ცხოველები ისევ ბალახით იკვებებიან. „მერე მგლები გაჩნდა და 28 კამეჩი ერთად შეგვიჭამა. მგელი რომ არ იყოს, კამეჩების მოშენებაზე კარგი არაფერი არაა. ამოვიყვანეთ სოფლიდან მონადირეები, მოვიმარაგეთ სასმელ-საჭმელი და ერთი ათ დღეს ვყარაულობდით: მაშინ არ გამოჩნდა საერთოდ, მაგრამ როგორც კი თავი დავანებეთ, მეორე დღეს ორი კამეჩი ერთად შეგვიჭამა. ჭკვიანია, თორემ რა მგელი იქნებოდა,“ – ყვება სიცილით.

კამეჩებისთვის გამოყოფილ, ნაკელით გამდიდრებულ საძოვრებს გარკვეული დროის შემდეგ ხნავენ და მარცვლეული მოჰყავთ. კამეჩებს კი სხვა საძო-


ვრებს გამოუყოფენ. მარცვლეულიდან დევიდ ლის ფერმაში შვრია, პური და სიმინდი მოჰყავთ.

„მარშან კახელებს ვაჯობებ მოსავლით: ჰექტარზე 5 ტონანახევარი ხორბალი მივიღებ. კარგი აგრონომი გვყავს, რომელსაც ყველა საკითხს ვუთანხმებთ და მოსავალიც ამის შედეგია“. – ამბობს მიხეილ ხელაძე.

თავიდან, სანამ საჭირო ჯიშებს იპოვნიდნენ, სხვადასხვა ჯიშის დათესვა სცადეს, ამ დროისთვის კი უკვე იციან ადგილობრივ ნიადაგსა და კლიმატს ყველაზე უკეთ რა კულტურები და ჯიშები შეეფერება. ამჟამად რუსული ხორბლის ჯიშს – უფხო პირველს, ფრანგულ რენანსა და ფარანდოლს, და ამერიკულ ჯაგერს თესავენ. სიმინდის ყველაზე უკეთესი მოსავალი კი ესპანურ კარელასგან მიიღეს. ეს ჯიში პროდუქტიულობითაც ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა და ტაროს ხარისხითაც. „ჰექტარზე 10-11 ტონა მოვიყვანეთ. ამ რაიონში ასეთი მოსავალი ჯერ არ ყოფილა. ნეტავი გენახათ, რა ლამაზი შესახედავი იყო იმდენი ტარო,“ – იხსენებს ფერმერი.

მინის ნაწილზე მოჰყავთ შვრიაც, რომელსაც კამეჩების საკვებად იყენებენ. წელს აპირებენ 6-7 ჰექტრის ფართობზე საზამთრო და ნესვიც მოიყვანონ. ჩითილები უკვე გამოყვანილია და ამჟამად მიწაში მათი ეტაპობრივი გადარგვა იწყება. საზამთროს საყიდლად თავად ჩამოვლენ ვაჭრები. რაც დარჩება, იმას ლორის საკვებად გამოყენებენ, რაკი ლორების გაზრდასაც აპირებენ.

სიმინდის ნაწილს საკვებად იყენებენ, ნაწილს კი მეფრინველები ყიდულობენ თავიანთი მეურნეობისთვის.

მიხეილ ხელიძის თქმით, მთავარი პრობლემა, რაც მიწების დამუშავებისას ექმნებათ, ტექნიკისა და გამოცდილების უქონლობაა. თავიდან დამუშავება მცირე ფართობებით დაიწყო, რომ შეცდომითი მოვლისა და შერჩევის შემთხვევაში ზარალი დიდი არ ყოფილიყო, ახლა კი დამუშავებულ ფართობს ეტაპობრივად ზრდიან. რაც შეეხება ტექნიკას, ახალი ტრაქტორები იმდენად ძვირადღირებულია, რომ მეურნეებს ხელი არ მიუწვდებათ. ამიტომ ძველი ტრაქტორებით სარგებლობა უწევთ. „ორი ძველი ტრაქტორი გვყავს. ძველი ტექნიკა რეგულარულად ფუჭდება და სულ შეკეთება უნდა: ამ თვეში შეკეთება 3500 ლარი დაგვიჯდა, მაგრამ საკუთარ ტექნიკას ის უპირატესობა აქვს, რომ როცა გინდა მაშინ დაამუშავებ მიწას და დათესვა არ გიგვიანდება,“ – ამბობს ხელაძე. 

■ კამეჩებისთვის გამოყოფილ, ნაკელით გამდიდრებულ საძოვრებს გარკვეული დროის შემდეგ ხნავენ და მარცვლეული მოჰყავთ. კამეჩებს კი სხვა საძოვრებს გამოუყოფენ. მარცვლეულიდან დევიდ ლის ფერმაში შვრია, პური და სიმინდი მოჰყავთ.



ფოტო: სურვილ აფხაზიანი



ფოტო: ირაკლი შიშინაძე

ბესიკ თოფჩიშვილის მეურნეობა

ბესიკ თოფჩიშვილს დედოფლისწყაროში მსხვილი ფერმერული მეურნეობა აქვს. მეურნეობა სახნავ-სათესი მიწების, საძოვრებისა და ძროხებისა და ღორების ფერმისაგან შედგება. ბესიკი წარმოშობით სოფელ ოზაანიდანაა. 1976 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. შემდეგ კი სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა კოლმეურნეობებში თუ რაიონულ კომიტეტებში. საკუთარი მეურნეობის შენებას 90-იან წლებში შეუდგა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრივატიზაციის ტალღა დაიწყო.

ბესიკ თოფჩიშვილის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მარცვლეულს უჭირავს. 155 ჰექტარი მიწის ფართობზე მას ყოველწლიურად მოჰყავს ხორბალი, ქერი და მზესუმზირა. 150-მდე ჰექტარს კი საძოვრებად იყენებს.

თოფჩიშვილი მიწის დამუშავების ტექნიკურ

სირთულეებზე საუბრობს. ტრაქტორები ადგილობრივებისთვის რთულად ხელმისაწვდომია: ტექნიკის დაქირავება ძვირი ჯდება, ახლის ყიდვა კი თოფჩიშვილისნაირი მსხვილი ფერმერისთვისაც დიდი ფუფუნებაა. „100 ათასზე ნაკლებად ვერ იყიდი ახალ ტრაქტორს და რომც იყიდი, 5 წელი უნდა უხადო ბანკს, მოსავლით ვალს მაინც ვერ დაფარავ,“ - ამბობს თოფჩიშვილი. ალტერნატივად ძველი საბჭოთა ტექნიკით სარგებლობა რჩება, რომელსაც ექსპლოატაციის ვადა უკვე გასული აქვს, ხშირად ფუჭდება და რეგულარულ შეკეთებას საჭიროებს, რაც გლეხებს ასევე ძვირი უჯდებათ. თუმცა ბესიკს მაინც ეს ურჩევნია, რამდენადაც საკუთარი პროფესია შესაძლებლობას აძლევს თავადვე შეაკეთოს გაფუჭებული მანქანები.

წელიწადში ერთი ჰექტარი მიწის მოვლა რეგიონში საშუალოდ 1000-დან 1500 ლარამდე

ჯდება. ფერმერმა ჰექტარზე მინიმუმ 3 ტონა მარცვლეული მანც უნდა მიიღოს, რომ დამუშავების ხარჯებიც დაფაროს და მოგებაც დარჩეს. 2 ტონის ლირებულება, საშუალოდ ხარჯების დაფარვას სჭირდება, ამაზე ნაკლები მოსავალის აღების შემთხვევაში კი ფერმერი ზარალდება. „ჩვენ ძირითადად 3 ტონას ვერ ვცდებით, იმიტომ რომ ბუნებრივ პირობებზე: გვალვასა და წვიმაზე ვართ დამოკიდებული.“

„ჩემს შრომას ის ფასი აქვს, რომ მშვიდი არა ვარ... აი, ახლა ღმერთთა ნუ ქნას და ვთქვათ არ მოვიდეს მოსავალი, რა უნდა ვქნა, მანც უნდა დავთესო... მაგალითად, 2 წლის წინ საერთოდ არ ამიღია მოსავალი მაგრამ მინის დამუშავება მანც არ გამიჩერებია. იმ წელს სესხი ავიღე, საქონლის ნაწილი გავყიდე და მანც დავთესე ხორბალი. ხანდახან არის ასეთი მოუსავლიანი წელი, მაგრამ გლეხი ამის გამო არ ჩერდება,“ – ამბობს თოფჩიშვილი.

თოფჩიშვილის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძროხების ფერმასაც. თავიდან მეურნეობა რამდენიმე ძროხით დაიწყო, შემდეგ კი ფერმა იყიდა და დღეს 100-მდე ძროხა ჰყავს. ძროხებს აზერბაიჯანელი ოჯახი უვლის. ხბორებისადმი კი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ქართული ნაგაზები – უცხოებისადმი არცთუ კეთილად განწყობილი ძაღლები ხბოებს მზრუნველი დედებივით ევლებიან თავს.

ზაფხულობით ძროხები ბალახით იკვებებიან, ზამთარში კი მარცვლეულის ნამჯითა და თივით. ამ დრომდე ფერმერს რძე ჩამბარებულ პუნქტში მიჰქონდა, საიდაც რძეს მენარმეები ყიდულობდნენ, ახლა კი თავად აპირებს რძის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას, სადაც ყველს, ხაჭოსა და სხვა პროდუქტებს დაამზადებს. დამუშავებული რძის ნარჩენებს კი ღორების საკვებად გამოიყენებს.

ღორების მოშენება ბესიკ თოფჩიშვილმა გარკვეული ხნის წინ შეაჩერა, როდესაც ღორის ჭირის გამო 100 ღორი დაკარგა. თუმცა დაავადებების რისკის მიუხედავად ორიოდ წლის წინ ღორების მოშენება ისევ განაახლა. ღორების მეურნეობა მომგებიანია, რაკი ეს ცხოველები განსაკუთრებულ ზრუნვას არ საჭიროებენ და სწრაფად იზრდებიან. ერთი დედაღორი ნამატს საშუალოდ ყოველ 4-5 თვეში იძლევა და 8-დან 14-მდე გოჭს აჩენს. თუმცა გლეხებისა და გლეხური მეურნეობისთვის ღორების მოშენება მანც მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული, რადგან სოფლური ფერმის პირობებში ღორების გადამდები დაავადებებისგან დაცვის გარანტიე-

ბი არ არსებობს. დაავადებების შემთხვევაში განკურნება პრაქტიკულად გამორიცხულია და დაავადება ყველა ღორზე გადადის. ამავე დროს, გლეხური პროდუქტი ფასით კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთიდან შემოსულ გაყინულ ღორის ხორცს და ფერმერებისთვის ხარჯებისა და მოგების პროპორციის წინასწარ დაგეგმვა რთულია.

თოფჩიშვილს სამეურნეო მიწებისა და მეცხოველეობის გარდა ლოკალური მნიშვნელობის მარცვლეულის შესანახი საწყობი და მცირე ნისქვილიც აქვს. მეორადი ელექტრონისქვილი, რომელიც გერმანიიდან გამოიწერა, საკუთარი ხელით ააწყო და ახლა მარცვლეულის დასაფქვავად სხვაგან წასვლა აღარ უწევს. ნისქვილით სარგებლობენ მისი ახლობლები და მეზობლებიც.

თოფჩიშვილის მსხვილ მეურნეობას ხარჯებიც დიდი აქვს, თუმცა ფერმერს არც გასავლის ემინია და არც სირთულეების. აუცილებლობის გამო ალებულ ბანკის კრედიტებსაც უშიშრად უყურებს და არც მის მარცვლეულის საწყობში შეფრენილ გვრიტებს ებრძვის. „ამათაც თავისი წილი აქვთ მოსავალში. აბა როგორ, ჩიტებსაც ხომ უნდათ არსებობა!“ – ამბობს სიცხლით. ხაზს უსვამს, რომ სოფლის მეურნეობას დაუღალავი შრომა სჭირდება და რისკებთანაა დაკავშირებული. გამდიდრების და ფუფუნების დიდ იმედებს, მისი აზრით, ეს სფერო შეიძლება არ იძლეოდეს, მაგრამ ქვეყანაში სიღატაკესა და შიმშილთან საბრძოლველ იარაღად სწორედ სოფლის მეურნეობას ხედავს: „ბავშვები იქნება თუ მოზრდილები ამ ქვეყანაში შიმშილით რომ არ უნდა კვდებოდნენ, ეგ არის“, – ამბობს ფერმერი. ■

■ წელიწადში ერთი ჰექტარი მიწის მოვლა რეგიონში საშუალოდ 1000-დან 1500 ლარამდე ჯდება. ფერმერმა ჰექტარზე მინიმუმ 3 ტონა მარცვლეული მანც უნდა მიიღოს, რომ დამუშავების ხარჯებიც დაფაროს და მოგებაც დარჩეს. 2 ტონის ლირებულება, საშუალოდ ხარჯების დაფარვას სჭირდება, ამაზე ნაკლები მოსავალის აღების შემთხვევაში კი ფერმერი ზარალდება. „ჩვენ ძირითადად 3 ტონას ვერ ვცდებით, იმიტომ რომ ბუნებრივ პირობებზე: გვალვასა და წვიმაზე ვართ დამოკიდებული.“



ბესიკ თოფჩიშვილის ელექტრონისქვილი.

ჰახეიბი სოფელ ფეხმაში

„თავიდან სოფლელები დაგვცინოდნენ, ვაკელი ფერმერები ჩამოვიდნენ, ვაკელებმარა ფერმა უნდა გააკეთონო“, – ღიმილით ყვებიან გუგა ნანობაშვილი და ზურაბ ოდიშერაშვილი.

უკვე მეოთხე წელია, მათ სოფელ ფერმაში შეიძინეს მიწები, საქონლის სადგომი და ახლა მეცხოველეობით არიან დაკავებული. მათ საკუთრებაშია ატმის ბაღები და მცირე ვენახიც. აქვე მონაწივეს ეგრეთწოდებული „ცივი სათბურებიც“, რომელიც არ თბება და თერმოკონტროლი არ აქვს. ასეთ სათბურში გუგას და ზურაბს ზამთარში მწვანილი მოყავთ, ზაფხულში კი კიტრი და პომიდორი.

ფერმერებმა სპეციალური ვაზის სანერგე მეურნეობაც გააკეთეს, სადაც აგრონომის დახმარებით ვაზის ნერგები გამოიყვანეს: თავკვერი, ჩინური, გურული მწვანე, ალადასტური და რქანთელი.

თუმცა მათი მეურნეობის მთავარი ხაზი მაინც მეცხოველეობაა – ზრდასრულ ბულებს ყიდულობენ, ასუქებენ და სახორცედ ყიდიან.

თავიდან მენველი ძროხებიც შეისყიდეს და რძეს აბარებდნენ, მაგრამ ძროხების შენახვა საძოვრების გარეშე ძვირი აღმოჩნდა. ამიტომ, ფერმერებმაც ადგილობრივების მსგავსად, სახორცე საქონლის გაზრდა დაიწყეს.

„ასეთ მეურნეობაში ჩართვა ალბათ ასაკზეცაა დამოკიდებული. როცა 25 წლის ვიყავი, ჩემთვის რომ ვინმეს ეთქვა რეზინის ჩექმებს ჩაიცვამ და ფერმაში ძროხებს დაუწყებ დევნასო, არ ვიცი რა რეაქცია მექნებოდა. 4 წელი ნიუ-იორკში ვცხოვრობდი ბროდვეისა და მეშვიდე ავენიუს კვეთაზე და ემფაიარ სთეით ბილდინგში მქონდა ოფისი.“ – ამბობს ზურაბ ოდიშერაშვილი. ის პროფესიით მშენებელ-ინჟინერი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. სხვადასხვა დროს მუშაობდა კერძო ბიზნესსა თუ სახელმწიფო სამსახურში.

გუგა ნანობაშვილი საგარეო ეკონომიური ურთიერთობების სპეციალისტია. სოფლის

მეურნეობაში ჩაბმამდე პარლამენტის აპარატში, საგარეო ურთიერთობათა სამინისტროში, საგადასახადო ინსპექციაში თუ სხვადასხვა კერძო დაწესებულებებში მუშაობდა.

ამჟამად საკუთარ მეურნეობას დიდ დროს უთმობენ – კვირაში რამდენიმე დღეს სოფელში ატარებენ საგულდაგულოდ მონყობილ კოტეჯში. აქვე უმასპინძლებიან მეგობრებს თავისი ეზოს ღვინით. მათი არყოფნისას კი მეურნეობას მეზობელი ოჯახი მეთვალყურეობს.

საქონელი ბაგურ კვებაზე ყავთ. 200-250 კილოგრამიან ბულებს ყიდულობენ და 5-6 თვის განმავლობაში ფერმაში ჰყავთ დაბმული. ამასობაში საქონელი სუქდება და 400-500 კილოგრამს აღწევს, რის შემდეგაც სახორცედ ყიდიან.

„ზრდასრული საქონლის ყიდვა და შემდეგ გასუქება ბიზნესის კუთხით უფრო მომგებიანია, რადგან ამ ეტაპამდე მთელი ენერჯია ცხოველის ზრდაზე მიდის და ხორცს ვერ იკიდებს“, – ამბობს გუგა.

საქონელს ან ცოცხალ წონად ყიდიან, ან ნატახტრის სასაკლაოზე მიჰყავთ და ხორცის სახით აბარებენ. ხორცის ფასი 10-12 ლარს შორის მერყეობს, ცოცხალი საქონლის შემთხვევაში კი კილოგრამი 5 ლარადაა შეფასებული.

„ვაკელი ფერმერები“ ყოველწლიურად 200-მდე ბულას ზრდიან და ყიდიან.

საქონლის გასაღება პრობლემური არაა. ფერმაშიც და მეზობელ სოფელ ჩანგილარშიც ეროვნებით აზრბაიჯანელი მოსახლეობა მესაქონლეობას მისდევს. საქართველოში ეს სოფლები მეხორცეობის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ ხორცის ბიზნესში ჩართული მენარმეები და ვაჭრები თავად ჩადიან სოფლებში და პროდუქტს ადგილზე ყიდულობენ.

ფერმერების ახალი ბიზნეს იდეა ისევ ამ სოფლების ტრადიციულ მეურნეობას უკავშირდება სოფლებში ყოველწლიურად ათა-

■ „ასეთ მეურნეობაში ჩართვა ალბათ ასაკზეცაა დამოკიდებული. როცა 25 წლის ვიყავი, ჩემთვის რომ ვინმეს ეთქვა რეზინის ჩექმებს ჩაიცვამ და ფერმაში ძროხებს დაუწყებ დევნასო, არ ვიცი რა რეაქცია მექნებოდა. 4 წელი ნიუ-იორკში ვცხოვრობდი ბროდვეისა და მეშვიდე ავენიუს კვეთაზე და ემფაიარ სთეით ბილდინგში მქონდა ოფისი.“ – ამბობს ზურაბ ოდიშერაშვილი.



ფოტო სოფო აფციაური

სობით საქონელს ზრდიან. ამიტომ დიდი რაოდენობით ნაკელი გროვდება. ზოგადად, ნაკელი მიწების გასამდიდრებლად კარგი ბუნებრივი სასუქია, მაგრამ ნაკელის შეგროვება და მიწის გასამდიდრებლად დამუშავება დამატებით შრომას მოითხოვს. სოფელ ფერმის მცხოვრებლები კი მინათმოქმედებას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ამას გარდა, ნაკელი მაინც ჭარბად რჩება. სოფლის მცხოვრებლები კი მის მოშორებას ცდილობენ და მდინარე ქსანში ყრიან.

გუგა და ზურაბი აპირებენ სოფელ ფერმაში ნაკელის გადამამუშავებელი ქარხანა ააშენონ და მინათმოქმედებს კარგად დამუშავებული ბიოლოგიურად სუფთა სასუქი შესთავაზონ. ამ ეტაპზე ფერმერები საკუთარი პროექტისთვის დაფინანსებას ეძებენ და ბანკებთან ანარმოებენ მოლაპარაკებას.

ნაკელის გადამამუშავებელი ქარხნის აშე-

ნებას წინასწარი გათვლებით 100 ათას ლარიანი ინვესტიცია დასჭირდება. სოფელში წყლის, გაზისა და ელექტროენერჯის გაყვანილობის პრობლემა გადაჭრილია და ამ რესურსებით სარგებლობა განსაკუთრებულ ხარჯებს არ უკავშირდება.

„დასავლეთ საქართველოში ძალიან ბევრი ცივი სათბურია, რომელიც ასეთ სასუქს სიამოვნებით შეიძენს. ნაკელს აქ ტყუილად ყრიან, სხვა ადგილებში კი დეფიციტურია.“ – ამბობენ ფერმერები. ზურაბ ოდიშერაშვილი ხაზს უსვამს, რომ გლეხები მიწის გასამდიდრებლად უმეტესად გვარჯილას იყენებენ, რაც სინამდვილეში კიდევ უფრო ფიტავს ნიადაგს. ნაკელისგან კი ბიოლოგიურად სუფთა სასუქი მზადდება. თუ ფერმერები ეტაპობრივად ბიოპროდუქტების წარმოებაზე გადავლენ, ასეთ სასუქზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდება. **■**



ფოტო: სიმონ აფხაზური

სამხაეო ბანკითაჩება მოძვანი საჩაჩთველოსათვის

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის“ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მუშაობს. ასოციაცია უკვე მეოთხე წელია სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს და მისი მიზანი წვრილი და საშუალო ფერმერების დახმარება და

განვითარების შესაძლებლობის შექმნაა. „სამხუხაროდ, პოლიტიკის დაგეგმვისას აქცენტი ყოველთვის მსხვილ ფერმერებზე კეთდება, რაკი სამართავად უფრო იოლია. კარგია, რომ ახლა გლეხებს იაფი კრედიტების დაფინანსების შესაძლებლობა გაუჩნდათ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მათი



სა და გასაღების ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ. საბჭოთა კავშირის დროს, მთელი 70 წლის განმავლობაში, დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობების ტრადიცია შეწყდა და სოფლად მცხოვრებლები უბრალოდ, დაქირავებულ თანამშრომლებლად იქცნენ, რომლებიც აგრონომებისა თუ ვეტერინარების მითითებებს ასრულებდნენ. ამიტომ, გლეხების მხარდაჭერა ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია.

„საქართველო აგრარული ქვეყანაა. რაც საბჭოთა კავშირის დროს ინდუსტრიული სიმძლავრე გვქონდა, ამ წლებში ისიც დავკარგეთ და ყველაფერი განადგურდა. განვითარებისთვის ერთადერთი, სოფლის მეურნეობა დაგვრჩა და ამიტომ ამ სფეროს დიდი ყურადღება სჭირდება“, - ამბობს გროგოლაშვილი.

ამჟამად ასოციაცია წვრილ გლეხებს მეურნეობების წამოწყებასა და მართვაში ეხმარება. სამიზნე ჯგუფად პირველ ეტაპზე 2008 წლის ომის დევნილები შეარჩიეს, რადგან ისინი ყველაზე შეზღუდული რესურსების მფლობელები არიან, მხოლოდ საცხოვრებელ კოტეჯებსა და ამ კოტეჯების საკარმიდამო ნაკვეთებს ფლობენ. დევნილების უმრავლესობა უმუშევარია, ორგანიზაცია კი ცდილობს ასეთი შეზღუდული რესურსების პირობებშიც სოფლის მეურნეობაში მათი დასაქმების პრეცედენტები შექმნას.

„ვცდილობთ დევნილებს ისეთი მეურნეობის კეთება დავანწყებინოთ, რაც უკვე არსებული ინფრასტრუქტურითა და რესურსებით მაქსიმალურად ეფექტური სარგებლობის საშუალებას მოგვცემს,“ - ამბობს გროგოლაშვილი. მაგალითად, კოტეჯების ტიპის დასახლებებში, სადაც მცირეოდენი მიწები არის, ასოციაცია ფერმერებს სათბურების აშენებაში ეხმარება. კორპუსის ტიპის დასახლებებში კი, სადაც მიწები ხელმისაწვდომი არაა, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების, თუნდაც ძველი, დანგრეული შენობები დგას, სხვა ტიპის მეურნეობებს გვგმავენ, მაგალითად სოკოს ფერმას, მეფრინველეობას და ა.შ.

ლევან კუსიანი საგურამოს დევნილთა ჩასახლებაში ბროილერის ჯიშის ქათმებს აშენებს, მის მეურნეობას მრავალსართულიანი კორპუსის სარდაფში ორი პატარა ოთახი უჭირავს: ერთ მათგანში ინკუბატორია, სა-

მეურნეობის განსავითარებლად არასაკმარისია – პრობლემა მხოლოდ ფულად რესურსში კი არა, ცოდნასა და ბაზარზე დამკვიდრებაშიცაა,“ - ამბობს ორგანიზაციის თავჯდომარე, ვანო გროგოლაშვილი.

გროგოლაშვილი ხაზს უსვამს, რომ გლეხებს მოსავლის დამოუკიდებლად მოყვანი-



კოოპერატივის თავჯდომარე, ვახტანგ არბულიშვილი ასოციაციის თანამშრომელთან ერთად.



საგურამოს დევილითა დასახლების მცხოვრების, ლევან კუსიანის მთავარი შემოსავლის წყარო ფრინველის ფერმა გახდა.

პირობებში წინილები სწრაფად იზრდება და სუქდება. კუსიანს ქათმის გაყიდვაში და აგრარულ ბაზრებზე ჩაბარებაში ორგანიზაცია ეხმარება.

წეროვანის დევილითა ჩასახლებაში მონყობილი პომიდვრის სათბური კოოპერატივის ფორმით გაერთიანებულ 5 ოჯახს ეკუთვნის. “ჭაპანს ერთად ვეწევი და მოსვალის მოგებასაც ვიყოფთ. გორის რაიონის სოფელ ერედვიდან ვარ. იქ ნავთობის ბაზა და ბლოკის საჭრელი მეურნეობა მქონდა, საკუთარი ვაშლის ბაღები და ბოსტნეულიც მომყავდა. დღეს კი დევილი ვარ და ამ პატარა მიწას ვებლაუჭები. აქ უმუშევრობაა და ეს სათბური იმის საშუალებაა, რომ სარჩო იშოვო და იარსებო,” – ამბობს კოოპერატივის თავჯდომარე, მალხაზ არბულიშვილი.

საგურამოში გამართული კიტრის სათბურით 4 ოჯახისგან შემდგარ კოოპერატივს ეკუთვნის. კოოპერატივის თავჯდომარე ირმა სუბელიანი ამბობს: „ამ სათბურით შემოსავლის წყარო გაგვიჩნდა და დავსაქმდით. დამოუკიდებლად კი ასეთ რამეს ვერ შევძლებდით – ჩვენ დევილები ვართ და ისეთი ფინანსური რესურსები არ გვაქვს, რომ მსგავსი მეურნეობა გაგვეჩინა.“

სამხარეო განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაცია მეურნეობისთვის საჭირო საშენ მასალებსა და აპარატურას თავად ყი-

დაც სტაბილური ტემპერატურული ბალანსის მეშვეობით კვერცხებიდან წინილები იჩეკება, მეორე ოთახში კი ქათმების დასაზრდელად ქანდარება მოწყობილი. ამ ოთახში რეგულარული კვებისა და უმოძრაობის



ფოტო: სოფო ალექსიანი

ვანო გროგოლაშვილი ახალგაზრდა ფერმერთა სკოლის წევრებთან ერთად.

დულობს. უხდის ხელფასს აგრონომსა და სხვადასხვა ტექნიკურ პერსონალს, რომლებიც მეურნეობებს რჩევენ აძლევენ და მეთვალყურეობენ. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, უკვე გამართული მეურნეობებისგან მიღებული მოგების 50% სპეციალურად შექმნილ ფონდში გადაირიცხება. ამ თანხით ანალოგიური ახალი მეურნეობები შეიქმნება, რათა პროექტში მასქიმალურად ბევრი ოჯახი ჩაერთოს.

გროგოლაშვილის ორგანიზაციას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ახალგაზრდა ფერმერთა სკოლის შექმნა მიაჩნია, სადაც მოზარდებისთვის სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები ეწყობა. ამგვარად ასოციაცია ცდილობს ახალ თაობებში მეურნეობის კეთების სურვილი გააჩინოს და მოზარდებს დაანახოს, რომ მეურნეობით დაკავება და ამ დარგში ცოდნის მიღება პერსპექტიულია.

„სამხარეო განვითარების“ პროექტებს უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციები, გაეროს სტრუქტურები და გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო აფინანსებს. „წეროვანში სათბურის მშენებლობაზე პირველი ქვა თავად გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა ჩადო, რომელიც ამ პროექტის მხარდასაჭერად ჩამოვიდა საქართველოში“, - იხსენებს გროგოლაშვილი.

ვანო გროგოლაშვილი პროფესიით ომის სამართლის სპეციალისტია. ის წლების განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა. როდესაც უნივერსიტეტი დაამთავრა, ქვეყანა ომში იყო ჩართული, მოხალისედ წითელ ჯვარში წავიდა. „იარაღი არასდროს ამიღია და ვერავის ვესვრი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს. ამიტომ წითელ ჯვარში წავედი. იქაც ომში ხარ, მაგრამ ქვეყანას სულ სხვა კუთხით ეხმარები,“- იხსენებს გროგოლაშვილი. მოგვიანებით სტუდენტებისა და ჯარისკაცებისთვის ომის სამართალში კითხულობდა ლექციებს. ყველაზე დიდხანს „World Wision“-ში მუშაობდა, სადაც ჩვეულებრივი თანამშრომლიდან დირექტორი გახდა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციიდან წამოსვლა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა გადაწყვიტა.

„სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის“ საგანგებო სიტუაციების მართვის კუთხითაც მუშაობს. „ომიც ერთ-ერთი საგანგებო სიტუაციაა, ოღონდ ადამიანის მიერ შექმნილი. ომის დროს მთავარი ადამიანების დახმარება და შევლაა, ომის შემდეგ კი აღდგენითი სამუშაოების წარმოებაა. ამ შემთხვევაში აღდგენა სოფლის მეურნეობის განვითარებას უკავშირდება,“- ამბობს გროგოლაშვილი. ■

■ გროგოლაშვილის ხაზს უსვამს, რომ გლეხებს მოსავლის დამოუკიდებლად მოყვანისა და გასალეხის ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ. საბჭოთა კავშირის დროს, მთელი 70 წლის განმავლობაში, დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობების ტრადიცია შეწყდა და სოფლად მცხოვრებლები უბრალოდ, დაქირავებულ თანამშრომლებად იქცნენ, რომლებიც აგრონომებისა თუ ვეტერინარების მითითებებს ასრულებდნენ. ამიტომ გლეხების მხარდაჭერა ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანდ მიაჩნია.

იაფი ხედიხაზი სოფლის მეურნეობაში

სამი კვირაა შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტი დაიწყო. ბანკებში ამბობენ, რომ პროექტი წარმატებით მიმდინარეობს, მენარმეების აქტივობა მაღალია და სესხი უკვე ასზე მეტ ფერმერს დაუმტკიცდა. თუმცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები ამბობენ, რომ ბანკები კრედიტებს მკაცრად გასცემენ და აგროკრედიტი მათთვის არც ისე ხელმისაწვდომია.

თათია ხალიანი

„დღეს, სოფლის მეურნეობა მთავრობის მიერ დეკლარირებულია როგორც რეალური პრიორიტეტი. შესაბამისად, ეს ახალი ინიციატივა ძალიან დიდი დახმარება იქნება ყველა იმ ბიზნესორიენტირებული საწარმოსთვის თუ ფერმერისთვის, ვისაც სურვილი აქვს სესხი აიღოს. ეს პროგრამა აადვილებს ფერმერთა ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსზე, –“ ეს განცხადება სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ 27 მარტს, „შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტის“ პრეზენტაციისას გააკეთა.

უკვე მესამე კვირაა დაიწყო „შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტი“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადა. პროექტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი აფინანსებს, მის განხორციელებაზე კი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო მუშაობს. 2013 წელს პროექტისთვის ფონდიდან 36 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტი“ სამ კომპონენტისაა. პირველი კომპონენტი მცირე მენარმეებისთვის 5 000 ლარამდე უპროცენტო სასაქონლო განვადებას გულისხმობს.

საფინანსო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებს შორის ხელშეკრულებები ფორმდება. მაღაზია ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს უწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი ანაზღაურებს. ფერმერს შეუძლია მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმო საშუალებები გამოიტანოს, გარდა სასუქისა. განვადება 6 თვისაა. ვადის გასვლის შემდეგ თუ მენარმე სესხს ვერ დაფარავს, მას



ნლიური 36% დაერიცხება. ამ კომპონენტში მენარმეს ბიზნესგეგმის დაწერა ან რაიმე განსაკუთრებული ბიზნესგანაცხადის მომზადება არ სჭირდება.

მეორე კომპონენტი 8%-იან სესხს გულისხმობს და საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვისაა. კრედიტის მოცულობა 5 000 – 100 000 ლარამდეა და არა უმეტეს 2 წლის ვადით.

ამ კომპონენტში სესხი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად გაიცემა, როგორცაა, საბრუნავი (ერთნლიანი კულტურების სათესი და სარგავი მასალა, პესტიციდები, სასუქები, არასანაშენი და მოზარდი პირუტყვის ვეტერეპარატების შექენა და ა.შ.) და ძირითადი საშუალებების (სანაშენი პირუტყვის, ფრინველისდა თევზის შექენა, სათბურის შენება, სარწყავი სისტემის მოწყობა) დაფინანსება.

პროექტის მესამე კომპონენტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვისაა და 60 ახალი საწარმოს დაფინანსებას ითვალისწინებს. ერთ მილიონ ლარამდე სესხი სამპროცენტია და არაუმეტეს 7 წლის ვადით.

პროექტში 11 ბანკი და 3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობს.

სახელმწიფოს და ბანკებს შორის შეთანხმების შედეგად, პროცენტის მაქსიმალური რაოდენობა 17%-ით განისაზღვრა. მას შემდეგ, რაც მენარმე სესხის აღებას გადაწყვეტს, მან ბიზნესგეგმით ბანკებს უნდა მიმართოს. ისინი განაცხადებს განიხილავენ და დადებითი პასუხის შემთხვევაში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი სესხის თანადაფინანსებელი ხდება და აღებული კრედიტის 9%-ს იხდის. გარდა ამისა, ფონდი ბანკებს გარანტიას აძლევს, რომ თუ მენარმე ვერ დააბრუნებს სესხს, ძირითადი თანხის ერთ მესამედს დაუფარავს.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ წლების განმავლობაში ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად აგროსფეროს განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსების ნაკლებობა იყო. გასულ წლებში სოფლის მეურნეობაში გაცემული სესხის რაოდენობა საბანკო პორტფელში მხოლოდ 1% შეადგენდა და საპროცენტო განაკვეთი 36%-მდე აღწევდა.

ექსპერტების შეფასებით, აქამდე კრედიტის გაცემას აზრი არ ჰქონდა, რადგან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით ფერმერი პროცენტის გადახდას ვერ ახერხებდა. კრედიტის სუბსიდირება კი, ერთი მხრივ, საბანკო ინსტიტუტებისთვის რისკს ამცირებს, რადგან პროცენტის

დიდ ნაწილს ფონდი აფინანსებს, მეორე მხრივ, ფერმერებისთვის ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობას ზრდის.

“საქმე იმაში კი არ არის, რომ საკრედიტო რესურსი არ არსებობდა, არამედ კრედიტის გაცემას არ ჰქონდა აზრი, როგორც ბანკის მხრიდან ისე ფერმერებისთვის. რადგან მართო იმ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, რომელსაც ეწეოდა ფერმერი, პროცენტს ვერ გადაიხდიდა. შეიძლება აელო სესხი, დაებრუნებინა, მაგრამ რეინვესტირება რომ მოეხდინა, ბიზნესი გაეფართოებინა და ცოტა უფრო მეტი მოგება მიეღო, ამას ვერ ახერხებდა, -“ ამბობს ორგანიზაცია „MercyCorps“-ის წარმომადგენელი ირაკლი ქასრაშვილი.

თუმცა, როგორც ფერმერები ამბობენ, კრედიტების აღება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანებისთვის არც ისე ხელმისაწვდომია.

ბესო ბაბუნაშვილი ახალციხის რაიონში, სოფელ წნისში რძის გადამამუშავებელი ქარხნის და კომპნირებული საკვების მწარმოებელი ქარხნის დირექტორია. 2009 წლიდან ამ საქმიანობას ეწევა. ევროპული სტანდარტების საწარმოები „აისოს“ სერტიფიკატს ფლობს.

ოთხი წლის წინ საწარმოების განვითარებისთვის სესხი აიღო, რომლის ვადაც 2019 წლამდეა. „აგროსესხების“ პროექტის ფარგლებში მენარმეს არსებული სესხის რეფინანსირება სურდა და შემდეგ უკვე ამ თანხით მსხვილფეხა საქონლის ფერმის გაკეთებას და მაღალპროდუქტიული ჯიშის საქონლის შექენას გეგმავდა. პროექტის გამოცხადების შემდეგ ჰოლანდიელ პარტნიორებთან ერთად შეიძინა ბიზნეს გეგმა შეადგინა და პროექტში მონაწილე ერთ-ერთ ბანკს მიმართა. თუმცა ბანკმა სესხის გაცემაზე უარი უთხრა. როგორც ბაბუნაშვილი ამბობს, ბანკს ორი მიზეზი ჰქონდა, პირველი ის, რომ პროექტი არსებული სესხის რეფინანსირებას არ ითვალისწინებდა და მეორე – არასაკმარისი უზრუნველყოფა.

“ბანკი ფონდისკენ იმეორს ხელს, იქედან არ არის მითითება, რომ შესაძლებელია არსებული სესხების რეფინანსირებაც. ერთ-ერთ მიზეზად მონიტორინგის შეუძლებლობა დაასახელეს. მათი თქმით, ვერ გადაამოწმებენ მართლა აგროსექტორში დაინარჯა თუ არა ის სესხი, რომელიც ოთხი წლის წინ ავიღე. არადა ამის დადგენა ძალიან მარტივია, ნებისმიერი საკრედიტო განყოფილება, რომლებიც აგროფერმებზე სესხებს გასცემს, აღრიცხვას და მონი-

■ წლების განმავლობაში ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად აგროსფეროს განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსების ნაკლებობა იყო. გასულ წლებში სოფლის მეურნეობაში გაცემული სესხის რაოდენობა საბანკო პორტფელში მხოლოდ 1% შეადგენდა და საპროცენტო განაკვეთი 36%-მდე აღწევდა.

ტორინგის ანარმოებს. თან ასეთი ბანკები ხომ ძალიან ცოტაა, ვინც აგროსესხებს გასცემდა, ამიტომ გადამონმება არც ისე რთულია“, - ამბობს ბაბუნაშვილი.

მისივე თქმით, უზრუნველყოფის ნაწილში, რომელიც მესამე კომპონენტს ეხება, ბანკი უძრავ ქონებას, ბინას ან რაიმე სხვა სახის კერძო საკუთრებას მხოლოდ თბილისის ფარგლებში ითხოვს.

“ორჯერ მეტი აქტივი უნდა გქონდეს, რომ ბანკი სესხის გაცემას დათანხმდეს. მოთხოვნილ 700 ათასისთვის მილიონზე მეტ უზრუნველყოფას ითხოვს, ისიც უძრავი ქონება თბილისის ზონაში უნდა იყოს. ეს რეალურად წარმოუდგენელია ფერმერისთვის“.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნინო ზამბახიძე ხელისუფლების ინიციატივას დადებითად აფასებს და ამბობს, რომ პროექტი ცალსახად დადებითია, რადგან ოცი წელია, სოფლის მეურნეობისთვის ყურადღება არავის არ მიუქცევია. მაღალპროცენტიანი კრედიტებით სარგებლობის საშუალება ფერმერების უმრავლესობას არ ჰქონდა. თუმცა ნინო ზამბახიძეს „აგროსესხების“ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები აქვს და მიაჩნია, რომ ბანკი სესხებს ძალიან მკაცრად გასცემს, რაც სექტორში ჩართული ადამიანებისთვის იაფ რესურსებზე ხელმისაწვდომობას ამცირებს.

„ჩვენს ასოციაციაში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ფერმერები არიან განვევრიანებულები. ბევრ მათგანს, გამოცდილების მიუხედავად სესხის გაცემაზე ბანკმა უარი უთხრა. მთავარ მიზეზად სფეროს მაღალრისკიანობა სახელდება. გასაგებია, რომ ყველა ფერმერს სესხს ვერ მისცემენ. მაგრამ პრობლემაა როცა სესხს გამოცდილი ფერმერიც ვერ იღებს. სესხს ვერ იღებენ, მაგრამ რატომ - ვერ იგებენ. ეს უკმაყოფილებს ინვესტ, რაც ცუდია“ - ამბობს ნინო ზამბახიძე. მისივე თქმით, ხელისუფლებამ პროექტი უნდა დახვეწოს.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის გოგიტა ზამბახიძის თქმით, პროცესის შეფასება ჯერჯერობით ადრეა, რადგან ბანკებს, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო სფეროში კრედიტების გაცემის გამოცდილება არ აქვთ, მომზადება სჭირდებათ. მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე ბანკებში განცხადებების დამუშავება მინდინარეობს და რამდენიმე კვირაში სრული სურათი დაინახება.

“მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის, მენარმეებს უნდა გააჩნდეთ კრედიტუნარი-

ნობა. თუ პირი ადრე შემჩნეულია, რომ ვერ გადაიხადა განვადება და საკრედიტო სიაში ეს დაფიქსირებულია, ცხადია, ადვილად ვერ აიღებს ამ კრედიტს. ეს ყველა კომპონენტს ეხება. პროექტი არ არის ყველასთვის, ეს არ არის გრანტი. ბანკები გულდასმით შეაფასებენ მათ კრედიტუნარიანობას,“ - ამბობს გოგიტა ჩხეიძე.

სააგენტოში ამბობენ, რომ პროექტის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში პირველ კომპონენტში 100-ზე მეტმა მენარმემ აიღო კრედიტი, დაახლოებით 400 000 ლარის ფარგლებში. მეორე კომპონენტში ბანკმა 23 მენარმეს დაუმტკიცა სესხი, 601 400 ლარის ოდენობით. მესამე კომპონენტში 2 სანარმო დაფინანსდა, რომელთა საერთო მოცულობამ 660 000 ლარი შეადგინა. პროექტის ხანგრძლივობა კი იმაზეა დამოკიდებული, რამდენი სესხი გაიცემა, რადგან პროექტის დასაფინანსებლად 2013 წელს ფონდიდან 36 მილიონია გამოყოფილი.

პროექტის მიხედვით, მენარმე სესხს იმ შემთხვევაში აიღებს, თუკი ბანკის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობას აკამყოფილებს. პროექტში მონაწილე ბანკებს სესხის აღების მსრუფელთათვის თავიანთი პირობები აქვთ დაწესებული.

“ვითიბი“ ბანკი პროექტის სამივე კომპონენტში მონაწილეობს. როგორც ბანკში ამბობენ, სესხის გაცემისას აუცილებელია სოფლის მეურნეობის წარმოებაში კლიენტს პრაქტიკული ან თეორიული გამოცდილება ჰქონდეს.

“პროექტის დაწყებიდან ორ დღეში „ვითიბი“ ბანკმა 5 სესხი გასცა. ამ მომენტისათვის პროექტის მეორე კომპონენტის ფარგლებში „ვითიბი“ ბანკში 50-მდე კრედიტია დამტკიცებული, რაც მოცულობაში მილიონ ნახევარ ლარს აჭარბებს. ასევე, ბანკში 100-მდე განაცხადია შემოსული. მესამე კომპონენტში კი ერთი კრედიტი უკვე გასცა, რომლის მოცულობაც 600 000 დოლარს შეადგენს. ამ კომპონენტის ფარგლებში ბანკში 10-ზე მეტი პროექტის დამუშავება მიმდინარეობს,“ - აცხადებენ „ვითიბი“ ბანკში.

სოფლის მეურნეობის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თანადაფინანსება ერთი ნაბიჯია, თუკი არ მოხდება საკრედიტო მოცულობის გაზრდა და ამ სფეროში სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, ეს აქტივობა შეიძლება მხოლოდ სფეროს წახალისებად დარჩეს, რადგან სოფლის მეურნეობა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზეც ისეთი დარგია, რომელიც სახელმწიფოს მუდმივ მზრუნველობას საჭიროებს. **ა**

■ „ორჯერ მეტი აქტივი უნდა გქონდეს, რომ ბანკი სესხის გაცემაზე დათანხმდეს. მოთხოვნილ 700 ათასისთვის მილიონზე მეტ უზრუნველყოფას ითხოვს, ისიც უძრავი ქონება თბილისის ზონაში უნდა იყოს. ეს რეალურად წარმოუდგენელია ფერმერისთვის“.

განათლება სოფლის განვითარებისთვის



ფოტო: აკაკი სრანდელი



პროფესიული კოლეჯის „აისი“ ტერიტორია

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უმუშევრობა კვლავაც გადაუჭრელი პრობლემაა. ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია სოფლად, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ფერმერობას მისდევს, მაგრამ შემოსავლები ჯერაც მწირია.

უკანასკნელი გამოკითხვების, მაგალითად ენ-დი-აის მიერ 2013 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სოფლად მაცხოვრებელთა 78% თავს უმუშევრად მიიჩნევს. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი მაჩვენებელია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ სოფლად ცხოვრობს.

დასაქმება კომპლექსური პრობლემაა და მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა და პროფესიული განათლება ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

რამდენიმე წლის წინ საქართველოში ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მათ შორის, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სპეციალობებში. არ არსებობდა პროფესიული სტანდარტები, კოლეჯებში თითქმის არ იწერებოდა ახალი მიდგომები და თანამედროვე ტექნოლოგიები, არასაკმარისად მოქმედებდა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი იყო როგორც მოსახლეობის პროფესიული უნარ-ჩვევების გაზრდა, ასევე სტანდარტებზე დამყარებული გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს უპასუხებდა.

ამ მიმართულებით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით რამდენიმე წარმატებული პროგრამა განხორციელდა.

პროექტებს სხვადასხვა დროს აფინანსებდა რუმინეთის მთავრობა, შვეიცარიის განვითარების სააგენტო (SDC), ევროკავშირი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR).

2006 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით პროფესიული გადამზადების სისტემა საქართველოს შვიდ ქალაქში დაინერგა: კაჭრეთში, ახალციხეში, ამბროლაურში, თელავში, ახმეტაში, სენაკსა და გორში.

გადამზადების პროცესს წინ უსწრებს შრომის ბაზრის კვლევა, პროფესიული სტანდარტებისა და სასწავლო პროგრამის შექმნა, მასწავლებელთა გადამზადება და კოლეჯების თანამედროვე აპარატურით აღჭურვა.

გადამზადების კურსებით სარგებლობა ნებისმიერი მსურველისთვის უფასოა.

გადამზადების კურსები, რომელიც ტრაქტორისტ-მემანქანის, მეხილე-

ბის, მევენახეობის, მებოსტნეობის, აგროტექნიკის მექანიკოსის, ვეტერინარიის, მეცხოველეობის, მებაღეობის, მემინდვრეობის, საკვებწარმოებისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებს მოიცავს, საშუალოდ 150-200 საათის ხანგრძლივობისაა. სწავლა მიმდინარეობს სპეციალურად შექმნილი სასწავლო ელემენტებით, რომელიც სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა მიმართულებას მოიცავს და დეტალურად ხსნის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ესა თუ ის პრაქტიკული სამუშაო.

ამ დრომდე პროფესიული გადამზადების ცენტრებში 2 ათასამდე ადამიანი გადამზადდა.

2008 წელს კაჭრეთში და 2011 წელს ახმეტაში ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების (ექსტენციის) ცენტრები შეიქმნა. მათი მიზანი სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის საკითხებში ფერმერების განათლება და კონსულტირებაა, რაც სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ფერმერთა შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს.

საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას ფერმერებს ადგილობრივი და მოწვეული მეცნიერ-კონსულტანტები უწყვენ. კონსულტაციები ტარდება როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. საჭიროების შემთხვევაში კონსულტანტები ფერმერებთან ადგილზეც მიდიან.

ბიზნეს-კონსულტაციების მეშვეობით ფერმერები მეურნეობის დაგეგმვას და ხარჯების სწორად განაწილებას სწავლობენ. ხოლო წარმატებული პრაქტიკის დანერგვა და შედეგების ჩვენება სადემონსტრაციო პროექტების მეშვეობით მიმდინარეობს.

კაჭრეთსა და ახმეტაში უკვე 150-მდე სადემონსტრაციო პროექტი ამოქმედდა.

საგრძნობლად შეიცვალა ექსტენციისა და პროფესიულ გადამ-



ლეინის სადღესასწაულო ოთახი

ზადებაში მონაწილე ფერმერების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც. დასაქმებულთა რიცხვმა 60%-ს მიაღწია. მცირე ფერმერთა შემოსავალი 40%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო ფერმერთა - 15%-ით.

განათლების მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში საუბრობს გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში, ჯიმი მაკგოლდრიკი:

„სოფლის მეურნეობას საქართველოში უდიდესი პერსპექტივა აქვს. მას შეუძლია, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა გახდეს. მაგრამ ამისთვის გარკვეული ხელშეწყობაა საჭირო. თანამედროვე ფერმერისთვის კარგი განათლება და ბიზნესუნარები ძალიან მნიშვნელოვანია. გაეროს განვითარების პროგრამის დახმარების მთავარი მიმართულება სწორედ სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, უკეთესი ბიზნესმოდელების ჩამოყალიბება და ფერმერთა განათლების უზრუნველყოფაა. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ როგორც მთავრობასთან, ასევე პროფესიულ კოლეჯებთან, ბიზნესთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასევე, მცირე ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური შესაძლობების უკეთ გამოყენებაში ვეხმარებით.“



რევაზ საყვარელიძე, UNDP-ის პროექტის მენეჯერი



ადგილობრივი წარმოების ლეინო

სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე დასაქმების პრობლემის გადაჭრას პროფესიულ განათლებაში ხედავს. მინისტრის განცხადებით, სოფლის მეურნეობაში არსებული პროექტების განხორციელებას კვალიფიციური კადრები სჭირდება: „ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში ბევრი ცვლილება და ტექნოლოგიური წინსვლა განხორციელდა და ჩვენც უნდა ვცადოთ, საქართველოში ყველა სიახლე შე-



მინისანარმოს დანადგარები



სტუდენტები პრაქტიკული მუშაობისას



მინისანარმოში დამზადებული პროდუქცია

ფოტოები დათმ. ფარულაშა

მოვიტანოთ. პროფესიული კოლეჯების არსებობა ძალიან წაადგება სოფლის მეურნეობის სექტორის რეალურ განვითარებას. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის გაეროს განვითარების პროგრამასთან და შვეიცარიის განვითარების სააგენტოსთან. “

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს რეგიონალური დირექტორი რუდოლფ შოხი თვლის, რომ ფერმერთა

შემოსავლების ზრდისათვის სოფლის მეურნეობაში ახალი ტენოლოგიები უნდა დაინერგოს: „საქართველოში სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლის მთავარი წყარო სოფლის მეურნეობაა. საქსტატის მონაცემების თანახმად, მუშახელის 53% სოფლის მეურნეობაშია ჩართული. სიღარიბე კი მაინც მაღალ დონეზე რჩება სოფელში. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დახმარება მეცხოველეობისა და მეხოსტენეობის სექტორში ვაჭრობის ეფექტურობის გაზრდისკენაა მიმართული, რაც ეკონომიკურ ზრდაზე ახდენს გავლენას.“

კატრეში

კატრეში გადამზადების კურსები 2007 წლიდან ფუნქციონირებს, ხოლო ექსტენციის ცენტრი - 2008 წლიდან. იგი საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ბაზაზე შეიქმნა.

პროფესიული გადამზადება მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით ხორციელდება.

კოლეჯის ტერიტორიაზე ხეხილის სანერგვა გაშენებული, რომელშიც 13 კულტურის 50 ჯიში ხარობს.

2010 წელს შეიქმნა „ღვინის სახლი“, სადაც ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ, ღვინის დამუშავებისა და ჩამოსხმისათვის უახლესი ტექნოლოგიები გამოიყენონ. ღვინის სახლს პრაქტიკული ცოდნის მისაღებად მევენახეობის მიმართულების სტუდენტებიც იყენებენ.

2009 წლიდან კაჭრეთში მოქმედებს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი მინისაწარმო, სადაც ძირითად სამუშაოებს გადამზადების კურსის მსმენელები ასრულებენ. საწარმო თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი. აქ მზადდება მარინადები, მურაბები და უალკოჰოლო ღვინო, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს.

საწარმოში ცოდნის მიღებისა და საკუთარი პროდუქტის რეალიზაციის შესაძლებლობა ფერმერებ-

დამზადებაზე მომუშავე ქალბატონებმა მევენახეობის 40-დღიანი კურსი გაიარეს.

კაჭრეთის კოლეჯი ტრაქტორის-ტემანქანათა გადამზადების პროგრამაშიც მონაწილეობს. ეს პროგრამა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ხორციელდება და საქართველოს რვა პროფესიულ კოლეჯს მოიცავს. სულ პროგრამის ფარგლებში 900 ტრაქტორის-ტი-მემანქანე გადამზადდა. მათი უმეტესობა შპს „მექანიზატორთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმდება.

2013 წლის თებერვლიდან აპრილამდე გადამზადების კურსი კაჭრეთში 100-მა მემანქანემ გაიარა. პირველ ნაკადში გადამზადებული

კურსის გავლის შემდეგ მისი შემოსავალი გაიზარდა და მიღებული ცოდნა საკუთარი მეურნეობის გასაუმჯობესებლად გამოიყენა.

ირინა ფხოველიშვილი 13 წელია ფერმერია. კაჭრეთის ექსტენციის ცენტრის მომსახურებით ის 4 წელია სარგებლობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ისეთი რამ ისწავლა, რაც სხვა ფერმერებსაც გაუზიარა და საკუთარი მეურნეობის სწორად დაგეგმვაშიც გამოიყენა. ბოლო წლებში ირინას მეურნეობა საგრძნობლად გაიზარდა. ახლა სურს ბიოპროდუქტების წარმოება დაიწყოს.

წელს ირინა ფხოველიშვილის და სხვა ქალბატონების ინიციატივით კაჭრეთის ექსტენციის ცენტრთან კახეთის ფერმერ ქალთა ასოციაცია შეიქმნა. ასოციაციის წევრებს შესაძლებლობა ექნე-



სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში შექმნილი ფერმა

საც ეძლევათ. ისინი ხილსა და ბოსტნეულს აბარებენ და საკვების გადამამუშავებაში კონსულტაციასაც გადიან.

წელს კაჭრეთის მეურნეობას დაემატა ახალი ფერმა, რომელიც უახლესი სავენტრალციო სისტემით და ყველის დასამზადებელი აპარატურითაა აღჭურვილი. ფერმაში უკვე 20 ძროხა და 9 ხბოა, ხოლო რძის გადამამუშავება დღეში 45 ლიტრს აღწევს. ისევე, როგორც ხოლ-ბოსტნეულის საწარმოში, ფერმაშიც პროფესიული გადამზადების კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები. ყველის

50 მემანქანედან 42-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა. მათი 80% უკვე დასაქმებულია.

მცენარეთა დაცვა კაჭრეთში მოქმედი გადამზადების პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა. კურსის ხანგრძლივობა 150 საათია და დამთავრების შემდეგ შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა.

ნინო მთავრიშვილმა გადამზადების კურსი ჯერ მებოსტნეობაში, მოგვიანებით კი მევენახეობაში გაიარა. ექსტენციის ცენტრში მიღებული ცოდნა მან ბრიგადის წევრებსაც გააცნო. გადამზადების

ბათ, პროფესიული გადამზადების კურსები უფასოდ გაიარონ. გარდა ამისა, ასოციაცია მათ საკრედიტორესურსების გამოიყენებასა და თავისი მეურნეობების გააფართოებაში დაეხმარება. ასოციაციის საქმიანობა გაეროს ხელშეწყობით წარიმართება.

ფერმერ ქალთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრი იზოლდა ქიტესაშვილი კაჭრეთის ექსტენციის ცენტრის მომსახურებით 2008 წლიდან სარგებლობს. ცენტრის კონსულტანტების დახმარებით ქალბატონმა იზოლდამ ბიზნესგეგმა შეადგინა და თითქმის 32 ათასი აშშ



დოლარის დაფინანსება მიიღო. მისი მეურნეობა 2 ჰექტარიდან 10 ჰექტარამდე გაიზარდა. 2 ჰექტარზე ქალბატონი იზოლდას ოჯახმა უეკლო მაცვალი გააშენა. ამჯერად მაცვლის მოსავალი საშუალოდ 30 ტონას შეადგენს. ერთი კილო მაცვალი 2-3 ლარად იყიდება და მუდმივი კლიენტებიც უკვე გამოუჩნდა.

„მაცვალი ჩემი სავიზიტო ბარათია. ამ საქმეში კონკურენტი არ მყავს. ახლა გადასამუშავებელი ქარხნის გაკეთებას და მაცვლის წვევის რეალიზაციას ვაპირებ“, - ამბობს იზოლდა ქიტესაშვილი.



სტუდენტები მუშაობის პროცესში

ახმმთა

ახმეტაში ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი და პროფესიული გადამზადების კურსები 2011 წელს თელავის კოლეჯთან („პრესტიჟი“) თანამშრომლობით შეიქმნა.

რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, პროგრამების უმეტესობა მეცხოველეობას უკავშირდება. სასწავლო კურსებსა და ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურებაში შედის შინაური ცხოველების საკვებწარმოება, ვეტერინარია, ხელოვნური განაყოფიერება, ყველის წარმოება და მექანიზაცია.

ახმეტაში შეიქმნა რძის გადამამუშავებელი მინი-საწარმო, სადაც სასწავლო და საკონსულტაციო პროგრამების კურსდამთავრებულები მუშაობენ. გარდა ამისა, გაიხსნა რძის წარმოების ჰიგიენის სადემონსტრაციო პროექტი და რძის შემკრები ორი პუნქტი, ჩამოყალიბდა ვეტერინართა ასოციაცია და დაიწყო მუშაობა ხელოვნური განაყოფიერების მიმართულებით.

რძის მინი-საწარმო იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას სავსებით ნატურალური პროდუქტი ტრადიციული რეცეპტურით, მაგრამ სურსათის უვნებლობის



UNDP-ის პროექტის კოორდინატორი ზაზა მჭედლიშვილი (მარჯვნივ)

ყველა თანამედროვე სტანდარტის დაცვით.

საწარმო თურქული დანადგარებითაა აღჭურვილი და ნადუღსა და ხუთი სახის ყველს აწარმოებს - იმერულს, ქართულ ქარხნულს, სულგუნს, თუშურსა და გუდას.

რძეს იბარებენ სამი შემკრები პუნქტიდან, რომელიც თანამედროვე დანადგარებითაა აღჭურვილი. რძის შეკრება და შემოწმება ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესია, რადგან პროდუქციის ხარისხსა და უვნებლობას განაპირობებს. საწარმოში ჩასაბარებელ რძეს ამოწმებენ როგორც შეგროვების დროს, ასევე საწარმოში მისვლისას.

ახმეტის ყველის საწარმო დღეში 500 ლიტრიდან ერთ ტონამდე რძეს ამუშავებს, ხოლო დამზადებულ ყველს თელავის სუპერმარკეტებსა და „გუდვილში“ აბარებს. 2011 წლის ივლისიდან რეალიზაციიდან მიღებულმა თანხამ 230 ათასი ლარი შეადგინა. რძის საწარმოში შვიდი ადამიანი დასაქმებული, ხოლო რძის შემკრები პუნქტებში - რვა.

2011 წელს ახმეტაში შეიქმნა ვეტერინართა ასოციაცია, რომლის

მიზანია ცხოველთა პროფილაქტიკური აცრა და სხვადასხვა დაავადების პრევენცია. 2012 წლის თებერვლის ბოლოს გაფორმდა ხელშეკრულება 1120 ოჯახთან, რაც 2 ათასზე მეტი პირუტყვის აცრას მოიცავს. თითო პირუტყვის აცრა 11 ლარი ღირს, მაგრამ ადგილობრივი ფერმერებისთვის ეს მისაღები ფასია, რადგან აცრა შედეგიანია.

2011 და 2012 წელს ახმეტაში განხორციელდა 30-მდე სადემონსტრაციო პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის 90%-იანი დაფინანსებით. ფერმერებმა მიიღეს ხუთ-ხუთი ხბო და საკვებ-დამქუცმაცებელი მოწყობილობა, რომლითაც პროექტის ყველა მონაწილე თანაბრად სარგებლობს. სადემონსტრაციო პროექტების მიზანია სოფლის მეურნეობაში ახალი მიდგომების დანერგვა.

ცხოველების ხელოვნური განაყოფიერება ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა ახმეტელი ფერმერებისთვის. 2012 წლამდე ამ ტექნოლოგიას აქ ნაკლებად იყენებდნენ, რაც პირუტყვის ჯიშის გაუარესებას იწვევდა. ამჯერად ექვსმა ვეტექიმმა გაიარა პროფესიული გადამზადება ხელოვნური განაყოფიერების საკითხებში, ხოლო ახმეტის ექს-



ქართული, თუშური და იმერული ყველი



რძის გაციების პროცესი



იმერული ყველი წაობში

ტენციის ცენტრი საჭირო მოწყობილობით აღიჭურვა.

ხელოვნური განაყოფიერება გამოიყენება პირუტყვის ბრუცელოზით დაავადებას და ჯიშინობას აღმოფხვრის.

ფერმერი ერთი ძროხის განაყოფიერებისთვის 30 ლარს იხდის. ახმეტაში ხელოვნური განაყოფიერებით უკვე 19 ხბო დაიბადა.

ახმეტის ექსტენციის ცენტრის მომსახურებით 200-ზე მეტი ფერმერი სარგებლობს. გადამზადების სრული კურსი გაიარა 82 ფერმერმა, მათ შორის 53 ქალბატონმა.

2011-2012 წლებში ჩატარდა 330-ზე მეტი ჯგუფური და 100-ზე მეტი ინდივიდუალური კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში კონსულტანტები ფერმერებს სახლშიც აკითხავდნენ.

საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისა და გადამზადების დახვეწილი სისტემის არსებობა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

სოფლის მეურნეობის განახლების გზა ახალი ტექნოლოგიების

დანერგვაა, რაც ფერმერისაგან ცოდნას და განათლებას მოითხოვს. ხოლო მცირე ფერმერთა უმეტესობას ამაზე ხელი არ მიუწვდება. პროფესიული გადამზადების პროგრამების და ექსტენციის ცენტრების მთელს საქართველოში დანერგვამ შეიძლება სოფლის მეურნეობის რეფორმასაც შეუწყოს ხელი და სოფლებს სიცოცხლე და დოვლათი დაუბრუნოს.

მასალა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით



ხელოვნური განაყოფიერებით გაჩენილი ხბო



ადგილობრივი ფერმერი



ხელოვნური განაყოფიერებით გაჩენილი ძროხები

ფოტოები დაიით ფარულავა



www.ucnobifm.ge



ყველაზე სიბნელეა
ვრობისთვის ყველაზე
მნიშვნელოვანი
დადასტოვების
გადაწყვეტილება



PROFY

ყველა კვირის 15:30